

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის
ინსტიტუტი

მეღვა ნიორაკე

სამეცნიერო კლდის მღვიმე და დასავლეთ
საქართველოს გეოგრაფიული



გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1975

ნაშრომი მიზნად ისახავს სამერცხლე კლდის მღვიმეში მოპოვებული მასალების საფუძველზე დასავლეთ საქართველოს ზედა პალეოლითის შესწავლას.

ხერგულის კლდის, თარო კლდის, დევისხვრელის, საკაქიას, მღვიმევის, გვარჯილას კლდის, ძუძუნას მღვიმისა და სამერცხლე კლდის მღვიმის მასალების სისტემატიზაციის, ურთიერთშედარებისა და განზოგადების საფუძველზე ავტორი ცდილობს მეტი სინათლე შეიტანოს დასავლეთ საქართველოს ზედაპალეოლითური კულტურის განვითარების საკითხში.

ავტორი განიხილავს სამერცხლე კლდეს ამიერკავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ზედაპალეოლითური ძეგლების ფართო ფონზე. გამოთქვამს აზრს სამერცხლე კლდის ინდივიდუალური თავისებურების შესახებ, რამაც იმერეთის ზედაპალეოლითური კულტურის შიგნით ცალკე ლოკალური ვარიანტის გამოყოფის საშუალება მოგვცა.

წინასიტყვაობა

საქართველოს ზედა პალეოლითის შესწავლა კავკასიის არქეოლოგიის აქტუალური პრობლემაა. წინამდებარე ნაშრომში ამ პრობლემის ზოგიერთი ასპექტი გაშუქებულია დასავლეთ საქართველოში ადრეალმოჩენილი (ხერგულის კლდე, თაროკლდე, დევის-ხერელი, საკაქია, მღვიმევი, გვარჯილას კლდე), ახლად აღმოჩენილი (ძუძუანას მღვიმე) ძეგლებისა და განსაკუთრებით ამ უკანასკნელ წლებში მიკვლეული სამერცხლე კლდის მღვიმის შესწავლის საფუძველზე. მასში ავტორი ცდილობს, აღნიშნული ძეგლების სისტემატიზაციის, ურთიერთშედარებისა და განზოგადების საფუძველზე, მეტი სინათლე შეიტანოს დასავლეთ საქართველოს ზედაპალეოლითური კულტურის განვითარების საკითხში.

დღემდე ცნობილი იყო, რომ მთელ დასავლეთ საქართველოში ზედაპალეოლითური კულტურის განვითარება ერთი გზით მიმდინარეობდა. თუ აქამდე მკვლევართა უმრავლესობის მიერ კავკასიის ზედა პალეოლითი ითვლებოდა საერთო ნიშნებს მქონე ერთიან პალეოლითურ კულტურად, დღეისათვის ჩვენს ზელთაა ახალი ზედაპალეოლითური ძეგლი, სამერცხლე კლდე, რომელიც თავისი იერით განსხვავდება ადრეალმოჩენილი სინქრონული ძეგლებისაგან, რაც გამოიხატება ზურჯდაბლაგვებული მიკროლაშქლებისა და საერთოდ მიკროიარადების არარსებობაში. ამ ნიშნით სამერცხლე კლდესთან ტიპოლოგიურად და ქრონოლოგიურად რამდენადმე ახლო დგას ძუძუანას მღვიმე, რომელიც ამ უკანასკნელ ხანს აღმოაჩინეს.

ამჟამად ჩვენთვის საინტერესო ძეგლთა შედარებითი შესწავლის საფუძველზე თითქოს შესაძლებელი ხდება სამერცხლე კლდის ქრონოლოგიური და კულტურული ადგილის განსაზღვრა და მისი თავისებურების დადგენა.

ძუძუანასა და სამერცხლე კლდის სახით დასავლეთ საქართველოს ზედა პალეოლითის შეემატა მნიშვნელოვანი ძეგლები, რო-

მელთა შესწავლამ, ავტორის ვარაუდით, იმერეთის ზედაპალეოლითური კულტურის შიგნით ცალკე ლოკალური ვარიანტის გამოყოფის საშუალება უნდა მოგვეცეს.

საბჭოთა არქეოლოგიაში მიღებული იყო აზრი, რომ კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს ზედა პალეოლითი ხმელთაშუაზღვისპირა — აფრიკული კულტურის წრეში თავსდება და რომ იგი, ე. წ. კაპსიის კულტურას ენათესავება. ამავ დროს საქართველოს ზედა პალეოლითის განვითარების გზების კაპსიის კულტურასთან დაკავშირების საკითხში კონკრეტულობის შეტანა მეტად ძნელდებოდა. დღეისათვის ამ საკითხის ირგვლივ საწინააღმდეგო შეხედულებაა შექმნილი (ნ. ბადერი, ნ. ბერძენიშვილი, დ. თუშაბრაშიშვილი, ა. ფორმოზოვი და სხვ.). წინამდებარე ნაშრომში განხილულია აღნიშნული საკითხი და ნაჩვენებია, რომ კავკასიის გვიანი პალეოლითის კაპსიის ტიპის ძეგლების ანალოგიად გამოცხადება და მათი ერთ სიბრტყეში განხილვა შეუძლებელი ხდება როგორც ქრონოლოგიური, ასევე კულტურული თვალსაზრისითაც.

წინამდებარე ნაშრომი შესრულებულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიის სექტორში. მას საფუძვლად უდევს აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა და ლენინგრადის მიკლუხო-მაკლაის სახელობის ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ქვს ხანის ფონდებში დაცული მასალები.

სამერცხლე კლდის მღვიმის გათხრა გვიჩინა და მოპოვებული მასალების დაზუსტებაში სისტემატური ხელმძღვანელობა გაგვიწია დოცენტმა დ. თუშაბრაშიშვილმა, რისთვისაც მას უღრმეს მადლობას მოვასხენებთ.

მღვიმის გეგმა და ფენათა სტრატეგრაფიული ჰრილები შეადგინა არქიტექტორმა ვ. ჩაგუნავამ. უნდა აღინიშნოს ფოტოგრაფ მ. კოზლოვსკის, შნატვრების ან. ამბრიაშვილისა და გ. კიკალიშვილის დახმარება საილუსტრაციო მასალის მომზადებაში, რისთვისაც მათ დიდ მადლობას ვუხდით.

შესავალი

§ I. საქართველოს ზედაპალოლითური ძეგლების ზოგადი მიმოხილვა

ჯერ კიდევ XIX ს-ის 60-იან წლებში იყო ცდები კავკასიაში მეოთხეული პერიოდის ადამიანის კულტურული ნაშთების გამოვლენის მიმართულებით. აღსანიშნავია 1868 წ. შვეიცარიელი გეოლოგის ერნესტ ფავრის და რუსი პოლკოვნიკის სტატკოვსკის მიერ ჩატარებული გათხრები. კავკასიაში მოგზაურობის დროს მათ გათხარეს „იაზონის“ მღვიმე, რომელიც ქვის ხანის ნაშთებს შეიცავდა. მღვიმე ქ. ქუთაისიდან 3 კმ-ით არის დაშორებული და მღვებარეობს მდ. წყალწითელას მარჯვენა სანაპიროზე¹.

1884 წ. სამთო ინჟინერმა ა. ბერნაცკიმ ჰიათურის რაიონში სოფ. რგანის მახლობლად გათხარა მღვიმე, სადაც პალეოზოოლოგიური მასალა აღმოაჩინა². მაგრამ ა. ბერნაცკის, ისევე როგორც ს. სიმონოვიჩის³, ა. უვაროვის⁴, ა. იოაკიმოვის⁵ აღმოჩენებმა არ მიიქციეს მეცნიერთა ყურადღება.

დასავლეთ საქართველოში 30 წლის შემდეგ ე. ფავრისა და ა. ბერნაცკის სადაზვერვო სამუშაოების კვალდაკვალ მეცნიერულ კვლევა-ძიებას იწყებენ უცხოელები.

1914 წ. საქართველოში ჩამოვიდნენ რობერტ შმიდტი და ლეონ კოზლოვსკი. ისინი გერმანიისა და რუსეთის სამეცნიერო

¹ Ernest Favre. Recherches géologiques dans la chaîne du Caucase. Geneve. 1875. გვ. 3—4.

² А. Бернадский, Ископаемые остатки пещерного человека и пещерных животных на Кавказе, «Кавказ», № 255, 17/XI 1884 г.

³ С. Симонович, Пила из кремня, Изв. Кав. отд. Русск. Географ. общ. 1872, т. I, стр. 127—128.

⁴ А. С. Уваров. Археология России. каменный период, I, Москва, 1881, стр. 205.

⁵ А. Иоакимов, Выписка из дневника археологических работ на Цалке, изв. Кавказ. общ. Ист. и Арх. т. I, вып. I., Тифлис, 1882, стр. 8—9.

ეკადემიების მიერ მოვლინებულ იყვნენ საქართველოში ქვის ხანის დამახასიათებელი მატერიალური კულტურის ნაშთების საძიებლად. მათ პირველ რიგში ჩაატარეს საცდელი არქეოლოგიური გათხრები დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ კუთხეში: ჩხარში, რაქასა და ლეჩხუმში, ხოლო უფრო მოგვიანებით ქ. ქუთაისთან, მდ. წყალწითელას მარცხენა ნაპირზე, მოწამეთის მონასტრის ახლოს მიაგნეს ერთ-ერთ მღვიმეს, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებნი საკაჟიას უწოდებენ. რ. შმიდტმა და ლ. კოზლოვსკიმ ამ მღვიმეს რ. ვირხოვას მღვიმე უწოდეს. საკაჟიას მღვიმეში მიაგნეს ქვის ხანის ადამიანის კულტურული ცხოვრების კვალს და დიდი რაოდენობით მოიპოვეს პალეოლითური ნაშთები. რ. შმიდტმა აღმოჩენილი მასალა ორინიაკის ეპოქით დაათარიღა*. არანაკლებ მნიშვნელოვანია იყო პოლონელი მეცნიერის სტეფანე კრუკოვსკის მიერ 1916—1918 წწ-ში წარმოებული არქეოლოგიური გათხრები ჭიათურის რაიონის მღვიმეებში. თუ რ. შმიდტმა და ლ. კოზლოვსკიმ ერნესტ ფაერის მიერ წამოწყებული სამუშაოები გააგრძელეს, სტ. კრუკოვსკიმ თავისი სამუშაოები ა. ბერნაცკის მიერ სოფ. რგანის ტერიტორიაზე გამოვლენილ მღვიმეებში დაიწყო. სტ. კრუკოვსკის საცდელი გათხრები ჩაუტარებია ჭიათურის ჩრდილო-დასავლეთით, ჭერულის ხეობაში, სოფ. დიდი რგანის პლატოზე მდებარე მღვიმეებში: გვარჯილას კლდე, ბნელი კლდე, საქაჯიას კლდე, სოფ. გუნდაეთის ტერიტორიაზე მდებარე საჭინკიას, საძროხიას და ჩელთას რაიონის მღვიმეებში, აგრეთვე სოფ. ვაჭევში ხერგულის კლდის და სოფ. შუქრუთში თარო კლდის მღვიმეებში. აღნიშნულ მღვიმეებში მას ზედა პალეოლითის სხვადასხვა პერიოდის მასალები შეუგროვებია. დასასრულ, მისი ყურადღება გვარჯილას კლდეზე შეჩერებულა და ორი წლის განმავლობაში მღვიმის დიდი ნაწილი გაუთხრია. გვარჯილას კლდეში ქვის იარაღთა მდიდარ კომპლექსთან ერთად აღმოუჩენია ძვლისა და რქის შესანიშნავი იარაღები და პალეოზოოლოგიური ნაშთებიც. მოპოვებული მასალა სტ. კრუკოვსკიმ გვიან მადლენის კულტურას მიაკუთვნა⁷.

გარკვეული წარმატების მიუხედავად, წინა საბჭოურ ხანაში, ქვის ხანის კვლევის საქმე მაინც ძალზე დაბალ საფეხურზე იდგა. ყველა ზემოხსენებულ მკვლევარს აკლდა პატრიოტული სულის-

* Reallexicon der Vorgeschichte, her. V. Ebert, B. VI, 33. 263.

7 С. Круковский, Пещера Гварджилас-кдде в Ргани, Изв. Кавказск. музея, т. X, вып. 3, Тифлис., 1916, стр. 253—259.

კვებება და ის მეცნიერული მიზანსწრაფვა, რომელიც საშუალებას აძლევს მკვლევარს მოპოვებული მასალის სწორი, მეცნიერული ანალიზის საფუძველზე მოგვეცეს ადამიანთა საზოგადოების კანონზომიერი სოციალური განვითარების სურათი.

პირველი პალეოლითური ძეგლი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გაითხარა და მეცნიერულად იქნა შესწავლილი, იყო დევისხვრელი. დევისხვრელი აღმოაჩინა პროფ. გ. ნიორაძემ 1926 წელს ხარაგოულის რაიონში, მდ. ჩხერიმელას მარჯვენა ნაპირზე. უცხოელ არქეოლოგთაგან განსხვავებით გ. ნიორაძემ მეცნიერული პრინციპების ყოველმხრივი გათვალისწინებით გათხარა ძეგლი, შეისწავლა მოპოვებული მასალა და გამოაქვეყნა მონოგრაფია⁸. ხსენებული ნაშრომის გამოქვეყნება იყო განსხვავებული, ახალი ეტაპი პირველყოფილი საზოგადოების ისტორიის კვლევის საქმეში. დევისხვრელის მღვიმეში მნიშვნელოვან პალეოზოოლოგიურ ნაშთებთან ერთად აღმოჩნდა კაჟისა და ობსიდიანის იარაღ-ანატეცი და ძვლისა და რქის იარაღები. მკვლევარმა ხსენებული მასალის შესწავლის საფუძველზე გამოთქვა მოსაზრება, რომ „დევისხვრელის კულტურას ნათესაური კავშირი აქვს როგორც ცენტრალური ევროპის ზემო ორინიაკის, აგრეთვე ე. წ. ძველი კაპსიის კულტურასთანაც. ამავე დროს მას გააჩნია იდგილობრივი, სპეციფიკური ნიშნები, რითაც იგი განსხვავდება როგორც კაპსიის, ისე დასავლეთ ევროპის ზედაპალეოლითური კულტურისაგან⁹.

ნაყოფიერი იყო 1934—1936 წწ-ში საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიის, ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ექსპედიციის ერთ-ერთი რაზმის მიერ ჩატარებული სამუშაოები დასავლეთ საქართველოში, რომელსაც პროფ. ს. ზამიატნინი ხელმძღვანელობდა. იმერეთში მოგზაურობის დროს მას საშუალება ჰქონდა დაეთვალიერებინა ქუთაისისა და ჭიათურის რაიონებში მდებარე მღვიმეები¹⁰. ს. ზამიატნინმა დასავლეთ საქართველოში

⁸ გ. ნიორაძე, პალეოლითის ადამიანი დევისხვრელში, საქართველოს მუზეუმის შრომები, VI, თბ., 1933. მისივე, Палеолит Грузии, труды II-ой международной конференции АИЧПЕ, вып. V, М., Л. Новосибирск, 1934, стр. 219—229.

⁹ გ. ნიორაძე, პალეოლითის ადამიანი... გვ. 78. მისივე, ძველი ქვის ხანა კავკასიაში, თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტის შრომები VI, 1937, გვ. 283.

¹⁰ С. Н. Замиятин, Новые данные по палеолиту Закавказья, СЭ, № 2, М.-Л., 1935, стр. 116—123.

მისივე, Пещерные навесы Мгвимевн, близ Чиатуры, СА, т. III, М.-Л., 1937, стр. 57—76.

ველოს ზედა პალეოლითის სხვადასხვა პერიოდის მასალები¹¹ შესწავლის საფუძველზე მოგვცა ამ ძეგლთა ქრონოლოგიური კლასიფიკაცია¹¹, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი ზედაპალეოლითური ძეგლების სისტემატიზაციისა და დაჯგუფების, აგრეთვე მათი ცალკეულ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში მოთავსების პირველი ცდა იყო.

1936—37 წლებში პროფ. გ. ნიორაძის ხელმძღვანელობით არქეოლოგიური ექსპედიცია მუშაობდა ქუთაისის რაიონში. ექსპედიციის მიზანი იყო ჭერ კიდევ 1914 წელს რ. შმიდტისა და ლ. კოზლოვსკის მიერ აღმოჩენილი საკაეიას მღვიმის მეცნიერულად გათხრა და შესწავლა.

მის მიერ საკაეიაში ჩატარებულმა გათხრებმა ბევრი ახალი არქეოლოგიური მასალა შეგვძინა კაეისა და ძვლის იარაღების მთელი ჯგუფების სახით. გ. ნიორაძის სისტემატურმა გათხრებმა პირველად მოგვცეს საკმაოდ სრული ცნობები ამ მნიშვნელოვანი ძეგლის შესახებ¹². პირველ რიგში ეს ეხება სტრატეგრაფიული და პალეონტოლოგიური ხასიათის მონაცემებს, რაც რ. შმიდტისა და ლ. კოზლოვსკის გათხრების დროს სრულიად უცნობი იყო. გ. ნიორაძის აზრით, საკაეიაში აღმოჩენილი კაეისა და ობსიდიანის იარაღები ორინიაკის ბოლო დროისათვის და სოლუტრეს კულტურის პირველი ნახევრისათვის არის დამახასიათებელი¹³.

1936 წელს პროფ. ბ. კუფტინმა თრიალეთის ზეგანზე, ქ. წალკის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში, მდ. ხრამის ძველი ხეობის მარცხენა ნაპირზე, მიაკვლია ეძანის (იგივე ბარმაქსიზის) მღვიმეს. ეძანი, ავტორის დათარიღების თანახმად, მეზოლითურ ხანას მიეკუთვნება¹⁴.

1940 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის კათედრის ზაზით მოეწყო არქეოლოგიური ექსპედიცია ჭიათურის რაიონში, სოფ. მღვიმევეში. ექსპედიციის მიერ მოპოვებულ იქნა მრავალრიცხოვანი ზედაპალეოლითური მასალა, რამაც

¹¹ С. Н. Замятин. Новые данные по палеолиту Закавказья, СЭ, № 2, М.-Л., 1935, стр. 116—118.

¹² მ. ს. ი. ვ. ე, Палеолит Западного Закавказья, Сборник музея антропологии и этнографии, т. XVII, М.-Л., 1957, стр. 432—499.

¹² გ. ნიორაძე, ქვის ხანის ადამიანი საკაეიას გამოქვაბულში თბ., „ტექნიკა და შრომა“, 1953.

¹³ ი. ქ. ვ. ე.

¹⁴ Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, изд. АН ГССР, институт истории, Тб., 1941, стр. 119—123.

კიდევ უფრო გაზარდა წარმოდგენა იმერეთის ზედაპალეოლითურ კულტურაზე¹⁵.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ პალეოლითის შესწავლის საქმე კვლავ აღმავლობის გზით მიდის. 1945 წელს სამხრეთ საქართველოში, დმანისის რაიონის სოფ. ზემო ყარაბულაღში ვეომორფოლოგიური დაკვირვებების დროს პრ. ფ. ლ. მარუაშვილმა გამოავლინა საინტერესო არქეოლოგიური ძეგლი — ზურტაკეთის პალეოლითური სადგომი, რომელიც ექანის ეხის (ბარმაქსიზის) თანადროულია¹⁶.

1951—1952 წწ-ში ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ნ. ზ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით სოფ. ძევერში (თერჯოლის რაიონი) მდებარე საგვარჯილეს მღვიმეში ზედა პალეოლითის რამდენიმე კულტურული ფენა გათხარა. ექსპედიციამ საგვარჯილეში გამოავლინა ძირითადად ოთხი კულტურული ფენა¹⁷:

I—ძველიქვის ხანის (ხუთი ფენა)

II—ახალიქვის ხანის,

III—ენეოლითური,

IV—გვიანი დროის (პირველი საუკუნეებამდე და გვიანდროული ხანის სამარხეული ფენა).

ფენათა ასეთი სტრატოგრაფიის გამო საგვარჯილე კლასიკურ ძეგლად შეიძლება ჩაითვალოს.

1951—53 წწ-ში სამხრეთ-ოსეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ალ. კალანდაძის ხელმძღვანელობით სოფ. ჯერჟუხსა და სელოში აღმოაჩინა მეზოლითური დროის ღია სადგომები¹⁸. ბოლო

15 ნ. კილაძე (იგივე ნ. ბერძენიშვილი), მღვიმევის პალეოლითური ნაშთები, საქართველოს სახელმ. მუზეუმის მოამბე, XII—B, თბ., 1944, გვ. 279—290, მისივე, მღვიმევის პალეოლითური ნაშთები, ისტ. მეცნ. კანდიდატის სამეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 1948.

16 ლ. ი. მარუაშვილი, Зуртакетская палеолитическая стоянка в южной Грузии и ее геологическое значение, журнал «Природа», № 12, 1946.

17 ნ. კილაძე (იგივე ნ. ბერძენიშვილი), მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი „საგვარჯილე“, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის „მოამბე“, ტ. XIV, № 9, 1953, გვ. 561—567; ი. გ. ძე ლ ი შ ვ ი ლ ი. საგვარჯილეს სტრატოგრაფიისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკად. „მოამბე“, ტ. XIV, № 9, 1953, გვ. 569—575. (გვ. 571).

18 ალ. კალანდაძე, სამხრეთ ოსეთის არქეოლოგიური ექსპედიცია 1952 წლის, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, მიძღვ-

1958—1960 წლებში ქვედისა და წონას მღვიმეებში მანვე გამოავლინა მეზოლითური დროის კულტურული ფენები¹⁹. 1954—1955 წწ-ში ვ. ლუბინმა კუდარო I-ში ქვედა პალეოლითის გარდა მეზოლითის კულტურული ფენაც აღმოაჩინა²⁰.

1954 წელს საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ განახორციელა სტ. კრუკოვსკის მიერ 1916 წელს აღმოჩენილი გვარჯილას კლდის მღვიმის საკონტროლო გათხრა²¹. დ. თუშაბრამიშვილმა შეისწავლა გვარჯილას კლდის მღვიმის ნაშთები და იგი მადლენის ბოლო პერიოდით დაათარიღა²².

ამ უკანასკნელ წლებში საქართველოში კიდევ უფრო ფართოდ გაიშალა სამუშაოები ძველიქვის ხანის ძეგლების გამოვლენისა და შესწავლის მიზნით.

დღეისათვის თითქმის ზედიზედ ითხრება ქვის ხანის ძეგლები, ტარდება გეგმიანი არქეოლოგიური დაზვერვები და ცალკეული ძეგლების ირგვლივ ქვეყნდება მონოგრაფიული ნაშრომები. საქართველოში აღმოჩენილმა ქვის ხანის ნაშთებმა დღეს უკვე მსოფლიო მნიშვნელობა მოიპოვეს.

1957—1958 წწ-ში აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის წოფის არქეოლოგიური ექსპედიცია გათხრებს აწარმოებდა ისტორიული ქვემო ქართლის ტერიტორიაზე, სადაც აღმოაჩინა სტრატოგრაფიული და კულტურული თვალსაზრისით საინტერესო ქვედაპალეოლითური ძეგლი წოფი I და წოფი II, რომელიც ზედაპალეოლითური ხანის მასალების შემცველია²³.

ნილი 1952 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თეზისები, 1953, გვ. 8—9; В. П. Любин, Первые сведения о мезолите горного Кавказа (Осетия), МИА, № 126, М.—Л., 1966, стр. 11.

19 აღ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, შუა კავკასიონის სამხრეთი კალთების პალეოლითური ექსპედიციის 1958 წ. მუშაობის ძირითადი შედეგები, ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1959 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, მოხსენებათა ანოტაციები, თბ., 1960, გვ. 6—10.

20 В. П. Любин. Высокогорная пещерная стоянка Кударо I (Юго-Осетия). Известия Всесоюзного географического общества, т. 91, 1959, стр. 173—183.

21 А. Н. Каландадзе, Д. М. Тушабрамишвили, Новые раскопки в пещере Гварджилас Клде, КСИА, АН УССР, № 4, Киев, 1955, стр. 155—157.

22 დ. თუ შ ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, გვარჯილას კლდის პალეოლითური ნაშთები, თბ., 1960.

23 გ. გ რ ი გ ო ლ ი ა, ქვემო ქართლის პალეოლითი, თბ., 1963, გვ. 22.

1957 წლიდან დღემდე აკად. ს. ჭანაშვიას სახ. საქართველოს საზღვრამდენად მუზეუმის წინაფრთხილად ხანის ქართული მატერიალური კულტურის ისტორიის განყოფილება აწარმოებს სისტემატურ კვლევა-ძიებას მდ. ყვირილასა და მის შენაკადთა ხეობებში. ამ სამუშაოების შედეგად კიათურის რაიონში მიკვლეულ ექნა ქვის ხანის ოცზე მეტი ღია სადგომ-სახელოსნო და რამდენიმე კარსტული მღვიმე²⁴. კარსტული მღვიმეებთან მდინარეა მდ. ჭრუჭულას ხეობა, სოფ. ზოდისა და სარეკის ტერიტორია. სოფ. ზოდის ტერიტორიაზე გამოვლენილი ძეგლებიდან მნაშენელოვანა ჩანს ჭრუჭულას მღვიმე, რომლის ზედა ფენის ქვეა ინვენტარში ნათლად ჩანს მუსტიკიდან ზედა პალეოლითზე გადაკვლის ის ეტაპები, რომელიც განვლო საქართველოს ძველიქვის ხანის კულტურამ განვითარების განსაზღვრულ მონაკვეთში²⁵.

ექსპედიციამ 1959 წელს მდ. ჭრუჭულას მარცხენა ნაპირზე, სოფ. სარეკის ტერიტორიაზე მიაკვლია მეზოლითური ხანის თხელი ფენის (7—10 სმ) შემცველ ფარდულს²⁶.

1962 წ. დაზვერვითი სამუშაოების დროს მდ. ჭრუჭულას მარჯვენა ნაპირზე ფიქსირებულ იქნა სამგლე და სამერცხლე კლდის მღვიმეები. აღნიშნული მღვიმეების სტაციონალური გათხრა 1963 წ. დაიწყო. სამგლე კლდეში აღმოჩენილი I კულტურული ფენა შეიცავს ზედა პალეოლითის დასასრულის შესატყვის მასალას, ხოლო II კულტურული ფენის მასალა უნდა ეკუთვნოდეს გვიან აშელისა თუ ადრე მუსტიეს ხანას²⁷.

24 დ. თუ შ ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ჭრუჭულას ხეობის გამოქვაბულები, სპეცლოგოგიურა კომისიის კრებული „საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები“ ტ. I, 1963.

25 დ. თუ შ ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, შუა კავკასიონის სამხრეთი კალთების პალეოლითური ექსპედიციის ყვირილის რაზმის მიერ 1959 წ. ჩატარებული საველე სამუშაოების შედეგები, საქ. სსრ მეცნ. აკადემია, ისტ. ინსტიტუტი, სემენიერო სესია მიძღვნილი 1959 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, მოხსენებათა ანოტაციები და მუშაობის გეგმა, თბილისი 1960, გვ. 14.

26 დ. თუ შ ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური დაზვერვები მდ. ყვირილას ხეობაში ისტორიის ინსტიტუტი, საქართველოში 1958 წ. წარმოებულ საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი მიძღვნ. სამეცნ. სესია, მოხსენების თეზისები, თბ., 1959, გვ. 9.

27 დ. თუ შ ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, აკად. ს. ჭანაშვიას სახელობ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის ყვირილას ხეობის პალეოლითური ექსპედიციის მიერ 1962 წ. ჩატარებული სამუშაოების შედეგები, საქ. სსრ მეცნ. აკად. ისტორიის ინს-

სამერცხლე კლდეში არქეოლოგიური გათხრები 1963—1964 წწ-ში მიმდინარეობდა. აქვე 1966 წ. ჩატარებული იყო დამატებითი სამუშაოები გეომორფოლოგიური და სტრატოგრაფიული ხასიათის ცნობების შევსების მიმართულებით, აქამანავე შეგროვდა დამატებითი არქეოლოგიური მასალაც²⁸.

სამერცხლე კლდეში აღმოჩენილი ზედაპალეოლითური მასალის შესწავლის შედეგები საფუძვლად დაედო წინამდებარე ნაშრომს.

1966 წ. საქართველოს სახ. მუზეუმის ყვირილას ხეობას არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ჭიათურის რაიონში სოფ. მღვიმეში არქეოლოგიური დაზვერვების დროს აღმოაჩინა კიდევ ერთი ზედაპალეოლითური ფენის შემცველი მღვიმე, რომელიც ძუძუნასას სახელით არის ცნობილი²⁹. 1973 წ. ამავე ექსპედიციამ სოფ. რ.განში მდ. ჭერულას მარჯვენა ნაპირზე მდებარე ორთვალა კლდეში აღმოაჩინა ზედაპალეოლითური ნაშთები³⁰.

1960 წ. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტმა, ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მონაწილეობით, დაიწყო წყალწითელას დამარხული (ქახათის) მღვიმის შესწავლა. გათხრებმა მღვიმეში დაადასტურეს 3 მ სისქის ორი ძირითადი კულტურული ფენა. ქახათის მღვიმის ზედა კულტურული ფენა შეიძლება მეზოლითის ეპოქას დაუკავშირდეს, ხოლო ქვედა ფენა მუსტიეს ეპოქის განვითარებულ საფეხურს განეკუთვნება³¹.

უკანასკნელ ხანებამდე იმერეთის ზედაპალეოლითური ძეგლები თითქოს იზოლირებულად იყვნენ წარმოდგენილი. მეზობელი ტერიტორიებიდან არ იყო ცნობილი ამავე დროის ძეგლები, რაც იმერეთის ქვის ხანის ძეგლების სხვა ტერიტორიის ძეგლებთან

ტიტუტი, სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1962 წ. სავლე არქეოლოგიური კვლევების შედეგებისადმი. მოხსენებათა ანოტაცია, თბ., 1963 წ. გვ. 4.

²⁸ მ. ნიორაძე სამერცხლე კლდე, საქართველოს ბუნება, თბ. 1965. № 1, მისივე, სამერცხლე კლდე და მისი ფაუნა, „მაცნე“, № 4, თბ. 1967, მისივე, სამერცხლე კლდის ზედაპალეოლითური კულტურის ზოგიერთი თავისებურების შესახებ, „მაცნე“, № 1, თბ., 1968.

²⁹ დ. თუშაბრაძევილი, ყვირილას ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1967—1968 წლების მუშაობის მოკლე შედეგები, სამეცნიერო სესია მიძღვნილი საქართველოში 1968 წელს წარმოებული სავლე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ., 1969.

³⁰ მისივე, ყვირილას ხეობის პალეოლითური ექსპედიციის მიერ 1973 წ. ჩატარებული სამუშაოების შედეგები (ხელნაწერი).

³¹ ნ. ბერძენიშვილი, ქვის ხანის ახალი ძეგლი წყალწითელას ხეობაში თბ., 1964, გვ. 37.

შედარება-დაპირისპირების საშუალებას არ იძლეოდა. ეს ხარვეზი ახლა უკვე შევსებულია. დღეისათვის დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონებიდანაც გვაქვს ზედა პალეოლითის სხვადასხვა დროის შესატყვისი ძეგლები.

ზედაპალეოლითური დროის საინტერესო აღმოჩენებს აქვს ადგილი შავი ზღვის სანაპიროზე.

ლ. ნ. ზოლოვიოვმა სოფ. წებელდის მახლობლად აღმოაჩინა ორი მღვიმე — ზუპინიპსახვას („ხალოდნი გროტ“) და კეპ-ბოლაზის მღვიმეები, რომლის მასალები ზედაპალეოლითისა და მეზოლითის ხანისა თარიღდება³².

1958 წლიდან დღემდე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის შავიზღვისპირეთის ქვის ხანის შემსწავლელი ექსპედიცია ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით სისტემატურად აწარმოებს პალეოლითური სადგომებზე შესწავლას აფხაზეთის ტერიტორიაზე.

ღია სადგომების პარალელურად ექსპედიციამ მიაკვლია და შეისწავლა კარსტული მღვიმეები. ექსპედიციის მიერ მდ. გუმისთას, ცივი ღელის, ჯამხალის, ქვაჭარის, ამტყელისა და ოქუმის ხეობებში ძველიქვის ხანის სხვადასხვა საფეხურის ნაშთების შემცველი ოცამდე კარსტული მღვიმეა ფიქსირებული³³.

1957 წელს ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ განაახლა სამუშაოები მდ. ხრამის ხეობაში. ექსპედიციამ 1963—67 წწ-ში სამუშაოები ჩატარა წალკისა და დმანისის რაიონებში, ეძანისა (ბარმაქსიზის) და ზურტაკეტის მღვიმეებში, სადაც მიაკვლია მეზოლითური ხანის ნაშთებს³⁴.

1963 წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ენგურპესის მშენებლობასთან

32 Л. Н. Соловьев, Об итогах археологических раскопок в гроте Хупышпшახва в 1960 г. Труды Абхазского института языка, литературы и истории им. Д. И. Гулна, XXXII, Сухуми, 1961.

33 Н. З. Бердзенишвили, Новые данные о палеолите Абхазии, Труды Абхазского института ЯЛИ АН Груз. ССР, вып. XXX, Сухуми, 1959, стр. 159—181; ლ. წებელდის მეზოლითური კულტურა კავკასიის შავიზღვისპირეთში თბ., 1973; გ. ხუბუტია, ოქუმის მღვიმე I-ში ჩატარებული მუშაობის მოკლე ანგარიში, საეღვ-არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1972 წელს, თბ., 1973 გვ. 7—11.

34 მ. გაბუნია, პალეოლითური ნაშთები ეძანის (ბარმაქსიზის) გამოკვლეულიდან, მაცნე № 5, თბ., 1964, გვ. 153—164; მისივე, თრიალეთის მეზოლითური კულტურა, ავტორეფერატი, 1970 წ.

დაკავშირებით, სამეგრელოს ტერიტორიაზე დაზვერვითი სამუშაოები ჩაატარა³⁵. დაზვერვებმა ცხადყო, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთ სამეგრელოსა და ისტორიული სამურზაყანოს ტერიტორია ქვის ხანის ძეგლებით ისევე მდიდარია, როგორც აფხაზეთი და ზემო იმერეთი³⁶.

ენგურის არქეოლოგიური ექსპედიციის ქვის ხანის შემსწავლელმა ჯგუფმა 1963—64 წლების მანძილზე მდ. ერისწყლის ინწრას, ენგურის, მუჟავას, რეჩხის, ოქუმისა და ოხოჯას ხეობებში 30-მდე ქვის ხანის ძეგლი აღმოაჩინა³⁷.

1965 წ. სოფ. ენწერის ღია ტიპის სადგომის ტერიტორიაზე გამოვლინდა მეზოლითური ხანის უძრავი კულტურული ფენა. აღნიშნული ხასიათის ზედაპლელითური ძეგლის აღმოჩენის ფაქტი პირველია კავკასიაში, რაც დღემდე აღმოსავლეთ ევროპის ცენტრალური და სამხრეთი რაიონებისათვის იყო ცნობილი³⁸.

1966—1972 წწ-ში ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დასავლეთ საქართველოს საძიებო არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი გ. გრიგოლია) ფართო დაზვერვითი სამუშაოები აწარმოა რიონ-ენგურის შუამდინარეთში, სადაც ქვის ხანის სხვადასხვა პერიოდის მრავალი ძეგლი აღმოაჩინა ამათგან აღსანიშნავია გეგეკჰორის რაიონში, სოფ. სალხინოში მდებარე ლესხულის მღვიმე, სადაც მეზოლითური დროის ნაშთებია გამოვლენილი³⁹.

დღეისათვის დაახლოებით ასე წარმოგვიდგება ზედა პალეოლითის საკითხის შესწავლის ისტორია საქართველოში.

35 გ. გრიგოლია, მ. ბარამიძე, ენგურპეისის მშენებლობასთან დაკავშირებული საძიებო-არქეოლოგიური ექსპედიციის 1963 წლის მუშაობის შედეგები, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, XIII, სამეცნ. სესია, თბ., 1964, გვ. 10.

36 იქვე.

37 გ. გრიგოლია, კოლხეთის დაბლობის ჩრდილო მთისწინა ზოლის პალეოლითი, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. ისტორიის ინსტიტუტი, XIV სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1964 წ. სავლეთ-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბილისი, 1965, გვ. 3.

38 გ. გრიგოლია, ლ. წერეთელი, მეზოლითური ძეგლი სოფელ ენწერში, მეცნ. № 3, თბ., 1967, გვ. 299—305.

39 გ. გრიგოლია, დასავლეთ საქართველოს საძიებო-არქეოლოგიური ექსპედიციის 1966 წლის მუშაობის შედეგები, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, V, 1973, გვ. 18—38.

§ 2. ზემო იმერეთის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის
გეომორფოლოგიური დასახიანება

ზემო იმერეთის პლატო კოლხეთის ლანდშაფტური ოლქის უკიდურესი აღმოსავლეთი ნაწილია და მოიცავს მდ. ყვირილას აუზას.

ზემო იმერეთს აღმოსავლეთის მხრიდან ლიხის ქედი ესაზღვრება, ჩრდილოეთით—რაჭის ქედი, დასავლეთით—მდ. ცხენისწყლისა და რიონის ქვემო დინებას წყალგამყოფი, ხოლო აკმარეთ-აღმოსავლეთით მისი საზღვარი აჭარა-იმერეთის ქედს გასდევს⁴¹.

გეომორფოლოგიური თვალსაზრისით ზემო იმერეთის პლატო არაერთგვაროვანია. მასზე გენეტიურად და მორფოლოგიურად განსხვავებული რელიეფის ორი ტიპია წარმოდგენილი. ა) კიათურის სტრუქტურული პლატო, რომელიც რეგიონის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს შეადგენს (იწყება რაჭის ქედის ძირიდან და ვრცელდება ძირულა-ჩხერიმელას მთაგრებიდან და ბ) დანაწევრებული პენეპლენი (ძირულის დენუდაციური პლატო), რომელიც რაიონის აღმოსავლეთ და სამხრეთ ნაწილებს მოიცავს⁴².

ჩვენი კვლევის საგანს ზემო იმერეთის პლატოს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი — კიათურის სტრუქტურული პლატო შეადგენს.

კიათურის რაიონი საკმაოდ მაღალი, თითქმის უტყეო ზეგანია, რომლის აბსოლუტური სიმაღლე ზღვის დონიდან 430 მ-დან 800 მ-დეა. იგი ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან შემოსაზღვრულია რაჭის ქედის სამხრეთი კალთებით, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაბა საჩხერის მიქართულებით თანდათან დაბლდება⁴³.

კიათურის რაიონის რელიეფი დანაწევრებულია კარგად განვითარებული ჰიდროგრაფიული ქსელით. მთავარ არტერიას მდ. ყვირილა წარმოადგენს.

40 ლ. მარუაშვილი, საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, თბ., 1964, გვ. 239.

41 Н. Е. Астахов, Л. А. Владимиров, К. С. Гогишвили, М. О. Кордзахия, Л. И. Маруашвили, Е. В. Сохадзе, Физико-географическая характеристика Верхней Имеретии, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემია, ვახუშტის სახელობ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ტ. X, 1958, გვ. 755.

42 ლ. მარუაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 240.

43 А. Г. Бетехтин, Члнатурское местопождение марганца, М., 1964, стр. 8.

მდ. ყვირილა ტიბიური მთის მდინარეა. იგი სათავეს იღებს წონას და ერწოს ქვაბულის რაიონში, რაჭის ქედის აღმოსავლეთ ნაწილის სამხრეთ კალთაზე. მოედინება ვიწრო ტყიან ხეობაში, იერთებს ძირულას და გადის კოლხეთის დაბლობზე, სადაც ერთ-ვის რიონს⁴⁴.

მდ. ყვირილა შემდინარეთა მკიდრო ქსელს ივითარებს. მას სხვა მნიშვნელოვან შენაკადებთან ერთად, სადგურ დარკვეთთან, მარჯვენა მხრიდან, ერთვის პატარა მდინარე ჭრუჭულა. მისი სათავე მდებარეობს რაჭის ქედის სამხრეთ კალთაზე. ზღვის დონიდან 1880 მ სიმაღლეზე. მდ. ჭრუჭულას აუზის ქვემო წელის აგებულებაში გაბატონებულია მესამეული ნალექები და ზედა ცარცული კარქვები⁴⁵. აქ მდინარე კანიონისებურ ხეობაა ქმნიან, რომლის ფერდობებზე იხსნებიან კარსტული მღვიმეები. კ.დ. ჭრუჭულის ხეობა დაახლოებით 2,5 კმ სიგრძისაა.

მდინარეთა რეჟიმი ცვალებადია და დაპოკიდებულია ატმოსფერული ნალექების რაოდენობაზე. წყალდიდობის დროს იხინი ფარავენ ტერასებს, ხოლო მშრალ პერიოდში ან მთლიანად იკარგებიან კარსტულ სიციარელებში, ანდა მოიკლავებიან ვიწრო ზოლის სახით.

ზემო იმერეთის ჰავა მთელი კოლხეთის ლანდშაფტურ ოლქში გამოირჩევა თავისი შედარებით კონტინენტურობითა და სიგრილით, რაც გამოწვეულია მისი დაშორებით შავი ზღვიდან, მნიშვნელოვანი აბსოლუტური სიმაღლით და ა. შ.⁴⁶.

ქიათურის რაიონის საშუალო წლიური ტემპერატურა 13°-ია. ზამთრობით გაბატონებულია ჩრდილო-აღმოსავლეთისა და აღმოსავლეთის ქარები, ხოლო ზაფხულობით—სამხრეთ-დასავლეთისა და დასავლეთის. ნალექების წლიური რაოდენობა 1004 მმ შეადგენს⁴⁷.

ზემო იმერეთში მცენარეულობის ძირითადი პირველადი ტიპი

44 Л. А. Владимиров, Режим стока рек Верхней Имеретии. საქ. სსრ მეცნ. აკად. ვახუშტის სახ. გეოგრაფ. ინსტ. შრომები, ტ. X, თბ., 1958, გვ. 123.

45 ზ. ტ ი ნ ტ ი ლ ო ზ ო ვ ი, მდ. ყვირილას ხეობის გეომორფოლოგიისათვის (სათავედან შორაპნამდე), დისერტაცია, 1954, გვ. 184—198.

46 კ. გ ო გ ი შ ვ ი ლ ი, ზემო იმერეთის ჰავა და მისი წარმომქმნელი ფაქტორები საქ. სსრ მეცნ. აკად. ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ტ. X, თბ., 1958, გვ. 118.

47 მ. კ ო რ ძ ა ხ ი ა, საქართველოს ჰავა, თბ., 1961, გვ. 137—138. ცხრილი 88—89.

— ფოთლოვანი ტყე კარგადაა შენახული ლიხის ქედზე, ძირულა-
ჩხერ იმილას წყალგამყოფზე.

ქიათურის სტრუქტურული პლატოს ფარგლებში ტყე თითქმის
განადგურებულია. ტყის შემორჩენილ ნაკვეთებში ქარბობს: წი-
ფფლო, მუხა, რცხილა, იფანი, წაბლი, ცაცხვი, წაწვიანებიდან მხო-
ლოდ ფიჭვი გვხვდება. დიდი სივრცეები უკავია მცენარეულობის
ჰეორად ტიპებს — ტყის შემდგომ მდელოებსა და ბუჩქნარებს.
გვხვდება აგრეთვე შოკვი, სელშაყი, მაყვალი, ასკილი, გვიძრა, შხა-
მა და ა. შ.⁴⁸

მდ. ყვირილას აუზში ბაიოსის პორფირიტული წყებისა და ფარ-
თოფოთლოვანი ტყის გავრცელების რაიონში ყომრალი ნიადაგე-
ზია, ხოლო ნეშომპალა კარბონატული, ყვითელმიწა და წითელმი-
წა ნიადაგები კი კირქვების გავრცელების უბნებს ემთხვევა⁴⁹.

ზემო იმერეთისათვის დამახასიათებელია ცხოველთა შემდეგი
სახეები: ბუბუჭოვრებიდან გვხვდებიან — ქურციკი, წავი, კაკა-
სიის ტყის კვერნა, კაკასიის კვერნა, სინდიოფალა, მაჩვი, ტურა,
მელა, ტყის გარეული კატა, კაკასიური კურდღელი, ძილგუდა, და-
მურების, ზღარბების, თხუნელას სხვადასხვა სახეობა. თითქმის
მთლიანადაა განადგურებული კაკასიის კეთილშობილი ირემი,
არჩვი, მგელი, ფოცხვერი, დათვი, ციყვი. ზემო იმერეთის დაბლობ
ადგილებში გავრცელებულია აკლიმატიზებული ნუტრია.

ფრინველებიდან აღსანიშნავია: ყორანი, ნაცრისფერი ყვავი.
ჩიჩიკვი, მოლალური, შავი შაშვი, დასავლეთის ბულბული, კოდალა,
ოფოკი. გუგული, ტყის ქათამი, მწყერი, ქორი, მიმინო, კაკასიური
ქოტა და სხვა. კოლხეთის დაბლობზე ძალიან იშვიათად გვხვდება
ბილბობი⁵⁰.

მდ. ყვირილის აუზის რელიეფი ზ. ტინტილოზოვს დანაწილე-
ბული აქვს ორ ძირითად ერთეულად. ჩრდილო ზოლში, საჩხერე-
ქალას ხევით, მთა-ხეობის ტექნიკურ-ფროზიული რელიეფია, მის
ქვევით კი ვიდრე შორაპნამდე — ეროზიული ხეობებისა და პლატო-
ების სტრუქტურულ-დენუდაციური რელიეფი⁵¹. ამ უკანასკნელში,

48 ნ. კეცხოველი, საქართველოს მცენარეული სიფარი, თბ., 1959.

49 მ. საბაშვილი, საქართველოს სსრ ნიადაგები, თბ., 1965, გვ. 162—
166.

50 არჩ. ჯანაშვილი, საქართველოს ცხოველთა სამყარო, თბ., 1963.

51 ზ. ტინტილოზოვი, მდ. ყვირილას აუზის გეომორფოლოგიისათ-
ვის, სადისერტაციო ნაშრომი, გეოგრაფიულ-მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნ.

იმ ადგილას, სადაც ზედა ცარცის კირქვებია გავრცელებული, მდ. ყვირილა და მისი შენაკადები კანიონისებურ ხეობებს ქმნიან, ხოლო რელიეფის დანაწევრების სიღრმე 100—250 მ აღწევს. კირქვების გამოსავლებთან დაკავშირებულია შესანიშნავად გამოხატული კარნიზების განვითარება, ხოლო ბაიოსის პორფირიტული წყების ქანებთან — რელიეფის კლდოვანი უბნები⁵².

ჭიათურის პლატოს იმ ნაწილს, რომელიც მდ. ყვირილას მარჯვენა სანაპიროზეა და 600—800 მ აბსოლუტურ სიმაღლეს აღწევს, პკვეთენ რაჰის ქედიდან ჩაჰომავალი მდინარეები: ჭრუჭულა, კაცხურა, რგანის წყალი და სხვ., რომლებიც თავიანთი კანიონისებური ხეობებით ჭიათურის რაიონის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს ჰყოფენ ქარაფოვანი კიდეებით შემოფარგლულ უბნებად — ზეგნებად ანუ პლატოებად.

ჭიათურის რაიონში, კირქვების გავრცელების ადგილას, მდ. ყვირილას მარჯვენა მხარეზე, მისი დინების შუა ნაწილში წარმოდგენილ პლატოებს, მათ მიდამოებში მდებარე სოფლების მიხედვით, შემდეგი სახელწოდება აქვთ: ბაჯით-საჩხერის ანუ სარეკის (მდ. ჩიხურასა და ჭრუჭულას შორის), დარკვეთის (მდ. ჭრუჭულასა და წყალწითელას ანუ წირქვალს შორის), მღვიმევის (მდ. წყალწითელასა და ბოგირის წყალს შორის), თაბაგრების (მდ. წისკვილის წყლის სათავეებს შორის), ბუნიკაურთსა და ზედა რგანის (მდ. წისკვილის წყალსა და რგანის ღელეს შორის) და რგანის (მდ. ყვირილის მარცხენა მხარეზე). ჭიათურის რაიონის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ვრცელდება: პასიეთ-ქორეთის ანუ ბეინევის (შავლეთის ღელეს აღმოსავლეთით), ითხვისის (შალვეთის ღელესა და ითხვისის ღელეს ანუ დიდღელეს შორის), შუქრუთის (ითხვისის ღელესა და შუქრუთის ღელეს შორის) და პერევისის (შუქრუთის ღელესა და ფრონეს შორის) ზეგნები⁵³ (იხ. სქემა № 1).

ჭიათურის რაიონში პლატოს მაქსიმალური სიგრძობითი გავრცელება 45 კმ-მდე აღწევს, ხოლო მისი მაქსიმალური სიგანე 20 კმ-ს არ აღემატება. ჭიათურის რაიონში წარმოდგენილი პლატოები სამი მხრიდან ეროზიული ხეობებითაა შემოფარგლული. პლატო-

ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1954, გვ. 147—148 (იხ. მდ. ყვირილას აუზის გეომორფოლოგიური რუკა).

⁵² იქვე.

⁵³ შ უ ყ ი ფ ი ა ნ ი, ზემო იმერეთის მაღლობის კარსტული რაიონების გეომორფოლოგიური თავისებურებანი, საქ. სსრ მეცნ. აკადემია, საქართველოს სსრ გეოგრაფიული საზ-ბის შრ., IV, თბ., 1959, გვ. 52.

ები ხშირად საფეხურებრივად ეშვებიან ხეობებისაკენ. მათ ერთ-მანეთისაგან ჰყოფთ კანიონისებური ხეობები. აღნიშნული პლატოების საშუალო აბსოლუტური სიმაღლე 700—750 მ აღწევს, ხოლო დანაწევრების სიღრმე 60—150—200 მ ფარგლებში მერყეობს. ამ პლატოების გეოლოგიური აგებულება მარტივია: უდრეკ კრისტალურ სუბსტრატზე განლაგებულია ზედა ცარცული კირქვებისა და მესამეულის ნალექი შრეები: შუა და ქვედა სარმატი — თიხები, ქვიშაქვები, მერგელები, შუა მიოცენი — თიხები, ქვიშაქვები; ქვედა მიოცენი — ოლიგოცენი — თაბაშირიანი თიხები და ქვიშაქვები⁵⁴. ზედა ცარცული კირქვები დიდი რაოდენობით შეიცავენ ტურონ-სენონის იარუსის მოწითალო, მოყვითალო და მონაცრისფრო კაქს, რომლებიც დიდი რაოდენობით გვხვდებიან ზედაპირულად მესამეული დანალექი შრეებისაგან გადარეცხილ მონაკვეთზე. ასეთებია: რგანის, კაცხის, ჭილოვანის, პერევისის და სხვ. მიდამოები. როგორც ჩანს, ამ გარემოებას აღრევე მიუქცევია პირველყოფილი ადამიანის ყურადღება, რისი მაჩვენებელიცაა ის ნრავალრიცხოვანი ღია სადგომ-სახელოსნოები, რომლებიც ამ პუნქტებშია მიკვლეული⁵⁵.

ზემო იმერეთის პლატოს კარსტული რელიეფი გამონატულია როგორც ზედაპირული, ასევე მიწისქვეშა ფორმებით. კარსტის ზედაპირულ ფორმათა ჯგუფს განეკუთვნებიან კარული ზედაპირები, სხვადასხვანაირი „დოლინები“, უვალები, ქვაბულები, ნაწილობრივ კანიონისებური ხეობები. მიწისქვეშა ფორმები წარმოდგენილია მრავალრიცხოვანი მღვიმეებით, რომელთა უმრავლესობა არქეოლოგიური მასალითაა ცნობილი⁵⁶.

კანიონისებური ხეობების და კარსტული მიწისქვეშა ფორმების განვითარებით ყურადღებას იპყრობს ხეობება, რომლებიც ჭიათურის მარგანეცის რაიონში, კირქვების გავრცელების ზოლში არიან წარმოდგენილნი. ამ მხრივ აღსანიშნავია მდინარე ჯრუჭულას ხეობის ქვემო წელის კანიონისებური მონაკვეთი, რომელიც მოკლე მანძილზე ვრცელდება. ხეობის აღნიშნულ უბანზე კირქვე-

54 შ. ყ ი ფ ი ა ნ ი გვ. 52—53; ზ. ტ ი ნ ტ ი ლ ო ზ ო ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 212.

55 დ. თ უ შ ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური დაზვერვები მდ. ყვირილას ხეობაში, აკად. ს. ჭანაშვიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XXIII—B, 1962, გვ. 24.

56 Л. Маруашвили, Современный рельеф и геоморфологическая история Верхне-Имеретского плато (Дзирульского кристаллического массива) Тр. ин-та географии им. Вахушти, т. X., Тб., 1958, стр. 57.

ზის თითქმის მთელ სისქეზე ეროზია-დენუდაციის შედეგად გაშიშვლებულ პლატოებზე კარგად გამოჩატული ვერტიკალური კალთების გასწვრივ განვითარებულია მრავალრიცხოვანი კარსტული მოვლენები.

კარსტული მღვიმეები აღნიშნულია სოფლების სკანდეს, თუზის, ვაქევის, რჯანის, ზოდის, დარკვეთისა და სხვა ტერიტორიებზე. უმთავრესად კი მდ. ჭრუჭულის კანიონისებური ხეობის მარჯვენა ფერდობზე, დარკვეთ-ზოდის პლატოს ფარგლებშია წარმოდგენილი. ჭიათურის რაიონის ყველაზე მოზრდილ ამ პლატოს ჩრდილოეთით საზღვრავს ორღულ-ბაიეთის ქედი, აღმოსავლეთით — მდ. ჭრუჭულა, სამხრეთით — მდ. ყვირილა, ხოლო დასავლეთით — მდ. წყალწითელა. ამრიგად, აღნიშნული პლატო სამი მხრივ მდინარეებით არის შემოსაზღვრული და კირქვიანი შრეების წოლის შესაბამისად საერთო დახრილობას იჩენს სამხრეთ-აღმოსავლეთით⁵⁷.

დაკარსტვის პროცესში მონაწილეობენ შემდეგი ქანები: შუალიასური ფერადი (უმეტესად წითელი) კირქვები, ქვედა ცარცული (ნეოკომური) და ზედა ცარცული (ტურონისა და სენონის) ნალექები.

ზედა ცარცის კირქვები დიდ ფართობს მოიცავენ ჭიათურის მიდამოებში, სადაც კირქვების მაქსიმალური სიმძლავრე 250 მ შეადგენს, ჩრდილოეთით კი მდ. ჭრუჭულას ზემო წელში იზრდება 30 მეტრამდე. კირქვიანი ზოლის სიგრძე მდ. ყვირილას მარჯვენა მხარეს (დაწყებული ზემო იმერეთის პლატოს დასავლეთი ნაწილიდან საჩხერემდე), რომელშიც მდ. ჭრუჭულას კარსტული რელიეფიც ექცევა, 30 კმ-მდეა, ხოლო სიგანე 10—12 კმ-მდე აღწევს. კირქვების წოლა პორიზონტულია, რაც შეპირობებულია მათ ქვეშ ძირულის მასივის კრისტალური სუბსტრატის სიახლოვით. კირქვიანი შრეები ზემოდან იფარება ოლიგოცენ-მიოცენის თიხიან-ქვიშიანი ნაფენებით, რომლებიც ადვილად ატარებენ ზედაპირულ წყლებს და ვერ აფერხებენ ქანების დაკარსტვას⁵⁸.

ჭიათურის რაიონის კლიმატური პირობები ხელშემწყობია კარსტული მოვლენების განვითარებისათვის. უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთივე ხელსაყრელი კლიმატური პირობები არსებობდა წარ-

⁵⁷ ზ. ტ ი ნ ტ ი ლ ო ზ ო ვ ი, ჭრუჭულას ხეობის კარსტული მღვიმეები, საქ. სსრ მეცნ. აკადემია, სპელეოლოგიური კომისიის კრებული, საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები, ტ. I. თბილისი, 1963 წ. გვ. 65.

⁵⁸ ი ქ ვ ე, გვ. 65—66.

სულ გეოლოგიურ ეპოქებში, როდესაც აქ შუა ლიასურ ფერად კირქვებში და ზედა ცარცულ კირქვებში კარსტული ფორმები ყალიბდებოდა და რომლებიც ამჟამად დამარხულია.

მღვიმეების და საერთოდ კარსტული მოვლენების განვითარებაში გარკვეული როლი ენიჭება რაიონის გეომორფოლოგიურ პირობებს. ზემო იმერეთის პლატოს ოდნავ შემადლებული რელიეფი ხელსაყრელ პირობებს ქმნის წყლების (წვიმის, თოვლის), ინტენსიური ჩაჟონვისათვის, რაც კირქვების დაკარსტვას იწვევს.

მღვიმეები მდ. ყვირილას ხეობაში და მის შემდინარეთა ქვედა ნაწილებში ორ საართულად ვრცელდება: მდინარის დონიდან 30—35 და 120—140 მ-ის სიმაღლეზე მდ. ყვირილასა და მის შენაკადთა კანიონისებურ ხეობებში სალიეთ-საჩხერის მონაკვეთზე მღვიმეები კარგადაა წარმოდგენილი. აღსანიშნავია ქვედა რგანის რამდენიმე მღვიმე, აგრეთვე გვარჯილას კლდის, ჯვარის, აკვანას, მღვიმეის, სატოპავის, უდაბნოს, კიპის გორის, ნაციხვარის კლდის, პასიეთის, დარკვეთის, კლდის თავის, წინწკილიას, ხვედელიძეების, თარო კლდის, ღამე კლდის და სხვ. ასევე კარგადაა წარმოდგენილი კარსტული მღვიმეები და ფარდულები მდ. ჭრუჭულას მარცხენა, განსაკუთრებით კი მარჯვენა ნაპირის აშგებ კირქვებს ქანებში.

დ. თუშაბრამიშვილის⁵⁹ და ზ. ტინტილოზოვის⁶⁰ მიერ დარკვეთ-ზოდის პლატოს რაიონში რამდენიმე ათეული ეხი და მღვიმეა დამოწმებული, ბევრი მათგანი დეტალურადაა შესწავლილი.

დ. თუშაბრამიშვილის მიერ მდ. ჭრუჭულას ხეობაში მდინარის მარჯვენა ნაპირზე ფიქსირებულია შემდეგი მღვიმეები: სამელე კლდე (70 მ), რაქველების კლდე (იგივე თარო კლდე 60 მ), ჭრუჭულას მღვიმე (30—35 მ), სამგლე კლდე (30—35 მ), სამერცხლე კლდე (იგივე დარკვეთის მღვიმე 15 მ), ხვედელიძეების მღვიმე (6—7 მ) და სხვ. ზ. ტინტილოზოვმა ამ მღვიმეებიდან დეტალურად მხოლოდ სამი მათგანი შეისწავლა: ხვედელიძეების კლდის ორსართულიანი კარსტული მღვიმე, დარკვეთის კარსტული ქა და მღვიმე (იგივე სამერცხლე კლდე) და თარო კლდე.

საკვლევი ტერიტორიის კარსტულ ფორმათა შორის უნდა გან-

⁵⁹ დ. თუშაბრამიშვილი, ჭრუჭულას ხეობის გამოქვაბულები, საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები, სპელეოლოგიური კომისიის კრებული. ტ. I, თბ., 1963, გვ. 167—182.

⁶⁰ ზ. ტინტილოზოვი, ჭრუჭულას ხეობის კარსტული მღვიმეები საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები, სპელეოლოგიური კომისიის კრებული, ტ. I, თბ., 1963, გვ. 65—77.

ვასხვავოთ უძველესი, ძველი და ახალგაზრდა კარსტული ფორმები. უძველესი და ძველი კარსტული ფორმები ამჟამად დამარხულია და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში მუდავნდებიან ზედაპირზე. ისინი შესაბამისად იურულ-ცარცული (შუა და ზედა იურულ და ქვედა ცარცულ) და ცარცულ-მესამეული (სენოჰანურ-პალეოცენურ-ეოცენურ) ხნოვანობისაა. ახალგაზრდა კარსტული ფორმების აბსოლუტური ხნოვანობა სარმატის საუკუნის შემდგომი არის, ე. ი. ის პლიოცენურ-მეოთხეული ხნოვანობისაა. განვითარების ადრეულ ეტაპზე მდ. ჭრუჭულას ხეობაში გაჩნდნენ პირველი კარსტული მღვიმეები — სამელე კლდე, თარო კლდე. განვითარების შემდგომ ეტაპზე წარმოიშვა დარკვეთის კარსტული მღვიმე (იგივე სამერცხლე კლდე), რომლის დერეფნები და დარბაზები მეტი სიმაღლით და დამუშავებით გამოირჩევა, ვიდრე თარო კლდის. ხვედელიძეების კლდის მღვიმე კი შედარებით ახალგაზრდა წარმონაქმნია⁶¹. აღნიშნული მღვიმეების მორფოგრაფიული შესწავლის შედეგად ჩანს, რომ ინტენსიური კარსტული მოვლენები დარკვეთის პლატოს მიდამოებში ამჟამად ყველაზე ქვედა პორიზონტულ მღვიმეებში მიმდინარეობს, რომლის ტიპური მაგალითი ხვედელიძეების კლდის ორსართულიანი კარსტული მღვიმეა.

მდ. ჭრუჭულას ხეობის ყველა ძველი მღვიმე მუსტიცედან მოყოლებული ფეოდალური პერიოდის ჩათვლით, ამა თუ იმ ხარვეზებით, ადამიანის მიერ იყო გამოყენებული საცხოვრებლად. ამის დასაბუთებას წარმოადგენს დ. თუშაბრამიშვილის მიერ მდ. ჭრუჭულას ხეობის სხვადასხვა მღვიმეში ჩატარებული გათხრები⁶².

პირველყოფილი ადამიანის ცხოვრების კვალი დადასტურდა სამერცხლე კლდის მღვიმეშიც, რომელიც ჩვენი კვლევის ძირითად საგანს წარმოადგენს.

61 ნ. ტ ი ნ ტ ი ლ ო ზ ო ვ ი, დასახ. ნაშრომი გვ. 74—75.

62 დ. თუ შ ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ჭრუჭულას ხეობის გამოქვაბულები, სპარტელოს მღვიმეები და გამოქვაბულები, სპელეოლოგიური კომისიის კრებული, ტ. I, თბ., 1963, გვ. 167—182.

არქეოლოგიური კვლევა-ძიება სამერცხლე კლდეში

1958 წლიდან დაწყებული დღემდე, ჭიათურის რაიონში, სოფ. ზოდში, მდ. ყვირილის მარჯვენა შენაკადის, მდ. ჭრუჭულას ხეობაში, არქეოლოგიურ დაზვერვებს და გათხრებს აწარმოებს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქვის ხანის შემსწავლელი ექსპედიცია.

ამ სამუშაოებს შედეგად მიკვლეული და მეცნიერულად შესწავლილია ბევრი მღვიმე და კლდოვანი ეხი, მათ შორის სამერცხლე კლდის მღვიმეც.

ამ ექსპედიციის მიერ 1962 წელს სამერცხლე კლდეში მცირე მასშტაბის გათხრითი სამუშაოები იყო ჩატარებული, რის შედეგადაც მოპოვებული იყო ადრებრინჯაოს და ქვის ხანის მასალები¹.

1963 წ. ყვირილის ხეობაში არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას აწარმოებდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიცია, რომლის ერთ-ერთმა რაზმმა (ხელმძღვ. მ. ნიორაძე) სამერცხლე კლდეში სავსე სამუშაოები ჩაატარა.

არქეოლოგიური გათხრები სამერცხლე კლდის მღვიმეში გაგრძელდა 1964 წელსაც. ორი საზაფხულო კამპანიის განმავლობაში შეგროვდა საინტერესო მასალა, რომელიც მეტ-ნაკლებად სრულ წარმოდგენას იძლევა სამერცხლე კლდის ბინადართა კულტურის შესახებ².

¹ დ. თუ შ ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ჯეოლოგის ხეობის პალეოლითური ექსპედიციის მიერ 1962 წ. ჩატარებული სამუშაოების შედეგები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ისტორიის ინსტიტუტი, სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1962 წ. სავსე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, მოხსენებათა ანოტაციები, თბ., 1963, გვ. 3-5.

² მ. ნ ი ო რ ა ძ ე, სამერცხლე კლდე, საქართველოს ბუნება, თბ., 1965, № 1. მ ი ს ი ე ვ ე, სამერცხლე კლდე და მისი ფაუნა, მაცნე თბ., 1967, № 4.

1966 წელს კი აღნიშნულ მღვიმეში ჩატარებული იყო დამატებითი სამუშაოები, როგორც ხსენებული ნაბინავარისა და მისი მიდამოების გეოლოგიური და გეომორფოლოგიური ცნობების შევსების. ასევე მღვიმეში დადასტურებული სტრატეგრაფიის დაზუსტების მიმართულებით. ამასთანავე შეგროვდა დამატებითი არქეოლოგიური მასალაც.

§ 3. ძეგლის ზოგადი დახასიათება

სამერცხლე კლდე მდებარეობს სოფ. დარკვეთისა და ქვედა ზოდის გამყოფი ხევის ზოლში, მდ. ჭრუჭულას მარჯვენა ნაპირზე, ზღვის დონიდან 600 მეტრის, ხოლო მდ. ჭრუჭულას ზედაპირიდან 12—13 მ სიმაღლეზე (ტაბ. I).

ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით მღვიმემ სახელწოდება მიიღო იმის გამო, რომ ადრიდანვე მერცხლებს მის შესასვლელში ბუდეები ჰქონდათ გაკეთებული. დღესაც მღვიმის წინ უამრავი მერცხლები დაფრინავენ.

მისი შესასვლელი მიმართულია სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ და დღის შუქიც საკმაოდ ანათებს მის წინა პირველ ნახევარს, სადაც ყველაზე მეტი მატერიალური კულტურის ნაშთები, ცეცხლისა და ნასუფრალის ნიშნები (ცხოველების დამტკრეულ-დამწვარი ძვლები და კბილები) იქნა აღმოჩენილი. შესასვლელიდან დაახლოებით 15 მეტრის სიგრიდან მღვიმე ვიწროვდება და უხვევს ბარცხნივ, საიდანაც იწყება მისი ბნელი ნაწილი.

სამერცხლე კლდე წარმოადგენს დიდ კარსტულ ღრმულს, რომელსაც ოვალური მოყვანილობის წინხედი აქვს (ტაბ. II). მღვიმე გამჭოლია, ჰაერის მოძრაობა კარგად შეიმჩნევა მღვიმის შესასვლელ ნაწილში. ჰაერის ტემპერატურა 13—14°-ია. მღვიმის სიგრძე რამდენიმე ასეული მეტრია. მღვიმე გადის სოფ. დარკვეთში, სადაც ის მიწის ზედაპირზე ამოდის ჰის სახით. სიგანე შესასვლელთან 12 მეტრია, სიმაღლე — 15 მეტრი. სამერცხლე კლდეს არ აქვს არც სწორი მიმართულება, არც თანაბარი სიგანე და არც სიმაღლე. სიღრმისაკენ მღვიმის თანამედროვე იატაკი იწევს ძალა და ამდენად მისი სიმაღლე კლებულობს. სამერცხლე კლდეს შესასვლელთან აქვს 9—10 მ სიმაღლის ფლატე, რომელიც თითქმის მდ. ჭრუჭულას დონემდე ჩადის. ფლატეს წინ უზარმაზარი ლოდე-

მ ი ს ი ვ ე, სამერცხლე კლდის ზედაპალოლოგიური კულტურის ზოგიერთი თავისებურების შესახებ, მაცნე, თბ., 1968, № 1.

ბი ყრია, რომლებიც ზევიდან არიან ჩამოვარდნილი. შესასვლელ ბუჩქოვანი მცენარეულობითაა შენიღბული, ისე რომ მღვიმეში შესვლა ხერხდება მხოლოდ გვერდიდან, სხვა მხრივ მას მოხერხებულ მისადგომი არ აქვს.

მღვიმის მარჯვენა კედლის გასწვრივ პერიოდულად გაედინება წყლის მცირე ნაკადი, რომელიც ძლიერ დიდდება წვიმებისა და თოვლის დნობის პერიოდში, მშრალ ამინდებში კი თითქმის შრება. მღვიმის ფსკერზე ყრია წყლის მიერ ჩამოტანილი მასალა ქვების, ლოდების, ქვიშის, მარგანეცისა და სხვათა სახით. მღვიმეს შესასვლელიდან მე-200 მეტრზე აქვს 12 მ სიმაღლის და 8 მ სიგანის გუმბათისებური დარბაზი, რომლის თალიდან განუწყვეტლივ წვეთავს. მას ცვლის ვიწრო და მაღალი დერეფანი, რომლის ჰერზე ფართო ნაპრალები და მრავალრიცხოვანი ხვრელები მოჩანს. ამის შემდეგ მღვიმეში 6 მეტრის სიმაღლის საფეხურია წარმოდგენილი. სიღრმეში ფსკერის მაღლა აწევა კიდევ უფრო მნიშვნელოვნად ამცირებს მღვიმის სიმაღლეს. სიღრმისაკენ მღვიმის იატაკზე წარმოდგენილია ქვაბულისებური ჩაღრმავებანი, რომლებიც ზოგიერთ შემთხვევაში მცირე სიღრმის შეგუბებულ ტბებს აჩენს. სამერცხლე კლდის მიწისქვეშა დინებას ახასიათებს ჩანჩქერებისა და ტბების მორიგეობა. იატაკზე ჰერიდან ჩამოვარდნილი ვეებერთელა ლოდები ყრია. მღვიმის უკანა ნაწილში აღსანიშნავია ატმოსფერული ნალექების ხარჯზე წარმოქმნილი ქვაბულიანი ტბები, რომლებიც ზოგჯერ წელამდე სწვდება ადამიანს. ისე, რომ, მღვიმის ერთი თავიდან მეორე ბოლოში გასვლა არც თუ ისე მოსაზერებელია. მღვიმის კედლები სინოტივის გამო ღებულობენ სხვადასხვა ფერს. კირქვა ღია ვარდისფერია, შესასვლელთან კედლებს გადაკრული აქვს მწვანე ხავსი. კედლები მკაფიოდ ატარებენ ეროზიის კვალს, ზედაპირიდან შემოსული წყლების გავლენას. მღვიმის შიგნით წყლების ჟონვა ძლიერდება. კედლებზე გვხვდება კალციტოვანი ნალვენტები, რომლებიც უმთავრესად ფარდის მსგავსი წარმონაქმნებისა და კალციტოვანი ზედაპირების სახითაა წარმოდგენილი. ეს უკანასკნელი კი მღვიმის კედლებზე ღვარებისაგან დაცულ ადგილებშია განვითარებული. იმის გამო, რომ ჰერიდან ადგილადგილ ჟონავს წყალი, ჰერის მთელი ზედაპირი დაფარულია ერთიანი და საკმაოდ სქელი სტალაქტიტური ქერქით. სტალაგმიტები მღვიმეში ძალზე სუსტადაა გამოსახული, გამდინარე ნაკადი შეუძლებელს ხდის მათ აღმოცენებას, ე. ი. სამერცხლე კლდეში წარმოდგენილია მექანიკური და ქიმიური ნალექები. მექანიკური ნალე-

ქია დროებითი ღვარების მიერ მოტანილი და მღვიმის ქერიდან ჩამონგრეული ვეებერთელა ლოდების გროვა. ქიმიური ნალექი კი არის ნალღენთი წარმონაქმნები.

მღვიმის სიღრმეში გაფართოებული და შევიწროებული დერეფნები მორიგეობენ. გაფართოებული ადგილები ზედაპირული წყლების შემოსვლის უბნებთანაა დაკავშირებული, რომელთაც განაუ ჰრილში ვანსხვაებული ფორმა აქვთ.

სამერცხლე კლდის მღვიმე გასასვლელისაკენ თანდათანობით ვიწროვდება. შესასვლელიდან 440-ე მეტრზე გვირახს ვიწრო ყელი აქვს, სადაც ადამიანს გაუჭირდება გაძრომა. მისი სიმაღლე 50 სმ-ს აღწევს და დაახლოებით 10—15 მეტრზე ვრცელდება. ეს ვიწრო ყელი ერთადერთი გზაა მღვიმიდან გამოსასვლელად. მის ფსკერზე დაკუთხული კირქვის ლოდებია ამოჩრილი. ნაპრალი გადის სოფ. დარკვეთში და უერთდება ჰას, რომელსაც მოზრდილი ძაბრის ფორმა აქვს. ჰასის სიღრმე 20 მეტრია, ხოლო სიგანე—8 მეტრი. ჰა, ისევე როგორც სამერცხლე კლდის შესასვლელი, მდინარე ჭრუჭულის ხეობიდან, ბუჩქოვანი მცენარეულობითაა შენიღბული. მას აქვს შვეული კედლები, მის ფსკერზე ყრია წყლის მიერ ჩამოტანილი ლოდები, ხის ტოტები და სხვა. ჰასის ფსკერის ახლოს იხსნება ნაპრალი, რომელიც მღვიმეში ატარებს წყალს და ჰასს აკავშირებს გვირაბთან.

§ 4. ძეგლის სტრატოგრაფიისათვის

სანამ ძეგლის გათხრას შეეუდგებოდით გავწმინდეთ მისი წინა ფართობი და ავგეგმეთ. მღვიმის წინა ნაწილი დავყავით კვადრატებად 1×1 მ. კვადრატების ურთიერთგადამკვეთი ხაზები აღვნიშნეთ ლათინური ასოებით და არაბული ციფრებით. სულ მივიღეთ 152 კვადრატი (ტაბ. 111). ის კვადრატები, რომლებიც მდებარეობენ კედლების გასწვრივ არ არიან სრული, რაც გამოწვეულია მღვიმის კედლების არაწესიერი მოყვანილობით. გავავლეთ ცენტრალური ხაზი, რომელიც მღვიმის წინა ფართობს ჰყოფდა ორ ნაწილად. მღვიმის კედლებზე დავიტანეთ „0“-ის ხაზი, საიდანაც ვაწარმოებდით კულტურულ ფენაში აღმოჩენილი ნივთების მდებარეობის სიღრმის გაზომვას.

ქერ კიდე 1962 წელს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქვის ხანის შესწავლელი ექსპედიციის მიერ სამერცხლე კლდის მღვიმეში a₁—a₉; b₁—b₉ კვ-ში გაიჭრა საძიებო თხრილი № 1,

სადაც მოპოვებული იყო ადრეული ბრინჯაოსა და ზედაპალეოლითური დროის მასალები³. A₃-E₃ კვადრატებში გაიწმინდა ადრეული ბრინჯაოს ხანის ბავშვის ორმოსაპარხები, რომელიც სანახევროდ დაზიანებული იყო მღვიმის სიღრმეიდან პერიოდულად გამდინარე ნაკადულის მოქმედებით. ჩონჩხი ძლიერ ცუდად იყო შენახული და იმდენად იყო დაშლილი, რომ მისი ფორტოფიქსაცია არ მოხერხდა⁴.

ამავე არქეოლოგიამ საბიებო თხრილი № 2 გააკლავ მღვიმის შიდა ნაწილში, კერძოდ E₁₁-E₁₂; H₁₁-H₁₂; I₁₁-I₁₂; K₁₁-K₁₂ კვადრატების გასწვრივ, სადაც ზედა პალეოლითის დროისათვის დამახასიათებელი კაქის იარაღ-აბჯეცები აღმოაჩინა⁵.

1963 წელს არქეოლოგიური გათხრები დავიწყეთ ცენტრალური ღერძის მარცხენა მხარეს. გავთხარეთ C, D, E, F₁₋₉ კვადრატები, სადაც გამოვლინდა სტრატოგრაფიულად განსხვავებული შვიდი ჰორიზონტი. კვადრატებს ვთხრიდით თხელი ფენების თანდათანობით აღებით. 1963 წ. გათხრილი ფართობის რაოდენობა 50 მ²-ს უდრდა.

როგორც აღვნიშნეთ, მღვიმის მარჯვენა კედლის გასწვრივ გაედინება მცირე ნაკადული. მღვიმის ამ ნაწილში H₃-H₄; I₃-I₄ კვადრატების გასწვრივ გავაკეთეთ 2x2 მ ფართობის საცდელი თხრილი № 3. მალე დავედით კლდოვან საფუძველზე. როგორც გამოირკვა, მღვიმის მარჯვენა ნაწილში კულტურული ნაშთები გადარეცხილია.

ცენტრალური ღერძის მარცხენა ნაწილში გავაკეთეთ გრძივი და განივი ჭრილები (ტაბ. IV და ტაბ. V).

სამერცხლე კლდის გრძივ (C₁-C₉ კვადრატების დასაწყისის გასწვრივ და განივ (C, D, E, F₁₋₉ კვადრატების გასწვრივ) ჭრილებში შვიდ-შვიდი ფენაა ფიქსირებული (ჭრილი № 1, № 2). როგორც გრძივ, ასევე განივ ჭრილში ნათლად ჩანდა ფენათა თანამიმდევრობა და მათი გავრცელება. ვინაიდან განივი და გრძივი ჭრილე-

3 დ. თუ შ ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ევრილის ხეობის პალეოლითური ექსპედიციის მიერ 1962 წ. ჩატარებული სამუშაოების შედეგები, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი, სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1962 წლის სავალე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, მოხსენებათა ანოტაციები, თბ., 1963, გვ. 3-5.

4 დ. თუ შ ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ. გვ. 4.

5 ი ქ ე ე.

ზის ფენები ერთმანეთის ანალოგიურია, ამიტომ განვიხილავთ მხოლოდ გრაივ ჭრილს (ჭრილი № 2).

1-ლი ფენა. სილოვანი, მარგანეცნარევი; კულტურულ ნაშთებს არ შეიცავს, 10—20 სმ სიმძლავრის.

მე-2 ფენა. ქვიშნარი, ლორღისა და მარგანეცის ჩანართებით, კულტურული ნაშთების შემცველი, 20—35 სმ სიმძლავრის.

მე-3 ფენა. თიხანარევი ქვიშნარი, მარგანეცისა და ლორღის ჩანართებით, კულტურული ნაშთების შემცველი, 25—40 სმ სიმძლავრის.

მე-4 ფენა. თიხნარი მოწითალო, ქვიშანარევი, მარგანეცის ჩანართებით, კულტურული ნაშთების შემცველი, 35—60 სმ სიმძლავრის.

მე-5 ფენა. ლორღნარი, მარგანეცნარევი, შემკვრივებული, სტერილური ფენა, 10—35 სმ სიმძლავრის.

მე-6 ფენა. თიხნარი მოყვითალო, ქვიშანარევი, ლორღის, მარგანეცისა და ლოდების ჩანართებით, კულტურული ნაშთების შემცველი, 45—70 სმ სიმძლავრის.

მე-7 ფენა. თიხნარი, ღია მოყვითალო ცხიშოვანი, ლორღნარევი, ლოდების ჩანართებით, კულტურული ნაშთების შემცველი, 10—60 სმ სიმძლავრის.

ამრიგად, ვერტიკალურ ჭრილში ფენების სიმძლავრე დაახლოებით 3 მეტრია, მე-2, მე-3 და მე-4 ფენები შეიცავს ადრეული ბრინჯაოს პერიოდის კულტურულ ნაშთებს. ეს ფენები შეადგენენ I კულტურულ ფენას. მე-6 ფენა, რომელიც შეიცავს ზედაპალეოლითურ ნაშთებს შეადგენს II კულტურულ ფენას. მე-7 ფენა კი შეიცავს ქვედა პალეოლითის ეპოქის ერთეულ ნაშთებს.

I კულტურული ფენა მხოლოდ მღვიმის შესასვლელში a, b, c, d, e, f₁₋₉ კვადრატებში ვრცელდება. მისი საერთო სიმაღლავრე 1.35 სმ-ია, მაგრამ გავრცელებას მანძილზე მისი სისქე ყველგან ერთნაირი არ არის. c₁—c₉ კვადრატების დასაწყისის გასწვრივ გრძივ ჭრილში I კულტურული ფენის მაქსიმალური სისქე c₇—c₈ კვადრატებშია (1.30—1.35 სმ), ხოლო მინიმალური — c₆ კვადრატში (90 სმ). c, d, e f₉₋₉ კვადრატების გასწვრივ განივ ჭრილში I კულტურული ფენა ყველაზე უფრო ძლიერია c₉—d₉ კვადრატებში. მისი სისქე აქ 1.30 სმ-ია. e₉—f₉ კვადრატებისაკენ I კულტურული ფენის სისქე კლებულობს და e₉ კვადრატში 75 სმ-ია.

მსგავსი სურათი ჩანს II კულტურული ფენის გავრცელებაშიაც. აღნიშნული ფენა ვრცელდება არა მარტო მღვიმის შესასვლელში და მის წინა ნაწილში a, b, c, d, e, f₁₋₉ კვადრატებში, არამედ მის სიღრმეშიაც, რაზედაც ქვევით შევჩერდებით. II კულტურული ფენის საერთო სიმძლავრე 45—70 სმ-ია. აღნიშნული ფენა c₁—c₉ კვადრატების დასაწყისის გასწვრივ გრძივ ჭრილში მაქსიმალურ სისქეს c₆ კვადრატში აღწევს (70 სმ), ხოლო c₄ კვადრატში მისი სისქე 40 სმ-ია. c, d, e, f₉₋₉ კვადრატის გასწვრივ მდებარე განივ ჭრილში კი მას თითქმის თანაბარი სისქე აქვს —60—70 სმ.

III კულტურული ფენა ვრცელდება მხოლოდ a, b, c, d, e, f₁₋₇ და c, d, e₉₋₉ კვადრატებში. მისი საერთო სიმძლავრე 10—60 სმ-ია. c₁—c₉ კვადრატების დასაწყისის გასწვრივ გრძივ ჭრილში ნათლად ჩანდა, რომ III კულტურული ფენა იწყებოდა c₉ კვადრატში, სადაც მისი სისქე 10 სმ-ია და მთავრდებოდა c₇ კვადრატში (10 სმ). ხოლო c, d, e, f₉₋₉ კვადრატების გასწვრივ განივ ჭრილში იწყებოდა c₉ კვადრატში, ხოლო მთავრდებოდა e₉ კვადრატში. როგორც ეს ჭრილებიდან კარგად ჩანს, სამეგრეოს კლდის მღვიმის კლდოვანი საფუძველი ამ კვადრატებში ჩაღრმავებული მოყვანილობისაა და სწორედ ეს ჩაღრმავებაა ამოვსებული აღნიშნული ფენით. III კულტურული ფენა გადაარეცხილია და დარჩენილია მხოლოდ ამ ფენის მცირე ნაწილი.

1964 წელს გავთხარეთ მღვიმის შესასვლელთან და მის წინა ნაწილში დარჩენილი a₁₋₉, b₁₋₉ კვადრატები და ამით დავასრულეთ მისი წინა ფართობის გათხრა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სამეგრეოს კლდის მარჯვენა კედლის გასწვრივ მდებარე g, h, i, k, l, m, n₁₋₉ კვადრატებს, რომლებიც არ გავვითხრია ლოდებისა და წყლის მცირე ნაკადის არსებობის გამო.

სამეგრეოს კლდის წინა ნაწილის გათხრების შემდეგ სამუშაოები გადავიტანეთ მის ნახევრად ბნელ ნაწილში, სადაც გავთხარეთ c, d, e, f, g, h, i, k, l, m, n₁₀₋₁₄ კვადრატები, სულ დაახლოებით 50 მ² ფართობი. გავაკეთეთ განივი (h, i, k, l, m₁₃₋₁₃ კვადრატების გასწვრივ) ჭრილი № 3 (ტაბ. VI), სადაც სულ ხუთი ფენაა ფიქსირებული.

1-ლი ფენა. მოშავო ფერის თიხანარევი სილნარი, ლორღისა და მარგანეცის ჩანარებით, კულტურულ ნაშთებს არ შეიცავს. 10—55 სმ სიმძლავრის.

მე-2 ფენა. მოყვითალო ქვიშანარევი თიხნარი, ლორღისა და

მარგანეცის ჩანართებით, კულტურული ნაშთების შემცველი, 35—60 სმ სიმაღლის.

მე-2^ა ფენა. ქვიშანარევი თიხნარი, ღორღის, მარგანეცის და დიდი ლოდების ჩანართებით, კულტურული ნაშთების შემცველი, 20—40 სმ სიმაღლის.

მე-3 ფენა. მოყვითალო თიხნარი (ჩართული ფენა). (ეს ფენა სოლისებურადაა შექრილი მე-2 ფენაში და ჰყოფს მას მე-2 და მე-2 ფენებად), სტერილური, 10—45 სმ სიმაღლის.

მე-4 ფენა. მოწითალო-მოშავო ფერის გადაწვარი თიხნარი (ნაკერალი ფენა), 25—40 სმ სიმაღლის.

მე-5 ფენა. მარგანეცნარევი ქვიშნარი, სტერილური, 10—20 სმ სიმაღლის.

ამრიგად, ვერტიკალურ ჭრილში ფენათა სიმაღლვრე დაახლოებით 1.35 სმ-ია. 1-ლი, მე-3 და მე-5 ფენები სტერილური ფენებია, ხოლო მე-2 და მე-4 ფენები შეიცავენ ზედაპალეოლითურ მასალას და შეადგენენ II კულტურულ ფენას.

II კულტურული ფენის სიმაღლვრე მღვიმის ამ ნაწილში 1.20 სმ-ია. იგი h, i, k, l₁—l₃ კვადრატებში ორ ნაწილადაა გაყოფილ: სოლისებურად შექრილი მოყვითალო თიხნარი ფენით, რაც წყლის მოქმედების შედეგად უნდა იყოს წარმოქმნილი.

სამერცხლე კლდის მღვიმის l₁—l₃ კვადრატებში ზედაპალეოლითური კერა იყო მიკვლეული.

როგორც ირკვევა მღვიმის წინა ნაწილში გამოვლენილი II კულტურული ფენა ვრცელდება სიღრმეშიც. მე-2 და მე-4 ფენებში აღმოჩენილი კაჟისა და ობსიდიანის (ერთეულების სახით) წარმოების ნაშთები და იარაღები, აგრეთვე ძვლის იარაღები და ფაუნისტური მასალა, მღვიმის წინა ნაწილში გამოვლენილი II კულტურული ფენის კოლექციის მსგავსია და იგივეობრივი, ამიტომ ჩვენ მათ ერთად განვიხილავთ.

როგორც აღვნიშნეთ, მღვიმის შედარებით ბნელ ნაწილში გამოვლენილ მე-4 ფენაში ზედაპალეოლითური კერა იყო მიკვლეული. ეს ფენა დიდი რაოდენობით შეიცავდა ქვისა და ძვლის იარაღებს, წარმოების ნაშთებს, დამტვრეულ ძვლებს, ნახშირის ნაკვებებს და სხვ. კაჟისა და ძვლის იარაღთა უმრავლესობა თავმოყრილი იყო სწორედ კერის ირგვლივ. ზოგიერთ იარაღს და ცხოველის ძვლებს ეტყობათ ცეცხლში მოხვედრის კვალი.

გათხრების შედეგად ნათელი გახდა, რომ მღვიმის ამ ნაწილში არ იყო ფიქსირებული I კულტურული ფენა.

II კულტურული ფენა ვრცელდება მღვიმის კიდევ უფრო ბნელ ნაწილშიც, სადაც გავაკეთეთ 2x2 მ ფართობის საძიებო თხრილი № 4. ამ მასალასაც, სხვა ზედაპალოლოთურ ნაშთებთან ერთად განვიხილავთ ქვემოთ.

სამერცხლე კლდის მღვიმეში გამოვლენილი ფენების რაობის დასადგენად დიდი მნიშვნელობა აქვს მათ გენეზისს. ამისათვის მდ. ჭრუჭულას ხეობაში უკვე საკმაო ფაქტიური მასალაა დაგროვილი სხვა მღვიმეების და პირველ რიგში ჭრუჭულას მღვიმის კულტურული ფენების შესწავლის შედეგად. ამ დაკვირვებათა მიხედვით ნათლად ჩანს, რომ მღვიმის იმ ნაწილში, სადაც ადამიანი ცხოვრობდა, უძველესი პერიოდიდან მოყოლებული კირქვის დიდი და პატარა ლოდები ცვიოდა ჭერიდან. ასეთი რამდენიმე ლოდი სამერცხლე კლდის მღვიმის შესასვლელთან ყოია, ამგვარი ლოდები მღვიმის სიღრმეშიც უხვადაა. სამელე კლდეში ასეთ ჩამოქცევებს ისეთი დიდი ადგილი უჭირავს, რომ ქვედა ფენების გათხრები ლოდების აფეთქების გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია.

სამერცხლე კლდის მღვიმის № 1 და № 2 ჭრილებში ფიქსირებული 7-7 ფენიდან 1-ლი და მე-5 ფენები სტერილური თხელი ფენიბია და წარმოდგენილა არიან სილა-თიხნარით. კარქვი, ღორღისა და მარგანეცის, სხვადასხვა სიდიდის ნაგორება ქვებია ჩანართებით. ასეთი სტერილური ნალექები, სხვადასხვა სიმკლავრით, ჭრუჭულასა და სამგლე კლდის მღვიმეებშიც არის ფიქსირებული, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ისინი მღვიმეებში უნდა მოხვედრილიყვნენ პლატოს ზედაპირიდან, კარსტული სასულებების გზით, ატმოსფერულ ნალექებთან ერთად.

ამყამად, ჭრუჭულას თითქმის ყველა კარსტული მღვიმე, უშუალოდ დაკავშირებულია ზედაპირთან კარსტული ძაბრ-გვირაბებით, ამიტომ მათში ძალზე სწრაფად ჩადიან ზედაპირული წყლები, ჩაქვთ მიწა-ღორღი და მათ შორის კირქვისა და მესამეულის ნალექების საზღვართან გაშიშვლებულა მარგანეცის მადნის დიდი და პატარა ნატეხები. ცხადია, ეს ძირითადად უფრო გაზაფხულზე ხდება, როდესაც ხშირი და უხვი წვიმები ზედაპირზე მოზრდილ ნიაღვრებს წარმოშობენ და ისინი დარკვეთის პლატოს სხვადასხვა კარსტულ ძაბრებსა და ხვრელებში იკარგებიან. ასეთი ნალექების წარმოშობის ტიპიურ მაგალითს წარმოადგენს სამგლე კლდის შიდა, მეორე, ბნელი დარბაზის სამხრეთ კუთხეში კარსტული ხვრელიდან ჩამოტანილი ნაყარი მიწის დიდი გროვა და ასეთივე შედგენი-

ლობის თხელი ფენის გავრცელება დარბაზის თითქმის მთელ ზედაპირზე.

ამგვარი მოვლენები ძალზე განვითარებულია სამერცხლე კლდის მღვიმეში, რომელიც გამჭოლია, მასში გამდინარე უმნიშვნელო მიწისქვეშა ნაკადული ხელს უწყობს ნალექების დაგროვებას. რიგ შემთხვევაში ადგილი აქვს ნიაღვრების მიერ მღვიმეში დაცული კულტურული ფენების გადარეცხვას.

დ. თუ შ ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი ჯ რ უ ქ უ ლ ის მ ლ ვ ი მ ის კ უ ლ ტ უ რ უ ლ ი ფ ე ნ ე ბ ის დახასიათების დროს ასეთი მოვლენის შესახებ აღნიშნავს: „I კულტურული ფენის დიდი ნაწილი, განსაკუთრებით მღვიმის შესავალთან და წინა ფართობზე მნიშვნელოვნადაა გადარეცხილი... დიდი წვიმებისა და თღვლის დნობის დროს მღვიმეში ჩამოდირდა წყალი“⁶.

სამერცხლე კლდის მღვიმეში ასეთ გადარეცხვას 1965 წელსაც ჰქონია ადგილი. მღვიმეში გათხრები შეწყდა 1964 წელს, ხოლო 1966 წ. ივლისში, მღვიმის დათვალიერების დროს აღმოჩნდა, რომ ზოგ ადგილას კულტურული ფენები გადარეცხილი იყო, ადგილ-ადგილ უბნები მოსილული აღმოჩნდა ქვიშითა და ღორღით, ხოლო წყლის ნაკადს მარცხენა ნაპირიდან მარჯვენაზე გადაენაცვლა.

მდ. ჯ რ უ ქ უ ლ ის ხ ე ო ბ ის მ ლ ვ ი მ ე თ ა კ უ ლ ტ უ რ უ ლ ფ ე ნ ე ბ შ ი (ჯ რ უ ქ უ ლ ა, სამეღე კლდე) გავრცელებულია აგრეთვე თიხნარი ფენებით. იშვიათად ისინი სტერილურ ფენასაც ქმნიან. ასეთი წარმონაქმნი და მათი სახეისგვაობა, რომელიც მსხვილ ფრაქციებს ძალზე მცირედ შეიცავენ, საკუთრივ მღვიმეების შიდა სივრცეში ჩანან წარმოშობილი და თავდაპირველად შესაძლებელია კარსტულ სასულეებში იყვნენ დაღეჭილი. მათი პერიოდული გამოტანა-გავრცელება კი ისევ და ისევ ძირითადად მღვიმეში ჩაღწეულ ზედაპირულ ნიაღვრებს უკავშირდება.

ამრიგად, სამერცხლე კლდის მღვიმის კულტურული ფენების დახასიათების დროს ყოველთვის ანგარიში უნდა გაეწიოს იმას, რომ მდ. ჯ რ უ ქ უ ლ ა ს ხ ე ო ბ ის ყ ვ ე ლ ა მ ლ ვ ი მ ე შ ი დაგროვილი მასალა დაკავშირებულია ზედაპირული წყლების სწრაფ მოქმედებასთან, რაც იწვევს ფენების ლითოლოგიის ცვლას. ამიტომ არის, რომ ზშირად მღვიმეში თიხის ფრაქცია არსებითად იცვლება — თიხას

⁶ დ. თუ შ ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ჯ რ უ ქ უ ლ ის ხ ე ო ბ ის გამოქვაბულები, სპელოლოგიური კომისიის კრებული, საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები, ტ. I, თბ., 1963, გვ. 176.

ცელის ღორღი ან პირიქით. კულტურული და სტერილური ფენების წარმოშობაში თალისა და კედლების გამოფიტვის შედეგად ჩამოშლილი კირქვის დიდ-პატარა ნატეხები და ლოდებიც იღებენ ერთგვარ მონაწილეობას. მაგრამ კულტურული ფენების ლითოლოგიაში მათი გავრცელება მაინც საკმაოდ შეზღუდული ჩანს.

უსათუოდ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სამერცხლე კლდის მღვიმეში ზედაპალეოლითელი ადამიანი ცხოვრობდა მშრალ პირობებში. ამას ადასტურებს II კულტურული ფენის გავრცელება მღვიმის სიღრმეში, მის როგორც მარცხენა, ასევე მარჯვენა ნაწილშიც. ჩანს, რომ სულ ახლო ხანს ამ კარსტულ მღვიმეში შიგნით ახალი პირობა შეიქმნა და წყლის ნაკადმაც დაიწყო დენა. ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ უძველესი ფენები ამ მღვიმეში ადრე ფართოდ იყო წარმოდგენილი და რომელიმე ეტაპის წყლის ნაკადმა ერთხელ უკვე გადაარცხა.

* * *

როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, სამერცხლე კლდეში ჩვენ მიერ დადასტურებული იყო სამი კულტურული ფენა. რამდენადაც ჩვენი კვლევის უმთავრეს საგანს II კულტურული ფენიდან მომდინარე მასალა წარმოადგენს, ამდენად I და III კულტურული ფენების მასალებზე მხოლოდ რამდენიმე სიტყვით შეგჩერდებით.

I კულტურულ ფენაში აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ნატეხები, მინიატურული თიხის ჭურჭლები, თიხის კვირისტავეები, ლითონის ნამზადის თიხის ყალიბი, ქვის გახეხილ-გაპრიალებული ზელცულეები, სათლელისებური იარაღები, სატეხები, კაჟის ორმხრივ დამუშავებული ყუნწიანი და ქუსლამოღარული ისრისპირები, ცხოველთა ძვლები და სხვ.

აღნიშნული მასალა ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი, ამიტომ მისი ზუსტი ასაკის დადგენა ძნელდება. წინასწარული განსაზღვრით კი მასალა მიეკუთვნება ადრეული ბრინჯაოს ეპოქას. სამერცხლე კლდის ადრე ბრინჯაოს მასალა მსგავსია მაიკოპის კულტურის ნაშთების, მაგრამ ქრონოლოგიურად წინ უნდა უსწრებდეს⁷.

7 დ. თ უ შ ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ყვირილის ხეობის პალეოლითური ექსპედიციის მიერ 1963 წელს ჩატარებული სამუშაოების შედეგები, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემია, XIII სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1963 წლის საეულე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი (ქვისა და ბრინჯაოს ხანის ძეგლები), თბ., 1964, გვ. 5—7.

III კულტურულ ფენაში სულ ექვსიოდე ქვედაპალეოლითური იერის მქონე კაუის ნაკეთობაა აღმოჩენილი. აქ ნაპოვნ კაუის ზედაპირი წყლის მოქმედების შედეგად გაპრიალებული და გადალესილი აქვს. შესაძლოა დავუშვათ, რომ აქ იყო ქვედაპალეოლითური ფენა, მაგრამ მუსტიერის ადამიანის მიერ მღვიმის მიტოვების შემდეგ იგი კარსტული წყლების მოქმედების შედეგად გამოარეცხილა. გადარჩენილა მხოლოდ კულტურული ფენის მეტად მცირე ნაწილი, სახელდობრ: ნუკლეუსი (ტაბ. X, სურ. 3), ანატკეები (ტაბ. X, სურ. 4, 5, 6) და სახოკები (ტაბ. X, სურ. 1, 2). მასალის სიმცირის გამო დაბეჭდვებით მის ასაკზე მსჯელობა ძნელდება. ჩვენი აზრით, მონაპოვარი მუსტიეს ეპოქა უნდა დათარიღდეს. თუმცა ძნელია მტკიცება, მუსტიეს რომელ საფეხურს მიეკუთვნება. მართალია, კომპლექსში არსებული ლევალუური ანატკეცი, ნუკლეუსი, ლევალუა-მუსტიეზე უნდა მიუთითებდეს, მაგრამ დანარჩენი ერთეულები შედარებით უფრო არქაულია.

§ 5. ფაუნისტური ნაშთების მიმოხილვა

სამერცხლე კლდის ზედაპალეოლითურ ფენაში აღმოჩენილ მასალებს შორის სათანადო ადგილი ფაუნისტურ ნაშთებს უკავია.

აქ აღმოჩენილი ოსტეოლოგიური მასალის შესწავლა საშუალებას გვძლევს გამოვთქვათ ზოგიერთი პალეოზოოგეოგრაფიულ და პალეოკლიმატური ხასიათის მოსაზრება. მიახლოებით მაინც აღვადგინოთ ზედა პალეოლითის ხანაში იმ გეოგრაფიული სამყაროს სურათი, რომელშიც უხდებოდა ცხოვრება სამერცხლე კლდის ადამიანს. შესაძლებლობა გვეძლევა აგრეთვე წარმოდგენა ვიქონათ ნადირობის, როგორც პირველყოფილი ადამიანის საწარმოო საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი დარგის შესახებ.

სამერცხლე კლდის მღვიმეში მოპოვებული პალეოზოოლოგიური მასალა განსაზღვრა ა. ვეკუამ, რომელმაც ცხოველთა სამი ძირითადი ჯგუფი გამოყო: I. მღრღნელები, II. მტაცებლები და III. ჩლიქოსნები. ესენი საკვებად გამოყენებულ ცხოველთა 7 სახეს ეკუთვნიან: 1. მცირე აზიის ომანა (*Mesocricetus auratus* Water), 2. მელა (*Vulpes vulpes*), 3. მღვიმის დათვი (*Ursus spelaeus*), 4. ცხენი (*Equus caballus*), 5. კავკასიის ჯიხვი (*Capra caucasica* Güld), 6. კეთილშობილი ირემი (*Cervus elaphus* L.), 7. ღობა (*Bison* sp.).

საერთოდ, სამერცხლე კლდის ფაუნისტური მასალა ძალზე

მცირეა (სულ 230 ნიმუშია, აქედან განსაზღვრულია 170 ერთეუ-
ლი). რაც ძეგლის დამახასიათებელ თავისებურებას უნდა წარმო-
ადგენდეს (ცხრილი № 1).

ცხრილი 1

ცხოველთა სახეები		ძვლების რაოდენ- ობა	% ძვლების საერთო რაოდენ- ობის	ინდივიდების მინიმალ. რაოდენობა
1	მღრღნელები—Rodentia Mesocricetus auratus Water			
	მცირე აზიის ოპანა	2	1,1	2
2	მტაცებლები—Carnivora Vulpes, vulpes—მელა	1	0,5	1
	Ursus spelaeus—მღვიმის დათვი	2	1,1	1
4	კენტრიქოსნები—Perissodactyla Eguus caballus—ცხენი	3	1,7	1
	წყვილრიქოსნები—Artiodactyla Capra caucasica Quid— კავკასიის ქაბვი	1	0,5	1
7	კლიქოსნები—Ungulata Cervus elaphus—კეთილშობილი ირემი	2	1,1	1
	Rison Sp.—დომბა	159	94	5
ს უ ლ . . .		170	100	12

სამერცხლე კლდეში მოპოვებული პალეოზოოლოგიური მასა-
ლა წარმოდგენილია სხვადასხვა ცხოველთა დამტვრეული ძვლების,
კბილებისა და რქების სახით.

ძვლოვანი მასალა საკმარად ფოსილიზებულია, თუმცა ლულოვან
ძვლებს შერჩენილი აქვთ ღრუბლოვანი აღნაგობა. ძვლები ძირი-
თადად მოთეთრო-მოვარდისფერია. ყველა ლულოვანი ძვალი, უკ-
ლებლივ დამსხვრეულია, რაც ძალზე დამახასიათებელია ქვის ხანის
ადამიანის ნასუფრალი ძვლებისათვის. ზოგიერთს ეტყობა ქვის
იარაღით მიყენებული დარტყმა, ზოგ მათგანს კი კარგად ეტყობა
მწრელი იარაღის კვალი არაღრმა ნაკაწრების სახით. გვხვდება
ცეცხლში მოქვედრილი, ნაწილობრივ დამწვარი ძვლებიც. მოპო-
ვებული ძვლოვანი მასალის დიდი ნაწილი იმდენად ფრაგმენტუ-

ლია. რომ მათი განსაზღვრა თითქმის შეუძლებელია. ქვლების შედარებით მცირე ნაწილი, ისიც მხოლოდ კბილები და კედურის ძვლების სასახსრე ბოლოები, აგრეთვე რქები, ემორჩილება პალეონტოლოგიურ განსაზღვრას.

მცირე აზიის ომანა (*Mesocricetus auratus* Water) წარმოდგენილია ქვედა ყბის (*Mandibula*) ორი მარჯვენა ტოტით (ტაბ. VII, სურ. 1, გადიდებულია 5-ჯერ). ქვედა ყბის ტოტები კარგადაა დაცული. ალვეოლებში კბილები სრულადაა წარმოდგენილი (ყბის სრული სიგრძე — 29 მმ; ყბის სიმაღლე M_1 -ის დონეზე — 8 მმ; კბილების რიგის სიგრძე — 7,5 მმ).

მელა (*Vulpes vulpes* L.) — წარმოდგენილია ქვედა ყბის (*Mandibula*) მარჯვენა ტოტის ფრაგმენტით (ტაბ. VII, სურ. 5), რომელზედაც შემორჩენილია მხოლოდ ერთი კბილი (P_2).

უფრო საინტერესოა სამერცხლე კლდის ფაუნის მეორე მტაცებელი დათვი (*Ursus spelaeus* ?/), რომელიც წარმოდგენილია თავის ქალის ორი უმნიშვნელო ფრაგმენტით და ორი ლოჯით (*Canini*). მათ შორის ერთი თითქმის ფესვამდეა მოცვეთილი, ხოლო მეორეს ფესვის ქვედა ბოლო აქვს მომტვრეული (ტაბ. VII, სურ. 4).

მასალის სიმცირე სამერცხლე კლდის დათვის სახეობის განსაზღვრის საშუალებას არ იძლევა, თუმცა ლოჯის მასიურობა და გვირგვინის აღნაგობა მოწმობს. რომ ის მღვიმის დათვს (*Ursus spelaeus* Rosenm) უნდა ეკუთვნოდეს.

სამერცხლე კლდის ნამარხ ფაუნაში ყველაზე ღარიბად მაინც კენტრილიქოსნებია წარმოდგენილი, თუმცა კენტრილიქოსნების ნაშთების სიუხვე არც სხვა პალეოლითურ სადგომებშია ცნობილი. სამერცხლე კლდის მღვიმეში ნაპოვნია ნამარხი ცხენის (*Equus caballus* L.) 3 ძვალი, მათ შორის ერთი ქვედა მესამე საძირე (M_3) კბილი (ტაბ. VII, სურ. 3), ერთი ქვედა საძირე კბილის ფრაგმენტი და მარჯვენა ქუსლის ძვალი (*calcaneus*) (ტაბ. VIII, სურ. 1). ქვედა უკანასკნელი საძირე კბილის აღნაგობა (ორმაგი მარყუჟის ხასიათი, შიდა უბის ფორმა და სხვა) და ზომები (კბილის სიგრძე — 32 მმ; მისივე უდიდესი სიგანე — 15 მმ) უდავოდ მოწმობენ, რომ საქმე გვაქვს ნამარხი ცხენების საკმაოდ გვიანდელ ფორმასთან.

შედარებით მდიდარი მასალითაა წარმოდგენილი სამერცხლე კლდის პალეოლითურ სადგომში წყვილჩლიქოსნები (ძვლების

95%). თუმცა მასალის სიუხვე ფორმათა ნაირფეროვნებას როდრი ეხება. წყვილწლიქოსნებიდან დადგენილია კავკასიის ჭიხვი, კეთილშობილი ირემი და დომბა.

კ ა ვ კ ა ს ი ი ს ჭ ი ხ ვ ი (*Capra caucasica* Günd) წარმოდგენილია ქვედა ყბის მარცხენა ტოტის ფრაგმენტით, რომელსაც შემორჩენილი აქვს ოთხი (P_4-M_3) კბილი (ტაბ. VII, სურ. 2).

მცირე მასალითაა წარმოდგენილი კეთილშობილი ირემი (*Cervus elaplus* L.). სამერცხლე კლდის ფაუნაში აღმოჩენილი ირმის მხრის ძვლის (*Humerus*) ქვედა სასახსრე ბოლო (ტაბ. VIII, სურ. 2) და წვივის დიდი ძვლის (*tibia*) ფრაგმენტი (ტაბ. VIII, სურ. 3) არ იძლევა ამ ცხოველის სრულად დახასიათების საშუალებას. უნდა ითქვას მხოლოდ ის, რომ სამერცხლე კლდის ირემი შედარებით უფრო დიდი ზომისა უნდა ყოფილიყო რეცენტულზე.

მასალის მხრივ შედარებით უკეთ არის წარმოდგენილი სამერცხლე კლდის ფაუნაში დომბა (*Rison* sp.). მთელი მასალის 94% სწორედ დომბაზე მოდის. ისევე ნამარხი ძვლების ფრაგმენტულობისა და სიმცირობის გამო ძნელდება სამერცხლე კლდის დომბის სახემდე განსაზღვრა, თუმცა თითქმის ექვს გარეშეა, რომ მთელი ეს მასალა ჩამარხ დომბას (*Bison priscus* Boy) ეკუთვნის. იგი წარმოდგენილია შემდეგი სახით: ერთი 'არული რქა (*Corui*) (ტაბ. IX, სურ. 2) და ერთი რქის ფრაგმენტი; ქვედა ყბის (*Mandibula*) 13 ჰორიზონტალური ტოტი (ტაბ. VIII, სურ. 4 და 5); მათ შორის ყველაზე სრულს შემორჩენილი აქვს ხუთი (P_5-M_3) კბილი; ზედა ცრუ საძირე კბილი (P_2); ქვედა იზოლირებული ხუთი კბილი; ზეპის (*Scapula*) ფრაგმენტი; იდაყვის ძვლის (*ulna*) ორი ფრაგმენტი; სხივის ძვლის (*Radius*) სამი ფრაგმენტი; მენჯის ძვლის ფრაგმენტი; ბარძაყის ძვლის (*Temur*) ორი ფრაგმენტი; დიდი წვივის ძვლის (*Tibia*) ქვედა ბოლო (ტაბ. IX, სურ. 1); მეტაპოდოიმების ორი ნამსხვრევი, პირველი ფალანგი (*Phalanx 1*); ნეკნებისა და ლულოვანი ძვლების ნამსხვრევები.

ჯფაუნის ანალიზი მოწმობს, რომ რუსეთის ველის დიდ გაყინვარებას არ უნდა ჰქონოდა მნიშვნელოვანი გამოძახილი ამიერკავკასიის ტერიტორიაზე. ყოველ შემთხვევაში, მისი ფაუნა არ შეიცავს გაყინვარების პერიოდისათვის დამახასიათებელ არც ერთ ფორმას (მაგ., ჩრდილოეთის ირემი, თეთრი კურდღელი, მამონტი, ბეწვიანი მარტორქა და სხვ.), რომლებიც ფართოდ იყვნენ გავრცე-

ლებული პალეოლითში, რუსეთის ცენტრალურ და სამხრეთ რაიონებში.

სამერცხლე კლდის ფაუნის კომპონენტები ზომიერად თბილი ჰავის მოყვარული ფორმებია, რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ზედა პალეოლითის ეპოქის იმ მონაკვეთში, როდესაც აქ ადამიანი ცხოვრობდა, ჰავა თითქმის ისეთივე უნდა ყოფილიყო როგორც დღეს არის.

ფაუნაში დომინისა და ირმის არსებობა ჭრუჭულას ხეობასა და მის მახლობელ მიდამოებში ტყისა და ტყე-ველის ტიპის მცენარეული საფარის გავრცელების მაჩვენებელია. ზემოთ ჩამოთვლილ ცხოველებს უნდა ეცხოვრათ ზომიერი ჰავისა, ტყე და ტყეველიანი ლანდშაფტის პირობებში.

როგორც სამერცხლე კლდის ფაუნის მოკლე მიმოხილვადან ჩანს, მისი შემადგენლობა თითქმის არ განსხვავდება დასავლეთ საქართველოს ზედაპალეოლითური სადგომების ფაუნისაგან (ცხრილი № 2).

თუ თვალს გადავაგლებთ დასავლეთ საქართველოს ზედაპალეოლითურ სადგომებში აღმოჩენილ პალეოზოოლოგიურ მასალას დავინახავთ, რომ მასალიდან ძვლის ნატეხები და კბალები ყველაზე დიდი რაოდენობით მოდის ჩლიქოსნებზე (Ungulata), სახელობრ დომბაზე, კეთილშობილ ირემზე, ცხენზე, ჭიხვზე. შედარებით მცირერიცხოვნადაა წარმოდგენილი ქურციკის, შველის ნაშთები, რომლებიც აღმოჩენილია მხოლოდ დევისხვრელში, საკაეიაში და გვარჯილას კლდეში.

მტაცებელი ცხოველების ნაშთებიდან (Carnivora) ყველაზე მეტი მღვიმის დათვზე და მგელზე მოდის. რაც შეეხება მელას, მისი ნაშთები სამერცხლე კლდის მღვიმის გარდა საკაეიას მღვიმე-მაც იცის ერთეულების სახით.

მღრღნელები (Rodentia) კი მეტად მცირერიცხოვნადაა წარმოდგენილი აღნიშნულ სადგომებში. ასე, მაგ., თითქმის უცნობია მღრღნელების ნაშთები მღვიმევისათვის, სადაც მცირე აზიის ომანის მხოლოდ 3 ძვალი იყო ნაპოვნი, დევისხვრელში კი აღმოჩნდა ჩრდილოეთის თაგვის 4 ქვედა ყბა. მღრღნელების ნაშთები ერთეულების სახითაა საკაეიასა და გვარჯილას კლდის მღვიმეებში.

საკაეიას მღვიმემ მოგვცა ცხოველთა ისეთი ძვლები და კბალები, რომლებიც არ აღმოჩენილან სხვა სადგომებში, ესენია: ლოსი, მღვიმის ლომი, ფოცხვერი, კვერნა, მაჩვი, წავი და მაჩვ-ზოარბი.

დასავლეთ საქართველს ზედა პალეოლითურ სადგომებში დადგინილი ცხოველთა სახეები მოწმობენ, რომ იქი აიწი ყინულოვან პერიოდს არ უნდა მიეკუთვნებოდნენ. აქ წარმოდგენილი ცხოველები ძირითადად ზომიერი და თბილი ჰავის მოყვარულ ფორმებია.

ჩიუხედავად იმისა, რომ სამერცხლე კლდის მღვიმეში ნაპოვნი ხერხემლიანთა ფაუნის ნაშთები, მაინც გაძნელებულად ჩანს პალეოლითური კულტურის გეოლოგიური დათარიღების საკითხი.

საქართველოს მეოთხეული ფაუნისა და არქეოლოგიური მონაცემების გეოლოგიურ მოვლენებთან კავშირში განხილვა მოითხოვს უფრო მეტ პალეოზოოლოგიურ მასალას, ვიდრე ეს დღეს ჩვენ გაგვაჩნია.

სამერცხლე კლდეში მოპოვებული ფაუნისტური მასალის შესწავლამ გვიჩვენა, რომ აღნიშნული ნაშთები ეკუთვნის შედარებით სითბოს მოყვარულ ფორმებს და შესაძლოა მათი შემცველი ნალექები ვიურმ I და II ინტერსტადიალს დაუკავშირდეს⁸.

ფაუნისტური მასალის მიხედვით, სამერცხლე კლდეში არსებული პალეოლითური ნაშთების გეოლოგიურ დათარიღებას მხარს უჭერს აგრეთვე პ.ოფ. დ. წერეთლის მიერ სამერცხლე კლდის პალეოგეოგრაფიული და გეომორფოლოგიური დაკვირვებების შედეგად მიღებული მონაცემები, რომელიც ემყარება ყვირილის ჭალისზედა 10—15 მ სიმაღლის ვიურმული ტერასისა და სამერცხლე კლდის მღვიმის ზედაპალეოლითურ ნაბინაერის პიპსომეტრიული სიმაღლეების თანხვედომას⁹.

მდ. ყვირილის ქვემო დინებაზე სოფ. სკრასა და არგვეთს შორის კარგად არის გამოსახული ჭალისზედა 10—15 მ შეფარდებითი სიმაღლის I ტერასა.

მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით შესაძლებელი ხდება ყვირილის ჭალისზედა 10—15 მ სიმაღლის ვიურმული ტერასა სამერცხლე კლდის მღვიმის ზედაპალეოლითური ნაბინაერის სიბჭრონულად ჩაითვალოს¹⁰.

⁸ Д. Церетели, Плейстоценовые отложения Грузии, Тб., 1966.

⁹ დ. წერეთელი, სამერცხლე კლდის ზედაპალეოლითური ადამიანის სადგომის პალეოგეოგრაფიული და გეომორფოლოგიური პირობები, თბ., 1968, (ხელნაწერი).

¹⁰ იქვე.

თ ა ვ ი II

სამერცხლე კლდეში მოკოვებული ჭვისა და ძვლის ნაწარმი

§ 6. ჭვის იარაღ-ხელსაწყოები და წარმოების ნაშთები

1963, 1964 და 1966 წწ. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად სამერცხლე კლდის II კულტურულმა ფენამ მოგვცა საკმაოდ საინტერესო ზედაპლელითურთ ჩანის არქეოლოგიური მასალა. აღმოჩენილია 2354 ც. კაეის, ობსიდიანის იარაღ-ანატკეცი, მათ შორის ძვლის იარაღიც (10 ც.), (ცხრილი № 3). ეს მასალა საშუალებას

ც ხ რ ი ლ ი 3

სამერცხლე კლდის მღვიმის ქვის იარაღებისა და წარმოების ნაშთების რაოდენობა და მათი %-ული შეფარდება მასალის საერთო რაოდენობასთან

№№ რიგზე	წარმოების ნაშთები და იარაღები	რაოდენობა	%-ული შეფარდება
1	კაქრები	2	0,09
2	ხუკლუსები	111	4,7
3	ან-ტკეც-ანამტკრევეები	1136	48,5
4	ლამელები	874	37,3
5	საფხეკები	86	3,6
6	საჭრისები	82	3,5
7	სათლელისებური იარაღები	16	0,69
8	შალამინები	16	0,69
9	კოზბინირებული იარაღები	7	0,32
10	სახოკები	3	0,14
11	საჩხისებური იარაღები	2	0,09
12	სახვრეტი	1	0,04
13	სახვრეტისებური იარაღები	5	0,22
14	თავზურგდაბლაგეული დანა	1	0,04
15	რეტუშორი	1	0,04
16	გაურკვეველი დანიშნულების იარაღი	1	0,04
ს უ ლ .		2344	100,0

გვამლევს წარმოდგენა ვიქონიოთ სამერცხლე კლდის პალეოლითე-ლი ადამიანის განვითარების დონეზე, მათ საქმიანობაზე.

მღვიმის შესასვლელთან და მის წინა ნაწილში გამოვლენილ II კულტურულ ფენაში მასალის ჰორიზონტული გავრცელება კვადრატებში ლებულობს თანაბარ ხასიათს. ასე, მაგ., ა, ბ, ც, ძ, ე, ზ-ჟ კვადრატებში თითოეულ კვადრატზე დაახლოებით 5-10 ერთეული მოდის. სულ სხვა სურათი ჩანს მასალის გავრცელების ავალსაზრისით მღვიმის სიღრმეში, სადაც ზედაპალეოლითური მასალა დიდი რაოდენობით იყო თავმოყრილი ც, ძ, ე, ზ, ლ₁₁₋₁₁ და გ, ხ, ი, კ, ლ, მ₁₃₋₁₃ კვ-ში, აგრეთვე კერის ირგვლივ ლ₁₁₋₁₁ კვადრატებში (ტაბ. III).

სამერცხლე კლდის ზედაპალეოლითელი ადამიანი იარაღის დასამზადებლად ძირითადად იყენებდა კაეს (ცხრილი № 4). მასალის

ცხრილი 4

მასალის განაწილება ნედლეულის ხასიათის მიხედვით

№ რიგზე	წარმოების ნაშთები და იარაღები	საერთო რაოდენობა	კაეს	ობსიდიანის	კაეს მასალის % - ული შეფარდება	ობსიდიანის მასალის % - ული შეფარდება
1	კაქრები	2	2	—	100,0	—
2	სუკლეუსები	111	109	2	98,2	1,8
3	ანატკეც-ანამტკრევეები	1136	1123	13	98,8	1,2
4	ლამელები	874	845	29	96,7	3,3
5	საფხეკები	86	83	3	96,5	3,5
6	საქრისები	82	81	1	98,8	1,2
7	სათლეისებური იარაღები	16	16	—	100,0	—
8	შალამინები და მათი მსგავსი	16	15	1	93,7	6,3
9	კომბინირებული იარაღები	7	7	—	100,0	—
10	სახვრეტი სებური იარაღები	5	5	—	100,0	—
11	სახვრეტი	1	1	—	100,0	—
12	სახოკები	3	3	—	100,0	—
13	საჩხისებური იარაღები	2	2	—	100,0	—
14	თავზურგდაბლაგველი დანა	1	1	—	100,0	—
15	რეტეშორი	1	1	—	100,0	—
16	გაურკვეველი დანიშნულების იარაღი	1	1	—	100,0	—
ს უ ლ . .		2344	2295	49	97,9	2,1

ძირითად ნაწილს კაეს ლამელები, ანატკეცები და ანამტკრევეები შეადგენდა, რომელთა უმრავლესობას მეორადი დამუშავება არ განუცდია (ცხრილი № 5).

მასალის განაწილება ნაშადის ხასიათის მიხედვით

№№ რიგზე	ნ ა წ ა რ მ ი ს ტ ი პ ი	საერთო რაოდენობა	%-ული შეფარდება
1	ლამელები და მათზე ნაკეთები იარაღები	874 136 } 1010	39.2% 6,1% } 45,3%
2	ანატკეც-ანამტერევეები და მათზე ნაკეთები იარაღები	1136 85 } 1221	50,9% 3,8% } 54,7%
ს უ ლ . .		2231	100,0%

II კულტურულ ფენაში მოპოვებული ქვის მთელი მასალის 9,4%-ს მზა იარაღ-ხელსაწყოები შეადგენენ. დანარჩენი 90,6% კი წარმოდგენილია წარმოების ნაშთების სახით (ცხრილი № 6), წარმოების ნაშთების სიმრავლე უნდა აიხსნას ნედლი მასალის არაეკონომიური გამოყენებით, რაც შეპირობებულია სადგომისა და კაჟის კარიერის უშუალო სიახლოვეთ.

ქიათურის რაიონში მალალხარისბოვანი კაჟის ბუდობები ცნო-

სამერცხლე კლდის ქვის იარაღებისა და წარმოების ნაშთების %-ული შეფარდება

№№ რიგზე	ქ ვ ი ს მ ა ს ა ლ ა	საერთო რაოდენობა	%-ული შეფარდება
1	წარმოების ნაშთები	2123	90,6
2	იარაღები	221	9,4
ს უ ლ . .		2344	100,0

ბილია კაცხ-სალოეთში¹, საიდანაც სამერცხლე კლდის მღვიმე რამდენიმე კილომეტრითაა დაცილებული.

სამერცხლე კლდეში აღმოჩენილი კაჟი ტურონ-სენონურა ჩარუსისაა და ორი სახესხვაობით გვხვდება: მუქი ნაცრისფერიდან ღია მოთეთრო და მოყავისფრო-მოწითალო ფერიდან მოწითალო-წოვარდისფრო. ორთავე დაახლოებით თანაბარი რაოდენობითაა მოპოვებული და ორთავე გვხვდება ადგილობრივ ზედაცარცულ კარქვებში, ძარღვების ან ცალკეული ბუდობების სახით. კოლექციის მცირე რაოდენობით გვხვდება აგრეთვე მწვანე ფერის კაჟი. აქ აღმოჩენილი კაჟი მაღალი ზარისხისაა. განსაკუთრებით გამოირჩევა თავისი უმაღლესი ხარისხით მოთეთრო-მოჩრდისფრო და მწვანე ფერის კაჟი.

პატინა კაჟზე, თითქმის არ შეიმჩნევა. უკეთესად ჩანს ის მოყავისფრო-მოვარდისფრო კაჟზე, ღია ნაცრისფერზე მსუბუქი პატინა ცუდადაა შესამჩნევია.

მეტად მცირე რაოდენობით არის აღმოჩენილი სამერცხლე კლდის მღვიმეში ობსიდიანი (49 ც.), რომლის ბუდობები სამერცხლე კლდიდან შორი მანძილით არის დაცილებული, ამიტომ მისი უბრალო ანატკეციც კი იარაღადა გამოყენებული. ობსიდიანი სამერცხლე კლდის მღვიმეში გვხვდება როგორც შავი ფერის სხვადასხვა ვარიაციებით (I გამჟვირვალე, II შებოლილი, III ბრეჭილი აღნაგობის), აგრეთვე მოწითალო ფერის და შავზოლებიანი².

ქვის დამუშავება (როგორც პირველადი, ისე მეორადი) ხდებოდა ადგილზე, მღვიმეში, რაზეც მიუთითებს ნუკლეუსების, ლამელებისა და ანატკეც-ანამტერევეების არსებობა (ცხრილი № 7).

იარაღ-ხელსაწყოები და წარმოების ნაშთები ფორმა-მოყვანილობისა და დანიშნულების მიხედვით შეიძლება დავეყოთ განსაზღვრულ ჯგუფებად და ქვეჯგუფებად.

პირველყოვლისა აღსანიშნავია კაჭრები (2 ცალი), ერთი

1 პ. ვამყრელიძე, და ს. ჩიხელიძე, ძირულის ხეობის ნაწილის გეოლოგიისათვის, საქართველოს გეოლოგიის ინსტიტუტის მოამბე, თბ., 1933, ტ. 1. ნაკვ. 2, გვ. 94.

2 მოშავო ფერის ობსიდიანი აღმოჩენილია ქავახეთში გოდერძის უღელტეხილზე, ბაკურიანისა და ბორჩალოს რაიონში, მდ. ქსნის სათავეში და ზოგიერთ სხვა ადგილებში, რომლებიც მეტად დიდ მანძილზე არიან სამერცხლე კლდიდან დაცილებული. მოწითალო ფერის ობსიდიანის ბუდობები ცნობილია სომხეთში, ოსმალეთში და სხვა ადგილებშიაც, რომლებიც საქართველოს ტერიტორიის გარეთ მდებარეობენ. ამ უკანასკნელ წლებში მისი ბუდობები წალკაშიც იყო მიკვლეული.

სამერცხლე კლდე

№ რიგზე	წარმოების ნაშთები	რაოდენობა	კაეის	ობსიდიანის	რეტუსირ.		კაქრის კანით	ბუნებრივი ჭეჭვის ვარე- შე	% ული შე- ფარდება
					ნაწილობ- რივ	მთლი- ანად			
1	კაქრები	2	2	—	—	—	2	—	0,9
2	ნუკლეუსები	111	109	2	—	—	45	66	5,0
3	ანატკეები	999	986	13	58	6	208	791	47,0
4	ანამტრევეები	137	137	—	—	—	78	59	6,1
5	ლამელები	874	845	29	154	2	—	—	41,0
	სულ	2123	2079	44	212	8	—	—	100,0

მათგანი მთლიანადაა დაფარული ბუნებრივი ქერქით. მისი სიგრძე 8,2 სმ-ია, ხოლო დიამეტრი 7,5 სმ-ს უდრის. კაქარს თავი გადამტრეული აქვს და ნუკლეუსისათვის ფუძეა მომზადებული. მასზე უცდიათ ორი ანატკეის ატკეცვა, მაგრამ მიუტოვებიათ და ნუკლეუსად აღარ გამოუყენებიათ (ტაბ. XI, სურ. 1).

მეორე თითქმის მთლიანად დაფარულია კაქრის კანით. მისი სიგრძე 6,9 სმ-ია, დიამეტრი კი — 8 სმ. ჩანს, რომ უცდიათ კაქრის გათლა, მაგრამ კაეის უხარისხობის გამო მიუტოვებიათ.

ნუკლეუსები (111 ცალია და ჭეჭვის მთელი მასალის 4,7%-ს შეადგენს). მისი 7 ჯგუფად იყოფიან (ცხრილი № 8).

1 ჯგუფი — პრიზმის მოყვანილობის ნუკლეუსები (54 ც.),

ა) პრიზმის მოყვანილობის ერთფუძიანი ნუკლეუსები (36 ც. 32,4%), (ტაბ. XI, სურ. 2—14). მათი სიგრძე 4,8—7,3 სმ-ს შორის მერყეობს, ხოლო დიამეტრი 2,6, 8 სმ-ია. ნუკლეუსებიდან 8 ცალი მცირე ზომისაა. მათი სიგრძე სშუალოდ 3,5 სმ-ია, ხოლო დიამეტრი 2,5 სმ-ს უდრის.

პრიზმული მოყვანილობის ერთფუძიანი ნუკლეუსებიდან 8 ცალს მხოლოდ ერთი მხრიდან აქვს ატკეცილი ლამელები თუ ანატკეცები, მეორე მხარე კი მთლიანად დაფარულია კაქრის კანით (ტაბ. XI, სურ. 3, 10, 13, 14). ნუკლეუსების უმრავლესობას (24 ც.) ბუნებრივი ქერქი შემოცლილი აქვს, მაგრამ გამოყენებულია

სამერცხლე კლდის მღვიმე

ჩვენები	ნუკლეუსები	რაოდენობა	კაეის	ობსოლიანის	კაქრის კანიონი	ბუნებრივი ქერქის გარეშე	%-ული შეფარდება
I	პრიზმის მოყვანილობის						
	ა) ერთფუძიანი	36	36	—	12	24	32,4
	ბ) ორფუძიანი	18	16	2	13	5	16,2
II	კონუსის მოყვანილობის	2	2	—	2	—	1,8
III	სოლისებური	9	9	—	6	3	8,2
IV	დისკოსებური ნუკლეუსის მსგაესი	1	1	—	—	1	0,9
V	ამორფული	16	16	—	3	13	14,4
VI	უტილიზებული	9	9	—	—	9	8,1
VII	უხეში	20	20	—	9	11	18,0
	ს უ ლ	111	109	2	45	66	100,0

ერთი მხრიდან, მეორე მხარე კი მხოლოდ კაქრის ქერქიდანაა განთავისუფლებული.

აქვე გვხვდება 4 ცალი პრიზმული მოყვანილობის ერთფუძიანი ნუკლეუსი, რომელთაც ირგვლივ აქვთ ატკეცილი ლამელები (ტაბ. XI, სურ. 5, 6, 7 და 9).

ნუკლეუსების უმრავლესობას ფუძე კარგად აქვთ მომზადებული. გვხვდება ნუკლეუსები, რომელთა დარტყმის მოედანი მათი სხეულისადმი ჰორიზონტალურია (13 ც.), ზოგის კი მეტ-ნაკლებად ირიბადაა დაქანებული (17 ც.). გვხვდება ისეთი ნუკლეუსებიც, რომელთა დარტყმის სიბრტყე არასამუშაო, მეორე, უკანა მხარისაკენ უაღრესად მკვეთრადაა დაქანებული და ნუკლეუსის სამუშაო ზედაპირთან მახვილ კუთხეს ქმნის, რის გამოც ფუძე ძალზე ვიწროა (6 ც.). ერთ-ერთი ნუკლეუსის ფუძეზე შეიმჩნევა 2 სმ სიგრძის სწორი ლამელების ატკეცვის კვალი (ტაბ. XI, სურ. 11).

აღნიშნული ჯგუფიდან გამოიყოფა 2 ცალი ერთფუძიანი პრიზმული ნუკლეუსი. მათ სწორი, თხელი ლამელები ატკეცილი აქვთ ერთი ზედაპირიდან, ხოლო მეორე მხარე გათლილია განივი მიმართულებით ფირფიტების ატკეცვის საშუალებით (ტაბ. XI, სურ. 4).

უნდა მოვიხსენიოთ შუაზე გაპობილი, ბრტყელი, მასიური

ნუკლეუსი. ნუკლეუსს ფუძე დაქანებული აქვს ირიბად. მის ერთ მხარეს კარგად ემჩნევა თხელი ლამელების ატკეცვის კვალი, ხოლო სამუშაო ზედაპირის საწინააღმდეგო მხარეზე, ნუკლეუსის ერთ-ერთი სიგრძივი გვერდიდან, მხოლოდ ორი მიკროფირფიტა აცლილი (ტაბ. XI, სურ. 2). აღსანიშნავია აგრეთვე შუაზე გაპოხილ კაქარზე დამზადებული ნუკლეუსი. ნუკლეუსის მარცხენა გვერდი რეტუშირებულია, შესაძლოა ნუკლეუსის ეს ნაწილი სახოკის დაწინაშელებითაც გამოიყენებოდა (ტაბ. XI, სურ. 8).

ასევე უნდა მოვიხსენიოთ პრიზმული მოყვანილობის ერთფუძიანი, ცალმხრივი, თხელი ნუკლეუსი, რომლის ფუძე გულმოდგიწედაა დამუშავებული (ტაბ. XI, სურ. 12).

ბ) პრიზმის მოყვანილობის ორფუძიანი ნუკლეუსები (18 ც. 16,2%) (ტაბ. XII, სურ. 1—9). აღნიშნულ ნუკლეუსებს ორი ფუძე აქვთ, საიდანაც ხდებოდა ლამელების ატკეცვა. მათი სიგრძე 4,3—6,4 სმ შორის მერყეობს, დიამეტრი 1,9—3,9 სმ-ია. 6 ცალი კი მცირე ზომისაა. მათი სიგრძე საშუალოდ 3 სმ-ია, ხოლო დიამეტრი 2 სმ-ს უდრის, მათ შორის 2 ცალი ობსიდიანისაა.

აღნიშნული ნუკლეუსებიდან თითქმის ყველა ცალმხრივია, ე. ი. ფირფიტების ატკეცვის კვალი ერთ მხარეს აქვთ. მეორე, ზურგის მხარე, კი მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარულია კაქარის კანით. ფირფიტების ატკეცვა ხდებოდა თანამიმდევრულად, ხან ერთე და ხან მეორე სიბრტყიდან (ტაბ. XII, სურ. 1, 4, 5). გამოწკლისს წარმოადგენს 2 ცალი ობსიდიანის ნუკლეუსი, რომელთაგან ერთ-ერთი ირგვლივია გამოყენებული (ტაბ. XII, სურ. 7), ხოლო მეორე ნუკლეუსს ერთი მხრიდან მიკროფირფიტები აქვს აცლილი, მისი მეორე მხარე კი გათლილია (ტაბ. XII, სურ. 6).

ზოგიერთ ნუკლეუსს ფუძე სწორად აქვს მომზადებული ცენტრალური ღერძის მიმართ (6 ც.), ზოგს კი — ირიბად (8 ც.). გვხვდებიან ისეთნიც (4 ც.), რომელთაც „ა“ ქვეჯგუფის ნუკლეუსების მსგავსად ფუძე უაღრესად მკვეთრად აქვთ დაქანებული ზურგის მხარისაკენ. ამათაგან 4 ცალს ფუძეები ისე აქვთ დაქანებული, რომ ისინი ძალზე ამოკლებენ ნუკლეუსის უკანა მხარეს, მაშინ როდესაც სამუშაო ნაწილი წაგრძელებული რჩება (ტაბ. XII, სურ. 2, 3, 8, 9).

II ჯგუფი — კონუსის მოყვანილობის ნუკლეუსები (2 ც. 1,8%) (ტაბ. XII, სურ. 10, 11). მათი სიგრძე 4,1—7 სმ-ია, ხოლო დიამეტრი 4,4—5,8 სმ. ერთს ფუძე ირიბად აქვს

დახრილი, მეორეს კი — ჰორიზონტალურად. ნუკლეუსებს ირგვლივ ატკეცილი აქვთ საყმაოდ სწორი მოყვანილობის ვიწრო ლამელები, მხოლოდ უკანა მხარის მცირე ნაწილი დაფარული აქვთ კაჟრის კანით.

III ჯგუფი — სოლისებური ნუკლეუსები (9 ც. 8,2 %) (ტაბ. XII, სურ. 12, 13, 14). მათი სიგრძე 3,8—6,6 სმ-ს შუა მერყეობს. სოლისებური ნუკლეუსები ხასიათდებიან გვერდებში საგრძნობი შებრტყელებით და ძალზე ვიწრო ფორნტალური სამუშაო მხარით, რომელიც წაგრძელებული ფორმისაა და ქვევითკენ ვიწროვდება. ერთი შეხედვით ამგვარი ნუკლეუსები სოლს მოგვაგონებენ. სოლისებურ ნუკლეუსებს განივკვეთში წაგრძელებული ტოლფერდა სამკუთხედის მოყვანილობა აქვთ. ნუკლეუსის ვიწრო ფორმა მოსაზერებელი უნდა ყოფილიყო მიკროლამელების ატკეცვისათვის.

მათთვის დამახასიათებელია ვერტიკალური ღერძის მიმართ დახრილი, წაგრძელებულ-ოვალური მოყვანილობის ფუძე, რომელიც დაქანებულია ნუკლეუსის უკანა სოლისებური ბოლოსაკენ. ფირფიტების ატკეცვა ხდებოდა მხოლოდ ნუკლეუსის შესქელებული ნაწილიდან. 6 ც. ამგვარი ნუკლეუსისათვის გამოყენებულია მასიური ანატკეცი, რომელთა შესქელებული ნაწილი ნუკლეუსის ვიწრო სამუშაო მხარეს წარმოადგენს (ტაბ. XII, სურ. 14).

დანარჩენი 3 ც. ნუკლეუსისათვის კი კაჟის კაჟარია გამოყენებული (ტაბ. XII სურ. 12). ერთ-ერთი მათგანისათვის გამოყენებულია თითქმის ტოლფერდა სამკუთხა მოყვანილობის ბრტყელი კაჟარი. ნუკლეუსის ფუძედ გამოყენებულია კაჟრის ერთ-ერთი ვიწრო გვერდი. ნუკლეუსის გვერდები დარტყმის მოედნის საწინააღმდეგო მხარეს უფრო ვიწრო და თხელია. მათი შეერთების ადგილას კაჟრის კანია შერჩენილი. შესაძლოა ეს ნაწილი წარმოადგენდა ნუკლეუსისათვის საყრდენს, როდესაც ხდებოდა ლამელების ატკეცვა (ტაბ. XII სურ. 13).

IV ჯგუფი — დისკოიდალური ნუკლეუსის მსგავსი ნუკლეუსი (1 ც.); (ტაბ. XII სურ. 15). მისი დიამეტრი 5,8 სმ-ია. ნუკლეუსს სხვადასხვა ზომის ფირფიტები ორივე მხრიდან უწესრიგოდ აქვს ატკეცილი ისე, რომ დისკოს თხელი ნაპირები თანდათანობით სქელდება ცენტრისაკენ. მისი სისქე ცენტრში 4,4 სმ-ს უდრის.

V ჯგუფი — ამორფული ნუკლეუსები (16 ც. 14,4%). მათი სიგრძე 3,8—8,8 სმ-ია, ხოლო დიამეტრი 3,3—6,5 სმ-ს შორის თავსდება. ამგვარი ნუკლეუსებიდან ლამელები თუ ანატაკეები გარკვეული კანონზომიერებით არ არის აცლილი. ისინი თავიანთ ფორმით არ ექვემდებარებიან განსაზღვრას და ამიტომ მათ პირობითად ამორფულები ვუწოდეთ.

VI ჯგუფი — უტილიზებული ანუ ბოლომდე გამოყენებული ნუკლეუსები (9 ც. 8,1%), მათი სიგრძე 3—4,8 სმ-ია. ნუკლეუსების ბოლომდე გამოყენების შედეგად მიღებულა კაქის გულგულები, რომელთა დიამეტრი საშუალოდ 2 სმ-ია.

VII ჯგუფი — უხეში ნუკლეუსები (20 ც. 18,0%), მათი სიგრძე 3,5—8,8 სმ-ს შორის თავსდება. მათ ვაკეთებულ აქეთ ფუძეები. ჩანს, უცდიათ აეტკიცათ ლამელები თუ ანატაკეები, მაგრამ კაქის უხარისხობის გამო მიუტოვებიათ, როგორც უვარგის-ნა.

ამრიგად, სამერცხლე კლდის ნუკლეუსებს შორის წამყვანი ადგილი პრიზმის მოყვანილობის ნუკლეუსებს უკავიათ (54 ც.), რაც მთელი ნუკლეუსების 48, 6%-ს შეადგენს. ისინი კარგად არიან ჩამოყალიბებული, ფუძეც კარგად აქეთ მომზადებული, ემჩნევათ სწორი ლამელების ატკეცვის კვალი.

კოლექციაში გვხვდება ისეთი ლამელები, რომლებიც სიგრძით თითქმის ორჯერ აღემატებიან ნუკლეუსების სიგრძეს. ეს გასაგებიცაა, რადგანაც ნუკლეუსები არ წარმოადგენენ თავიანთ პირვანდელ სახეს, საიდანაც ზდებოდა ლამელების ატკეცვა. ატკეცვის ტექნიკა მაღალია, ნუკლეუსების ნეგატივები თხელია, არაღრმაა. ატკეცვის შედეგად დარჩენილი წახნაგები არარელიეფურია, წიბოები პარალელურადაა განლაგებული, განსაკუთრებით ეს კარგად შეიმჩნევა პრიზმული მოყვანილობის ერთფუძიან ნუკლეუსებზე. რაც მიუთითებს მეტად თხელი და ვიწრო ლამელების ატკეცვაზე. სწორედ ამგვარი ლამელები გვაქვს კოლექციაში. ადრეული ძეგლების ნუკლეუსებზე კი ნეგატივები უფრო ღრმაა და რელიეფურადაა გამოსახული.

შიუხედავად ამისა, სამერცხლე კლდის ნუკლეუსების დამზადების ტექნიკაში შეიმჩნევა აგრეთვე ზოგიერთი არქაული ნიშნებიც. მართალია, ნუკლეუსების უმრავლესობას აქვს ზედაპალეოლითის ნუკლეუსებისათვის დამახასიათებელი გლუვი დარტყმის ფუძე,

მაგრამ გვხვდებიან ისეთი ცალებიც, რომელთაც ფუძეები რეტუ-
შით აქვთ შესწორებული, რაც დამახასიათებელია ადრეული ძეგ-
ლებისათვის. ↗

ანატკეც-ანამტკრევეები (ცხრილი № 9). მათი რაოდენ-
ობა 1136 ცალია, რაც ქვის მთელი მასალის საერთო რაოდენო-
ბის 48,5%-ს შეადგენს, ხოლო წარმოების ნაშთების 53,1%-ს.

ცხრილი 9

სამერცხლე კლდის მღვიმე

ჩვენება	ანატკეც-ანამტკრევეები	რაოდენობა	ქვის	ობსიდიანის	რეტუშირები		კაპრის კანით	ბუნებრივი ქერქის გარეშე	% -ული შეფარდება
					ნაწილობრივი	ირველი			
I	კაპარზე ამტკრეული თავეები	15	15	—	—	—	15	—	1,3
II	კაპრის გვერდებიდან ამტკრეული ანატ- კეცები	193	193	—	11	—	193	—	17,0
III	ნუკლეუსიდან მიღე- ბული ანატკეცები	640	629	11	46	—	—	640	56,3
IV	ნუკლეუსის განახლე- ბისა და შესწორე- ბის შედეგად მი- ღებული ანატკე- ცები								
	ა) ნუკლეუსის თავის ანამტკრევეები (გა- ნივი ანატკეცი)	27	27	—	—	—	—	27	2,4
	ბ) ნუკლეუსის გვერ- დის ანამტკრევეი (სი- გრძივი ანატკეცი)	28	27	1	1	—	—	28	2,5
V	შალაშინის თავის გა- დანამტკრევეები	6	6	—	—	6	—	6	0,6
VI	ქერცლისებური ანატ- კეცები	88	87	1	—	—	—	88	7,7
VII	სამწახნაგი ანამტკრე- ვეები	2	2	—	—	—	—	2	0,2
VIII	უხეში ანამტკრევეები	137	137	—	—	—	78	59	12,0
	ს უ ლ .	1136	1123	13	58	6	286	850	100,0

ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც ფორმით, ასევე ზომით. I ჯგუფი — კაქარზე ამტვრეულ ცთაცეები (ტაბ. XIII სურ. 1,2, 15 ც.). მათ ზურგის მხარე ოდნავ ამობურცული და კაჭრის კანით დაფარული აქვთ. ქვედა სიბრტყე კი ხან სწორია, ხან კი შეზნეპილი და დაფარულია ტალღისებური წრეებით. ამგვარ ანატკეცებს ლებულობდნენ მაშინ, როდესაც კაქის კაჭარს თავს გადაუმტვრევდნენ დარტყმის მოედნის მომზადების მიზნით, რომ მერე ადვილად აეტკიცათ ანატკეცები ან ლამელები. კაქარზე ამტვრეული თავები ერთმანეთისაგან განსხვავდება ზომამოყვანილობით, რაც დამოკიდებული იყო კაქის კაჭრის სიმსხოზე. მათი სიგრძე 3,8—7 სმ-ს შორის მერყეობს, ხოლო სიგანე 2,4—5,7 სმ შორის თავსდება.

II ჯგუფი — კაჭრის გვერდებიდან ამტვრეული ანატკეცები (193 ც.) (ტაბ. XIII სურ. 3,4). ეს ანატკეცები მიიღებიან კაჭრის ნუკლეუსად მომზადების ანუ კაჭრის „გათლის“ პროცესში, მისი გვერდებს მოშორების შედეგად. ყველა მათგანს ზურგის მხარე მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარული აქვს ბუნებრივი კანით. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც ზომით, ასევე ფორმითაც. გვხვდება ბრტყელი, მომრგვალო და სხვ. მჭრელნაპირებიანი ანატკეცები. მათი სიგრძე 4,5—10,5 სმ-ს შორის მერყეობს, სიგანე კი 3—6 სმ-ია. ამგვარი ანატკეცების უმრავლესობას ნათლად ეტყობა დარტყმის სიბრტყე და სათანადო ბურცული.

ამავე ჯგუფში შედის ნაწილობრივ მკრთალრეტუშიანი (11) ცალი ანატკეცი. ანატკეცებს შერჩენილი აქვთ დარტყმის მოედანი. მათ ზურგის ზედაპირი მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარული აქვთ ბუნებრივი კანით. მკრთალად რეტუშირებული ანატკეცები, ალბათ გამოიყენებოდნენ სხვადასხვა სახის საფხეკებად, თუმცა არც ერთი მათგანი არ წარმოადგენს დასრულებულ იარაღს.

III. ჯგუფი — ნუკლეუსებიდან მიღებული ანატკეცები (640 ც.), (ტაბ. XIII სურ. 10,11), აქედან 11 ცალი ობსიდიანისაა. ანატკეცებს აქვთ სამკუთხედისებური, მოგრძო, მოკლე ან მომრგვალო მოყვანილობა, არასწორი, თხელი და ბასრი გვერდებით. როგორც ჩანს, ზოგიერთი მათგანი მჭრელ იარაღებადაც უზმარიათ, რაზედაც მიუთითებს გამოყენების კვალი პატარა ანამტვრევების სახით. ზურგის მხარეზე არც ერთ მათგანს არა აქვს შერჩენილი კაჭრის კანი. სამაგიეროდ უმრავლესობას ეტყობა

სხვადასხვა სახის ფირფიტების ატკეცვის კვალი (ფაცეტები). ყველაზე მრავლადაა მცირე ზომის ანატკეცები, რომელთა სიგრძე 4—2 სმ-ს შორის მერყეობს (453 ც.), შედარებით ნაკლებია საშუალო ზომის ანატკეცები (182 ც.), მათი სიგრძე 8—5,4 სმ-ს შორის მერყეობს, ხოლო დიდ ზომის ანატკეცები სულ 5 ცალია, რომელთა სიგრძე 8,5—12,5 სმ-მდეა. ანატკეცების 7,1%-ს ეტყობა იარაღად გამოყენების კვალი. 46 ცალ ანატკეცს სხვადასხვა ადგილას ეტყობა ნაწილობრივი რეტუში, რომელიც ხშირად მკრთალია, თუმცა ზოგიერთი ანატკეცი შედარებით მკვეთრი და სრული რეტუშითაც გამოირჩევა. ანატკეცების უმრავლესობას შერჩენილი აქვს დარტყმის მოედანი და ატკეცვის ბურცული: 12 ცალ ანატკეცს დარტყმის სიბრტყე შესწორებული აქვს (ტაბ. XIII სურ. 8), ხოლო 7 ცალს დარტყმის მოედნის შუა ნაწილი სიმეტრიულად აქვს ამობურცული (ტაბ. XIII სურ. 7).

IV ჯგუფი — ნუკლეუსების განახლებებისა და შესწორების შედეგად მიღებული ანატკეცები (55 ც.), (ტაბ. XIII სურ. 5, 9). მათგან გამოვყოფთ განივ და სიგრძივ ანატკეცებს.

ნუკლეუსის თავის ანამტვრევები ანუ განივი ანატკეცები 27 ცალია (ტაბ. XIII სურ. 5), რომლებიც მიიღებოდნენ ნუკლეუსების „განახლებისას“. მათ ამტვრევდნენ ნუკლეუსს დარტყმის სიბრტყის მისაცემად, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ნუკლეუსიდან კიდევ სწორი და განსაზღვრული ფორმისა და ზომის ლამელების ატკეცვა. ასეთ ანამტვრევებს კაჭრის კანი სრულებით აღარ აქვთ. ზედა და ქვედა წახნაგები ყოველთვის ბრტყელია. გვერდებზე ეტყობათ ნუკლეუსებიდან გამოყოლილი წახნაგები. ზოგიერთი განივი ანატკეცი მეორადი დამუშავების შემდეგ ჭაფხეკებად გამოიყენებოდა. მათი სიგრძე 2—8 სმ-ია.

ნუკლეუსების გვერდების შესწორებისას, უხარისხო ან არასწორი ნაწილების მოშორებით მიიღებოდა სიგრძივი ანატკეცები (28 ც.), (ტაბ. XIII სურ. 9), მათი სიგრძე 2,5—10 სმ-ს შორის მერყეობს, ხოლო სიგანე — 0,8—1,5 სმ-მდეა. ამათგან ერთი ცალი ობსიდიანისაა. ამ ანატკეცებს გვერდი დამუშავებული აქვთ ბრტყელი, განიერფაცეტებიანი რეტუშით. ანატკეცები ხშირად სამწახნაგაა.

V ჯგუფი — შალაშინის თავის გადაანამტვრევები (6 ც.), (ტაბ. XIII სურ. 6). ანატკეცებს ქვედა და ზედა წახნა-

გები ბრტყელი აქვთ, გვერდებზე იირგვლივ ემჩნევათ მცირე ზომი ფაცტები. მათ ნათლად ეტყობათ მუშაობის პროცესში მიღებულ ნიშნები. მათი სიგრძე 4,2—6,5 სმ-ს შორის მერყეობს, ხოლო სიგანე 1,8—3 სმ-ს შორის თავსდება.

VI ჯგუფი — ქერცლისებური ანატკეცები (88 ც.) ანატკეცებს აქვთ ტალღისებური ზედაპირი, დარტყმის სიბრტყე და შესაბამისი ბურცობი.

VII ჯგუფი — სამწახნაგა ანატკეცები (2 ც.), რომლებიც მიღებული არიან საჭრისების დამზადების დროს. მათი სიგრძე 3,5—6,5 სმ-ია.

კოლექციაში გვხვდება აგრეთვე კაქის უხეში ანამტვრევეები (137 ც). ყველა მათგანი უსწორო მოყვანილობისაა, ამავ დროს დაკუთხული და ბასრგვერდებიანია. ანამტვრევეებში გვხვდება ისეთი ცალბეც, რომლებსაც პრიალა და გლუვი ზედაპირი აქვთ შესაძლოა ისინი წყლის მიერ იყენენ ჩამოტანილი. 78 ცალ ანამტვრევს შერჩენილი აქვს კაქრის კანის ფრაგმენტი. მათ არ ეტყობათ დარტყმის სიბრტყე და ატკეცვის ბურცობი. ასევე არ გააჩნიათ და მუშავების კვალი. გამოყენების ნიშნები მათზე იშვიათად შეინიშნება. ანამტვრევეებს შორის 23 ცალი დიდი ზომისაა, მათი სიგრძე 7—10,5 სმ-ს შორის მერყეობს, სიგანე კი 4,1—7,8 სმ-ია, ისინი წარმოადგენენ უხეში კაქის ქეებს. ზოგიერთ მათგანზე კიდევაც უცდიათ ატკეცათ ლამელა თუ ანატკეცი. ანამტვრევეებში ჭარბობენ მცირე ზომისანი (58 ც), რომელთა სიგრძე 2,5—4,6 სმ-ია, ხოლო სიგანე — 1,5—2,5 სმ. დანარჩენი 56 ცალი ანამტვრევი საშუალო ზომისაა, რომელთა სიგრძე 4,5—7 სმ-ს შორის მერყეობს, ხოლო სიგანე 3,5—5,2 სმ-ია.

ლამელები (ცხრილი № 10). სამერცხლე კლდის II კულტურული ფენის კოლექციიდან 874 ცალი სხვადასხვა ფორმისა და ზომის ლამელაა, რაც მასალის საერთო რაოდენობის 37,3%-ს შეადგენს, ხოლო წარმოების ნაშთების 41,0%. ლამელებს კაქრის კანის თითქმის მთლიანად შემოცლილი აქვთ და საკმაოდ სწორი მოყვანილობით ხასიათდებიან. ლამელების უმრავლესობა ორ ან სამფერდაა, იშვიათად გვხვდება მრავალფერდა. მათ სწორი, თხელი და მკრეელი ნაპირები ახასიათებს, ლამელების სიგრძე 1,5—12,7 სმ-ს შორის მერყეობს, ხოლო სიგანე 0,4—4 სმ-მდეა. ისინი მოყვანილობის, მეორადი დამუშავებისა და ზომების მიხედვით რამდენად მე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

სამეგრეო ქალაქი

ჩანაწერი	ლაშქრის დასახელება	რაოდენობა	კაცი	ობილიანის	მთელი	თავგადასაქმებული	ბოლომომეტრული	თავბოლომომეტრული	რეტუშირებული				% - უსაქმობა	
									ნაწილობრივ		უპირატესად	მთლიანად		
									ზურგის	მუცლის				
I	ვიწრო დანისებური ლაშქრები													
	ა) დიდი (8—12,7 სმ)	35	35	—	26	5	2	2	7	2	3	1	4,0	
	ბ) საშუალო (5—7,9 სმ)	241	236	5	130	44	44	23	46	20	6	1	27,6	
	გ) მცირე (3,5—4,9 სმ)	267	258	9	128	41	70	28	16	9	1	—	30,5	
II	ფართო დანისებური ლაშქრები													
	ა) დიდი (6,5—11 სმ)	26	26	—	17	2	6	1	5	1	3	—	3,0	
	ბ) საშუალო (5 სმ)	25	25	—	18	—	6	1	8	1	2	—	2,8	
III	სხვადასხვა მოყვანილობის ლაშქრები (3—8 სმ)	120	117	3	98	13	8	1	6	1	2	—	13,8	
V	ლაშქრის განივი ნატივები (1—3 სმ)	49	45	4	—	—	—	49	5	2	1	—	5,6	
V	ლაშქრის თავები (1—2,5 სმ)	24	24	—	—	—	—	—	4	—	—	—	2,7	
VI	მიკროლაშქრები (1,5—4 სმ)	87	79	8	54	12	13	8	3	—	—	—	10,0	
	ს უ ლ	874	845	29	471	117	149	113	100	36	18	2	100,0	

1 ჩანაწერი — ვიწრო დანისებური ლაშქრები (543 ც.), (ტაბ. XIV სურ. 1—9). მათთვის დამახასიათებელია საკმაოდ სწორი და მკრედი გვერდები, რომლებიც ერთმანეთს თითქმის პარალელურად მისდევენ. ლაშქრების ეს ჩანაწერი ხასიათდება თხელი, ვიწრო და სწორი ნაპირებით. მათ უმრავლესობას გვერდებზე აქვს გამოყენების ნიშნები. დიდი ადგილი უჭირავს ბოლოგადამეტრულ ლაშქრებს (116 ც.). თავგადამეტრული ლაშქრები 90 ცალია, ბევრია აგრეთვე თავბოლოგადამეტრული ლაშქრებიც (53 ც.). მთელი ლაშქრა კი 284 ცალია. 112 ლაშქრა რეტუშირებულია. გვერდრეტუშირებული ლაშქრები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან

რეტუშის ხასიათით და განლაგებით. რეტუში ზოგჯერ თანმიმდევრულია და მთლიანად გასდევს ლამელის გვერდს, ზოგჯერ კი ნაწილობრივია. იგი ხან მსხვილფაცეტიანია, ე. ი. მკაფიოა, ხან კ თხელფაცეტიანი, ე. ი. მკრთალი, გვხვდება ლამელები, რომელთა გვერდები დამუშავებულია ზურგის მხრიდან (69 ც.), მუცლის მხრიდან (31 ც.) და ლამელები საწინააღმდეგო სიბრტყეზე მდებარე რეტუშით (10 ც.). ორი ცალი ლამელა კი მთლიანადაა რეტუშირებული. გვხვდება ისეთებიც, რომელთაც რეტუშის საშუალებით ამოღარული აქვთ გვერდის რომელიმე ნაწილი.

ლამელების უმრავლესობას შერჩენილი აქვს დარტყმის მოედანი და შესაბამისი ბურცობი, ზოგ მათგანს ტალღისებურად გაშლილი ნიჟარისებური ზედაპირიც ეტყობა.

სწორი მოყვანილობისა და ბასრი გვერდების გამო ლამელების უმრავლესობა გამოყენებულია მკრელ იარაღებად, რისი კვალიც მათ ეტყობათ პატარა ანამტვრევების სახით.

ამ ჯგუფის ლამელები ზომების მიხედვით იყოფა:

ა) დიდი ზომის (35 ც.), (ტაბ. XIV, სურ. 1, 2, 3). მათი სიგრძე 8—12,7 სმ-ია, ხოლო სიგანე 1,3—2,3 სმ-ს შორის თავსდება.

ბ) საშუალო ზომის (241 ც), (ტაბ. XIV, სურ. 4, 5, 6, 7). მათი სიგრძე 5—7,9 სმ-ია, ხოლო სიგანე საშუალოდ 1,8 სმ-ს უდრის.

გ) მცირე ზომის (267 ც), (ტაბ. XIV, სურ. 8, 9). მათი სიგრძე 3,5—4,9 სმ-ია, ხოლო სიგანე 1—2 სმ.

II ჯგუფი — ფართო დანისებური ლამელები (51 ც.), (ტაბ. XV სურ. 11—15). ისინი 1 ჯგუფის ლამელებისაგან განსხვავებით უფრო მსხვილი, ფართო და ტლანქი არიან, მათი გვერდებიც შედარებით უსწოროა. ამათთაგან 20 ცალი რეტუშირებულია ზურგისა თუ მუცლის მხრიდან. ლამელების ნაწილს შერჩენილი აქვს ბუნებრივი ქერქის ფრაგმენტებიც. ამ ჯგუფის ლამელებს კარგად ეტყობათ დარტყმის მოედანი და ბურცობი, აგრეთვე ტალღისებურად გაშლილი ნიჟარისებური ზედაპირი. უმეტესობა გამოყენებული ყოფილა დანად, რისი კვალიც კარგად შეიმჩნევა პატარა ანამტვრევების სახით. აღნიშნულ ლამელებსაც ვყოფთ ქვეჯგუფებად:

ა) დიდი ზომის (26 ც.), (ტაბ. XV, სურ. 13—15), მათი სიგრძე 6,5—11 სმ-ს შორის მერყეობს.

ბ) საშუალო ზომის (25 ც.), (ტაბ. XV, სურ. 11—12).

III ჯგუფი — სხვადასხვა მოყვანილობის ლამელები (120 ც., 13,8%), ლამელების სიგრძე 3—8 სმ-ს შორის მერყეობს, ხოლო სიგანე საშუალოდ 1,5 სმ-ია. ამ ჯგუფში ვაერთიანებთ არასწორი მოყვანილობისა და სხვადასხვა სისქის ლამელებს. ზოგიერთ ლამელას გვერდებზე რეტუში აქვს გაკეთებული მუცლისა და ზურგის მხრიდან.

IV ჯგუფი — ლამელის განივი ნატეხები (49 ც.), (ტაბ. XV, სურ. 1—3), რომლებიც მიღებული არიან დანისებური ლამელების თავისა და ბოლოს წამტვრევის შედეგად.

V ჯგუფში გაერთიანებულია ლამელის თავები (24 ც.). (ტაბ. XV, სურ. 4). მათ მუცლის მხრიდან ეტყობათ ტალღისებურად გაშლილი ზედაპირი, დარტყმის მოედანი და დარტყმის ბურცობი.

VI ჯგუფი — მიკროლამელები (87 ც., 10,0%), (ტაბ. XV, სურ. 5—10). მათი სიგრძე 1,5—3 სმ-ს შორის მერყეობს, ხოლო სიგანე საშუალოდ 0,5 სმ-ია. უმრავლესობა წარმოადგენს სწორ, ვიწრო და ბასრგვერდებიან ორფერდა ან სამფერდა ფირფიტებს, რომელთა მნიშვნელოვან ნაწილს შერჩენილი აქვს დარტყმის სიბრტყე და ატკეცვის ბურცობი. მიკროფირფიტები ნუკლეუსებიდან ატკეცილი არიან არა დარტყმის საშუალებით, არამედ წნევითი ტექნიკით. მიკროლამელებს არა აქვთ რეტუში, მხოლოდ 3 ცალ მიკროლამელას აქვს ზურგის მხრიდან ცალი გვერდი მეტად ფაქიზი რეტუშით დამუშავებული (ტაბ. XV, სურ. 6, 7). დანარჩენ ლამელებს, მართალია, გვერდებზე რეტუში არ გასდევს, მაგრამ მუშაობის პროცესში ადამიანის მიერ მათ გამოყენებაზე მიუთითებს პატარ-პატარა ჩანამტვრევები ლამელების ნაპირებზე და აგრეთვე მუშაობის კვალი, რომელიც კარგად შეიმჩნევა ბინოკულარულ მიკროსკოპში მათი გასინჯვისას.

ამრიგად, კოლექციაში ყველაზე დიდი რაოდენობით დანისებური ლამელებია წარმოდგენილი (594 ც), რაც ლამელების საერთო რაოდენობის 67,9%-ია.

ნუკლეუსებიდან ლამელების ატკეცვა ხდებოდა როგორც დარტყმის (შედარებით დიდი ზომები), ასევე წნევითი ტექნიკის საშუალებით (მცირე ზომები). სწორწახნაგა ლამელების სიმრავლე მიუთითებს ატკეცვის ტექნიკის გაუმჯობესებაზე. ლამელების ერთა ნაწილი წარმოადგენდა დამოუკიდებელ იარაღებს, მეორე ნაწილი კი იხმარებოდა იარაღების დასამზადებლად.

იარაღებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი საფხეკებს უკავიათ. მათი რიცხვი 86 ცალია, რაც ქვის მთელი მასალის 3,6%-ს შეადგენს, ხოლო საერთო იარაღების 38,9%-ს (ცხრილი № 11 და № 12).

ცხრილი 11

სამერცხლე კლდის იარაღების ცალკეულ სახეთა %-ული შეფარდება იარაღთა საერთო რაოდენობასთან

№ რიგზე	იარაღები	რაოდენობა		ობსიდიანის	ანატექც—ანატექცეზე ჩამოყალიბებული	ლაქლზე ჩამოყალიბებული	რეტუშირებული		ბუნებრივი ქვიჩით	კაქის კანის გარეშე	% -ული შეფარდება
		რაოდენობა	კაქის				ნაწილობრივი	ირველვ			
1	საფხეკები	86	83	3	9	77	29	5	13	73	38,9
2	საჭრისები	82	81	1	50	32	41	6	32	50	37,2
3	სათლელისებური იარაღები	16	16	—	2	14	3	1	2	14	7,3
4	შალაშინები და მათი მსგავსი	16	15	1	16	—	3	13	2	14	7,3
5	კომბინირებული იარაღები	7	7	—	2	5	2	2	2	5	3,2
6	სახოკები	3	3	—	3	—	3	—	2	1	1,3
7	სახერცხისებური იარაღები	5	5	—	—	5	2	—	—	5	2,3
8	სახერცხი	1	1	—	—	1	1	—	—	1	0,4
9	საჩხისებური იარაღები	2	2	—	2	—	1	—	1	1	0,9
10	რეტუშირი	1	1	—	1	—	—	1	—	1	0,4
11	თაზურგდაბლაგვებული დანა	1	1	—	—	1	1	—	—	1	0,4
12	გაურკვეველი დანიშნულების იარაღი	1	1	—	—	1	—	1	—	1	0,4
	სულ	221	216	5	85	136	86	29	54	167	100,0

საფხეკები ნაკეთებია როგორც ანატექცეზე (9 ც.), ასევე ლამელზე (77 ც.), მათი დარტყმის მოედნის საწინააღმდეგო მხარეს.

საფხეკთა უმრავლესობა მთელი იარაღის სახითაა წარმოდგენილი (43 ც.). საფხეკთა უდიდეს ნაწილს (73 ც.) კაქრის კანი

მთლიანად გაცლილი აქვს, მხოლოდ მცირე ნაწილს (13 ც.) აქვს შერჩენილი ალაგ-ალაგ ბუნებრივი ქერქი. გვხვდება როგორც მთლიანად, ორივეგვერდრეტუშირებული (5 ც.), ასევე ნაწილობრივ რეტუშირებული (29 ც.) საფხეკები.

ცხრილი 12

სამერცხუ კლდე

ჯგუფები	საფხეკები	რაოდენობა					რეტუშირებული		კაქრის კანთი	კაქრის კახის ვარეშე	% - ული შეფარდება
		რაოდენობა	კაქის	ობსიდიანის	ანატექენა, ტერევიზე ჩაყოყლიბებული	ლაქელებზე ჩამოყალიბებული	ნაწილდრივ	მთლიანად			
I	ოვალურსამუშაობირიანი										
	ა) ფართოოვალურსამუშაობირიანი საფხეკები	22	22	—	3	19	6	—	4	18	25,5
	ბ) ვიწროოვალურსამუშაობირიანი საფხეკები	38	38	—	—	38	14	4	3	35	41,0
II	ფართოოვალურსამუშაობირიანი ბრტყელი საფხეკები	4	4	—	1	3	1	—	2	2	5,0
III	ჩალარულ-ამოლარულსამუშაობირიანი საფხეკები	1	1	—	—	1	—	—	—	1	1,2
IV	ამოლარული საფხეკები	3	1	2	2	1	1	1	1	2	3,4
V	თავირიბრეტუშირებული საფხეკი	1	—	1	—	1	—	—	—	1	1,2
VI	თავსწორრეტუშირებული საფხეკები	5	5	—	—	5	3	—	2	3	5,8
VII	მალალი ფორმის საფხეკები	3	3	—	1	2	2	—	—	3	3,5
VIII	ნისკარტისებური სამუშაობირიანი საფხეკები	3	3	—	1	2	1	—	—	3	3,4
IX	დაკბილულსამუშაობირიანი საფხეკი	1	1	—	1	—	—	—	1	—	1,2
X	ორმაგი საფხეკები	5	5	—	—	5	1	—	—	5	5,8
	ს უ ლ	86	83	3	9	77	29	5	13	73	100,0

საფხეკები ფორმისა და ზომის მიხედვით მრავალფეროვანია. მათი სიგრძე მერყეობს 2,7—11,2 სმ-ს შორის. კოლექტიაში გვხვდება აგრეთვე 2 ც. მცირე ზომის საფხეკი, რომელთა სიგრძე 2—2,5 სმ-ია. ასევე განსხვავდებიან ძინი ერთმანეთისაგან სიგანის მიხედვით. მათი სიგანე 1,5—3,9 სმ-ს შორის მერყეობს, ხოლო სისქე შეიძლება მოთავსდეს 0,4—1,6 სმ-ს შორის.

საფხეკები სამუშაო პირის მოყვანილობით შეიძლება დავყოთ გარკვეულ ჯგუფებად და ქვეჯგუფებად:

I ჯგუფი — ო ვ ა ლ უ რ ს ა მ უ შ ა ო პ ი რ ი ა ნ ი ს ა ფ ხ ე კ ე ბ ი (60 ც., მთელი საფხეკების 69,5%), ტაბ. XVI, სურ. 1—16; ტაბ. XVII, სურ. 1—12; ტაბ. XVIII, სურ. 1—10 და ტაბ. XIX სურ. 1—6). ვინაიდან, ოვალურსამუშაოპირიან საფხეკებს შორისაც არის განსხვავება, ამიტომ ჩვენ მათ ქვეჯგუფებად ვყოფთ:

ა) ფ ა რ თ ო ო ვ ა ლ უ რ ს ა მ უ შ ა ო პ ი რ ი ა ნ ი ს ა ფ ხ ე კ ე ბ ი (22 ც.). ამათგან 19 ცალი ჩამოყალიბებულია ორფერდა, სამფერდა და მრავალფერდა ლამელის ბოლოზე, სამი ცალი კი — ნუკლეუსის კიდის ჩამონამტვრევზე.

საფხეკების სამუშაო პირი მკვეთრი რეტუშის საშუალებითაა ჩამოყალიბებული. ამათგან 4 ცალს სამუშაო პირი დამუშავებული აქვს მაღალი, ციცაბო რეტუშით და მაღალი ტიპის საფხეკს წააგავს (ტაბ. XVII, სურ. 4).

აღსანიშნავია სამფერდა ლამელაზე ჩამოყალიბებული საფხეკი. მისი მარჯვენა სიგრძივი გვერდი დამუშავებულაა თანშიმდევრული მკვეთრი რეტუშის საშუალებით, მეორე გვერდს კი გასდევს მკრთალი რეტუში და შეინიშნება დანად გამოყენების ნიშნები (ტაბ. XVII, სურ. 1).

ამ ჯგუფის საფხეკებიდან 4 ცალს ზურგისა და მუცლის მხრიდან აქვს ნაწილობრივ რეტუშირებული გვერდები (ტაბ. XVI, სურ. 2, 6; ტაბ. XVII, სურ. 2, 6). დანარჩენ საფხეკებს კი სიგრძივი გვერდების გასწვრივ დანად გამოყენების შედეგად პატარ-პატარა ანამტვრევები აქვს. საფხეკების სამუშაო პირის სიგანე 2,5 სმ-ია.

ბ) ვ ი წ რ ო ო ვ ა ლ უ რ ს ა მ უ შ ა ო პ ი რ ი ა ნ ი ს ა ფ ხ ე კ ე ბ ი (38 ცალი), ჩამოყალიბებული არიან ორფერდა, სამფერდა და მრავალფერდა, სწორი მოყვანილობის ლამელაზე. აღნიშნული საფხეკებიდან 17 ცალი მთელია, 20 ცალს კი ბოლო მომტვრეული აქვს, ხოლო ერთი ცალი სამუშაო პირთან ახლოსაა გატეხილი. ერთ-ერთ საფხეკს ზურგის მხარე მთლიანად დაფარული აქვს ბუ-

ნებრივი ქერქით და მხოლოდ სამუშაო პირის ჩამოყალიბების დროს არის ანტიკეცის ზურგის მცირე ნაწილი განთავისუფლებული კაპრის კანისაგან (ტაბ. XVII, სურ. 10).

ვიწროოვალურსამუშაოპირიან ზოგიერთ საფხეკს (18 ც.) მუცლის. ან ზურგის მხრიდან გვერდებზე ნაწილობრივ ან მთლიანად გაკეთებული აქვს რეტუში (ტაბ. XVI, სურ. 12, 13, 16; ტაბ. XVII, სურ. 12, ტაბ. XIX, სურ. 4, 5). კოლექციაში გვხვდება 4 ცალი საფხეკი, რომელთაც ორთავე გვერდი რეტუშირებული აქვთ (ტაბ. XVII, სურ. 7, 9; ტაბ. XVIII, სურ. 2). ერთს კი კარგად ეტყობა ცეცხლში მოხვედრის ნიშნები (ტაბ. XVII, სურ. 11). აღსანიშნავია 1 ცალი ვიწროოვალურსამუშაოპირიანი საფხეკი ჩამოყალიბებული ბოლომტეხილ ლამელაზე, რომელსაც მარცხენა გვერდი ზურგის მხრიდან, ხოლო მარჯვენა მუცლის მხრიდან აქვს დამუშავებული ფაქიზი, მკრთალი რეტუშით (ტაბ. XVII, სურ. 9. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ორფერდა ლამელაზე ჩამოყალიბებული ვიწროოვალურსამუშაოპირიანი საფხეკი, რომლის მარჯვენა გვერდის მცირე ნაწილი მუცლის მხრიდან მცირედ ამოღარულია და ფაქიზი რეტუშითაა დამუშავებული.

შესაძლებელია, ამ ნაწილით ძელის იარაღის დამუშავება ხდებოდა. იარაღის მეორე გვერდს კი მუცლის მხრიდან გასდევს მეტად მკრთალი რეტუში. რომელიც ლამელის ქვედა ნაწილის მცირე მონაკვეთზე ზურგის მხარეზეც გადადის (ტაბ. XIX, სურ. 2).

აღსანიშნავია აგრეთვე ნუკლეუსის განივ ანატკეცზე ჩამოყალიბებული ვიწროოვალურსამუშაოპირიანი საფხეკი (ტაბ. XIX, სურ. 1). იარაღი ზურგის მხრიდან თითქმის ირგვლივ არის რეტუშირებული.

ღვიწროოვალურსამუშაოპირიანი საფხეკები მხოლოდ იმით განსხვავდებიან „ა“ ქვეჯგუფის საფხეკებისაგან, რომ შედარებით უფრო ვიწრო და წაგრძელებულ ლამელებზეა ნაკეთები და უფრო ვიწრო — 1—1,5 სმ სიგანის სამუშაო პირი აქვთ.

საფხეკების სამუშაო პირი ფრჩხილის მოყვანილობისაა და ჩამოყალიბებულია ოდნავ დახრალი მკვეთრი რეტუშის საშუალებით. არის მოსაზრება, რომ ამ საფხეკების პროტოტიპად ფრჩხილი უნდა ჩაითვალოს და იქ, სადაც ადამიანი იარაღის ნაცვლად ფრჩხილს იყენებდა, კაქის ქვის ანატკეცის ხმარება დაიწყო ფრჩხილის მსგავსი თავით.³

³ გ. ნო რ ა ძ ე, ქვის ხანის ადამიანი საქაქიას გამოქვაბულში, „ტექნიკა და შრომა“, თბ., 1953 წ., გვ. 73.

აღნიშნული ჯგუფის საფხეკებიდან გამოიყოფა 3 ცალი საფხეკი, რომელთაც აქეთ ოვალურიდან სწორზე გარდამავალი ფორმის სამუშაო პირი (ტაბ. XVII, სურ. 11; ტაბ. XVIII, სურ. 2, 3).

II ჯგუფი — ფართო ოვალური სამუშაო პირი (4 ც., 5,0%), (ტაბ. XVIII, სურ. 15, 16; ტაბ. XIX, სურ. 7, 8). ჩამოყალიბებულნი არიან კაეის ბრტყელ და ფართო ლამელებზე, ხოლო ამათგან ერთი — ანატკეცზე. სამი ცალი საფხეკი მთელი იარაღის სახითაა წარმოდგენილი, მხოლოდ ერთ ცალს აქვს ბოლო მოტეხილი სამუშაო პირთან ახლოს, ზურგის მხრიდან კი შერჩენილი აქვს ბუნებრივი კანი.

ამ ჯგუფის საფხეკებისათვის დამახასიათებელია რკალისებური, ფართო სამუშაო პირი, რომლის სიფართოე 3—3,3 სმ-ია.

მსგევე როგორც I ჯგუფის საფხეკებს, აღნიშნულ საფხეკებსაც ორთავე გვერდზე ემჩნევათ გამოყენების კვალი. ჩანს ეს იარაღები დანადაც გამოიყენებოდა. ერთ-ერთ ამგვარ საფხეკს კი ცალ გვერდზე ზურგის მხრიდან გასდევს მკრთალი რეტუში (ტაბ. XIX, სურ. 7). სამუშაო პირი აღნიშნულ იარაღს დარტყმის მოედნის მხრიდან აქვს გაკეთებული.

III ჯგუფი — ჩაღრმავებული ოვალური სამუშაო პირი (1 ც.), (ტაბ. XIX, სურ. 9). ჩამოყალიბებულია სამფერდა ლამელის ბოლოზე, მისი სამუშაო პირი ტალღისებურადაა ჩაზნექილ-ამობურცული. ლამელას შერჩენილი აქვს დარტყმის მოედანი და ბურცობი. საფხეკის გვერდებს ემჩნევათ დანად გამოყენების ნიშნები.

IV ჯგუფი — ამოღარული საფხეკები (3 ც. 3,4%), (ტაბ. XIX, სურ. 10, 11, 12). ერთი მათგანი ჩამოყალიბებულია ასიმეტრიული მოყვანილობის კაეის ორფერდა ანატკეცის ფართო ბოლოზე, რომლის სიგანე 3 სმ-ია, მაშინ როდესაც ანატკეცის სიგანე დარტყმის მოედანთან 1,2 სმ-ია. ზურგის მხრიდან კაქრის კანი აქვს. საფხეკს სამუშაო პირი საკმაოდ ღრმად აქვს ამოკვეთილი მკვეთრი რეტუშის საშუალებით. მის ერთ გვერდზედაც აშკარად შეიმჩნევა დამუშავების ნიშნები, ჩანს ანატკეცი დანადაც გამოიყენებოდა (ტაბ. XIX, სურ. 10). დანარჩენი ორი ცალი კი ჩამოყალიბებულია ანატკეცზე და ობსიდიანის თხელ სამფერდა ლამელაზე. ანატკეცს დარტყმის მოედანი მომტვრეული აქვს. სამუშაო პირი ღრმადაა ამოკვეთილი და მკვეთრი რეტუშითაა დამუშავებული. მის ცალ გვერდსაც კარგად ემჩნევა დანად გამოყენების ნიშნები (ტაბ. XIX, სურ. 11).

ლამელაზე ჩამოყალიბებულ საფხეკს ბოლო მომტვრეული აქვს. სამუშაო პირი ლამელის მარჯვენა გვერდზეა ჩამოყალიბებული, რომელიც ნაკლებადაა ამოკვეთილი და დამუშავებულია მკვეთრი რეტუსით პუცლის მხრიდან. მოპირდაპირე გვერდი კი მკრთალადაა რეტუსირებული ზურგის მხრიდან (ტაბ. XIX, სურ. 12).

V (ჯგუფი — თ ა ვ ი რ ი ბ რ ე ტ უ შ ი რ ე ბ უ ლ ი ს ა ფ ხ ე კ ი (1 ც.), (ტაბ. XX, სურ. 1). ჩამოყალიბებულია თხელი ობსიდიანის მრავალფერა ლამელის ბოლოზე. ლამელას შერჩენილი აქვს დარტყმის მოედანი და ბურცობი. საფიქრებელია, იგი დანადაც ინმარებოდა, რაზეც მიუთითებს პატარა ანამტვრევები მჭრელი გვერდების გასწვრივ.

VI ჯგუფი — თ ა ვ ს წ ო რ რ ე ტ უ შ ი რ ე ბ უ ლ ი ს ა ფ ხ ე კ ე ბ ი (5 ც, 5,8%), (ტაბ. XVIII, სურ. 11, 12 ტაბ. XX, სურ. 2, 3, 4). დამზადებული არიან ორფერდა და სამფერდა ლამელაზე. მათი სამუშაო პირი სწორია, მხოლოდ 2 ცალ საფხეკს აქვს სწორიდან ამოღარულზე გარდამავალი ფორმის სამუშაო პირი (ტაბ. XX, სურ. 2, 3). ერთ-ერთ საფხეკს, რომელიც ჩამოყალიბებულია 2,5 სმ სიგრძის სამფერდა ლამელაზე, ზურგის მხარე ბუნებრივი ქერქით აქვს დაფარული. სამუშაო პირი დარტყმის მოედნის მხრიდან აქვს გაფორმებული, მეორე ბოლო კი წაკვეთილი აქვს და წარმოადგენს ნამზადს სწორსამუშაოპირიანი საფხეკისათვის. ერთი შეხედვით ის დუბლირებულ საფხეკსაც მოგვაგონებს. მის გვერდებზე შეიმჩნევა პატარ-პატარა ჩამტვრეული ნაპირებიც (ტაბ. XX, სურ. 4).

აღნიშნული ჯგუფის საფხეკებსაც ეტყობათ დანებად გამოყენების ნიშნები, შეიმჩნევა დამუშავების (რეტუსის) ნიშნებიც (ტაბ. XVIII, სურ. 11, 12; ტაბ. XX, სურ. 3).

აქვე უნდა მოვიხსენიოთ ერთი ცალი 3, 8 სმ სიგრძისა და 2 სმ სიგანის ბოლომოტეხილი ორფერდა ლამელა, რომელიც წარმოადგენს ნამზადს სწორსამუშაოპირიანი საფხეკისათვის.

VII ჯგუფი—მ ა ღ ა ლ ი ფ ო რ მ ი ს ს ა ფ ხ ე კ ე ბ ი (3 ც., 3,5%), (ტაბ. XVIII, სურ. 13, 14, ტაბ. XX, სურ. 5). აქედან 2 ცალი ჩამოყალიბებულია ბოლომოტეხილი კაეის სქელ და მოკლე სამფერდა ლამელაზე. 1 ცალი კი — ნუკლეუსის განივ ანატკეცზე, რომლის მარცხენა სიგრძივი გვერდი ფაქიზადაა რეტუსირებული. ხოლო იარაღის სამუშაო პირის მოპირდაპირე ბოლოში კი უცდიათ სასაჭრისე წაზნავის ატკეცვა (ტაბ. XX, სურ. 5).

იარაღებს სამუშაო პირი მომრგვალებული და ოდნავ უკან

უაქანებელი აქვთ. საფხეკების საკმაოდ მაღალი სამუშაო პირი ჩამოყალიბებულია პერპენდიკულარული მკვეთრი, „მაღალი“ რეტუშით. სამუშაო პირის დიამეტრი 2,5 სმ-ს არ აღემატება.

აღნიშნული საფხეკები მაღალი ტიპის საფხეკების კლასიკურ ნიმუშებს არ წარმოადგენენ.

VIII ჯგუფი — ნი ს კ ა რ ტ ი ს ე ბ უ რ ქ ა მ უ შ ა ო პ ი რ ი ა ნ ი ს ა ფ ხ ე კ ე ბ ი (3 ც., 3,4%), (ტაბ. XXI, სურ. 7, 8, 9). ერთ-ერთი საფხეკი ჩამოყალიბებულია მასიურ ანატკეცზე, რომელსაც გამოყოლილ აქვს ნუკლეუსის დარტყმის სიბრტყე და ემჩნევა ლამელების ატკეცვის კვალი. სამუშაო პირი გაფორმებულია ანატკეცის შევიწროებულ ნაწილში, რომლის სიგანე 0,9 სმ-ია, ხოლო მის მოპირდაპირე მხარეზე ანატკეცს სასაჭრისე წახნაგები დაუყვება. შესაძლოა ეს იარაღი კომბინირებულ იარაღსაც წარმოადგენდეს (ტაბ. XXI, სურ. 7). დანარჩენი 2 ცალი საფხეკი კი ჩამოყალიბებულია ფართო ორფერდა და სამფერდა ლამელებზე. სამუშაო პირი ჩამოყალიბებულია ლამელების ბოლოზე, დარტყმის სიბრტყის მოპირდაპირე მხარეს, მათ შევიწროებულ ნაწილში. ერთ-ერთ ლამელას მარჯვენა სიგრძევი გვერდი ზურგის მხრიდან მთლიანად აქვს რეტუშირებული, ხოლო მეორე — ნაწილობრივ (ტაბ. XXI, სურ 9).

IX ჯგუფი — დ ა კ ბ ი ლ უ ლ ს ა მ უ შ ა ო პ ი რ ი ა ნ ი ს ა ფ ხ ე კ ი (1 ც.), (ტაბ. XXI, სურ. 5), რომელიც ჩამოყალიბებულია ანატკეცზე. ანატკეცს დარტყმის სიბრტყე და ზურგის მხარე მთლიანად დაფარული აქვს კაჭრის კანით. სამუშაო პირი დარტყმის მოედნის მოპირდაპირე მხარეს, ანატკეცის მორკალულ გვერდზეა გაფორმებული ციცაბო რეტუშით. სამუშაო პირის ერთი მონაკვეთი ჩამოტეხილია.

X ჯგუფი. ო რ მ ა გ ი ს ა ფ ხ ე კ ე ბ ი (5 ც., 5, 8%), (ტაბ. XX, სურ. 6, 7; ტაბ. XXII, სურ. 3, 4, 5).

ა) ო ვ ა ლ უ რ ს ა მ უ შ ა ო პ ი რ ი ა ნ ი ს ა ფ ხ ე კ ე ბ ი (4 ც.) (ტაბ. XX, სურ. 6, ტაბ. XXII, სურ. 3, 4, 5).

საფხეკები ჩამოყალიბებული არიან კაჟის ორფერდა, სამფერდა და მრავალფერდა ლამელის ორივე ბოლოზე, ისინი დანადაც ყოფილან გამოყენებული. ერთ ამგვარ საფხეკს ცალ გვერდზე ზურგის მხრიდან დაუყვება ფაქიზი რეტუში, რომელიც მუცლის მხარეზეც გადადის (ტაბ. XXII, სურ. 3). ერთ საფხეკს კი ერთ-ერთი

ოვალური სამუშაო პირი ცეცხლში მოხვედრის შედეგად მომტვრეული აქვს (ტაბ. XXII, სურ. 4).

ბ) ოვალურ სამუშაო პირიანი და მაღალი საფხეკი (1 ც.), (ტაბ. XX, სურ. 7). იარაღის დასამზადებლად გამოყენებულია მრავალფეროვანი ლამელა. ლამელის ერთ შესქელებულ ბოლოში (სისქე 1,5 სმ) მკვეთრი, მაღალი, პეპენდიკულარული რეტუმის საშუალებით ჩამოყალიბებულია მაღალი ტიპის საფხეკი, მეორე (0,7 სმ სისქის) ბოლოში კი — ოვალურ სამუშაო პირიანი საფხეკი. იარაღის გვერდებზე დამუშავების ნიშნები არ შეინიშნება.

როგორც კოლექციიდან ჩანს. საფხეკები სხვადასხვაგვარია. ცხადია, მათ მუშაობის პროცესში სხვადასხვა ფუნქციებისათვის იყენებდნენ.

ის საფხეკეები, რომელთაც სამუშაო პირი რკალის მსგავსად აქვთ გამოყვანილი ტყავის დასამუშავებლად იყო ხმარებული. განსაკუთრებით ეს ითქმის ბრტყელსა და განიერ საფხეკებზე. საფხეკებით შეეძლოთ დაემუშავებინათ ტყავის არა მარტო შიდა პირი, არამედ გაესუფთავებინათ მისი ზედაპირიც. რაც შეეხება ტალღისებურ სამუშაო პირიან და განსაკუთრებით ამოღარულპირიან საფხეკებს, ცხადია, ისინი ძვლისა და ხის სადგისების დასამზადებლად იხმარებოდნენ.

იარაღებიდან საფხეკების შემდეგ მნიშვნელოვანი ადგილი საქრისებს უკავიათ (ცხრილი № 13). მათი საერთო რაოდენობა 82 ცალია, რაც ქვის მთელი მასალის 3,5%-ს შეადგენს, ხოლო მთელი იარაღების — 37,2%-ს (ცხრილი № 11).

საჭრისების უდიდესი ნაწილი (50 ც.) ნაკეთებია ანატყეც-ანამტყრევეებზე, ხოლო უმცირესი (32 ც.) — პრიზმული მოყვანილობის ლამელებზე.

იარაღთა უმრავლესობა მთელია (68 ც.), მხოლოდ 14 ცალია გატეხილი ან ბოლომოტეხილი.

ლამელებზე ჩამოყალიბებულ საჭრისებს კაჭრის კანი თითქმის მთლიანად გაცლილი აქვთ, მხოლოდ ანატყეც-ანამტყრევეებზე ჩამოყალიბებულებს აქვთ შერჩენილი ბუნებრივი ქერქის ფრაგმენტები. კოლექციაში გვხვდება როგორც მთლიანად რეტუმირებული (6 ც.), ასევე ნაწილობრივ რეტუმირებული (41 ც.) საჭრისებიც. საჭრისები თავიანთი ზომებისა და მოყვანილობის მიხედვით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მათი სიგრძე 2,8—7,7 სმ-ს შუა მერ-

სამერცხლე კვლევა

ჯგუფები	საქრისები	რაოდენობა		ობსიდანის	ანატემ-ახატკოვე-ზე ჩა.ოყალიბებული	ლაქლაზე ჩაითვა-ლიბებული	რეტუშირე-ბული		კაქის კანთი	ბუქებრივი ქერქის ვარეშე	% ული შეფარდება
		კაქის	ობსიდანის				ნაწილობრივი	მილიანად			
I	მარტივი საქრისი	2	2	—	1	1	—	—	2	—	2,3
	ა) სწორი	4	4	—	3	1	2	—	2	2	4,7
II	თავგადამტრეული გვერდწახნავა საქრისი	7	7	—	1	6	2	—	1	6	8,4
	ა) სწორი	3	3	—	1	2	3	—	2	1	3,5
	ბ) ირიბი	3	3	—	1	2	3	—	2	1	3,5
	გ) კუთხის	12	12	—	8	4	6	—	6	6	16,5
III	ცალწახნავა გარდი-გარდმოთავრეტუ-შიანი საქრისი	1	1	—	—	1	—	—	—	1	1,1
	ა) სწორი	1	1	—	—	1	—	—	1	—	1,1
IV	ცალწახნავა თავირიბ-რეტუშირებული საქრისი	2	2	—	1	1	1	1	1	1	2,3
	ა) ირიბი	3	3	—	1	2	2	1	1	2	3,5
V	შუალა საქრისი	18	18	—	11	7	8	1	7	11	21,4
	ბ) კუთხის	19	18	1	19	—	11	1	6	13	23,1
VI	პრაველწახნავა საქრისი	19	18	1	19	—	11	1	6	13	23,1
VII	ორშაგი საქრისი	10	10	—	4	6	6	1	3	7	12,1
ს უ ლ		82	81	1	50	32	41	6	32	50	100,0

ყეობს, სიგანე — 1,8—4,5 სმ-ს შორის თავსდება, ხოლო სისქე, საშუალოდ, 1,5 სმ-ია.

სამერცხლე კლდეში აღმოჩენილი საქრისები შეიძლება 7 მთავარ ჯგუფად დავეყოთ. ჯგუფებად მათი დაყოფის დროს ვხელმძღვანელობთ საჭრელი პირების მოყვანილობით.

1 ჯგუფი — მარტივი საქრისები (ტაბ. XXIII, სურ. 1, 2, 3), რომელთა მჭრელი პირი გვერდწახნავიანია (ერთთაყუტიანი). ამ ცალწახნავა მარტივი საქრისებიდან შეიძლება შემდეგი ტიპები გამოვეყოთ:

ა) სწორი საჭრისი (2. ც.). იარაღის მჭრელი გვერდწახნაგი თავიდან ბოლომდე მთლიანად სწორად მიჰყვება. ერთ-ერთი მათგანი ჩამოყალიბებულია მრავალფერა ლამელაზე. მის გვერდს პატარ-პატარა ჩანამტვრევები აქვს, რაც ლამელის დანად გამოყენებაზე უნდა მიუთითებდეს (ტაბ. XXIII, სურ. 1).

მეორე საჭრისი კი კაჟის უხეშ ანამტვრევზეა ჩამოყალიბებული, რომელსაც შერჩენილი აქვს კაჟრის კანის ფრაგმენტიც. ბ) ირიბი საჭრისი (4 ც., 4,7%). მათი მჭრელი გვერდწახნაგი თავიდან ბოლომდე არ მიჰყვება და ირიბად უხევს. ერთი საჭრისი ჩამოყალიბებულია სამფერდა გატეხილ ლამელაზე. ლამელისათვის უცდიათ მეორე სასაჭრისე წახნაგის აცლა და ამით ორმაგი საჭრისი უნდოდით გაეკეთებინათ, მაგრამ იარაღის სასურველი ფორმა ვერ მიუღიათ (ტაბ. XXIII, სურ. 3).

მეორე საჭრისი ჩამოყალიბებულია უხეშ ანატკეცზე, რომელსაც ზურგის მხრიდან შერჩენილი აქვს ბუნებრივი ქერქის ფრაგმენტი. ანატკეცს დარტყმის მოედანი წამტვრეული აქვს. ანატკეცი რეტუშირებულია და ეტყობა საფხეკად გამოყენების ნიშნები (ტაბ. XXIII, სურ. 2).

მესამე საჭრისი ჩამოყალიბებულია ნუკლეუსის თუ შალაშინის განივ ანატკეცზე. ანატკეცის ნაპირებს ეტყობა პატარ-პატარა ფირფიტების ატკეცვის კვალი. ანატკეცს შერჩენილი აქვს ბუნებრივი ქერქის ფრაგმენტები.

მეოთხე საჭრისი კი ჩამოყალიბებულია წაგრძელებული ფორმის ანამტვრევზე.

II ჯგუფი — თავგადამტვრეული გვერდწახნაგა საჭრისები (ტაბ. XXIII, სურ. 4—11; ტაბ. XXIV, სურ. 1—9), რომელთა მჭრელი თავი ერთწახნაგოვანია. ამ საჭრისებიდან შეიძლება შემდეგი ტიპები გამოვყოთ:

ა) სწორი საჭრისი (7 ც., 8,4%), (ტაბ. XXIII, სურ. 4, 5, 6; ტაბ. XXIV სურ. 1, 2, 3). საჭრისები ჩამოყალიბებულია კაჟის ორფერდა, სამფერდა და მრავალფერდა ლამელის ერთ-ერთ გვერდზე. 1 ცალი საჭრისი კი ჩამოყალიბებულია კაჟის თავწამტვრეულ ანატკეცზე. ანატკეცს ზურგის მხრიდან ემჩნევა წინამორბედი ფირფიტების ატკეცვის კვალი სწორი მოყვანილობის ნეგატივების სახით. ანატკეცს დარტყმის მოედანი წათლილი აქვს და ეს ადგილი ციცაბო რეტუშითაა დამუშავებული. გამოყოლილი აქვს ნუკლეუსის ფუძე. სასაჭრისე წახნაგი დარტყმის მოედნის საწინა-

აღმდეგო, მეორე მხრიდან, ნუკლეუსის გამოყოფილ ფუძიდან აქვს გაფორმებული (ტაბ. XXIII, სურ. 4).

ლამელებს თავები გადამტვრეული აქვს რამდენიმე დარტყმით. ერთ-ერთი ცალწახნაგა სწორი საჭრისისათვის თავი გადაუმტვრევიათ რამდენიმე მცირე ზომის სასაჭრისე წახნაგის აცლით, მაგრან საჭრელი პირი კარგად ვერ გაუფორმებიათ. ამავე იარაღს მარცხენა გვერდზე მეტად ფაქიზი რეტუში დაუყვება (ტაბ. XXIII, სურ. 5). აღსანიშნავია 1 ცალი სწორი საჭრისი, რომელიც დამზადებულია თავგადამტვრეულ ორფერდა ლამელაზე. ლამელას თავი, სხვა საჭრისებიდან განსხვავებით, ერთი დარტყმით გარდიგარდმოდ, სწორად აქვს გადამტვრეული. ზურგის მხრიდან კი ბუნებრივი ქერქის ფრაგმენტი აქვს შერჩენილი (ტაბ. XXIII, სურ. 6).

ბ) ი რ ი ბ ი ს აჭ რ ი ს ი (3 ც.), (ტაბ. XXIII, სურ. 7, 8). ამათგან 1 ცალი ჩამოყალიბებულია ორფერდა ლამელაზე, ლამელას თავი გარდიგარდმო აქვს გადამტვრეული. მის გვერდებს ემჩნევა რეტუშირებისა ან დანად გამოყენების ნიშნები (ტაბ. XXIII, სურ. 7).

მეორე საჭრისი ორფერდა ანატკეცზეა ჩამოყალიბებული. ანატკეცი მთლიანია, ზურგის მხრიდან მისი ერთი ფერდი მთლიანად დაფარულია ბუნებრივი ქერქით. მჭრელი პირი დარტყმის მოედნის მოპირდაპირე მხარეს აქვს გაფორმებული. მისი ერთი გვერდის მცირე მონაკვეთი მუცლის მხრიდან მკვეთრი რეტუშითაა დამუშავებული (ტაბ. XXIII, სურ. 8).

მესამე საჭრისი კი თხელ სამფერდა ლამელაზეა ჩამოყალიბებული. იარაღს სამუშაო პირი ლამელის დარტყმის მოედნის მხრიდან აქვს ჩამოყალიბებული. ლამელისათვის თავი გადაუმტვრევიათ რამდენიმე მცირე ზომის სასაჭრისე წახნაგის აცლით. მისი ერთ-ერთი სიგრძივი გვერდი სასაჭრისე წახნაგს უკავია, ხოლო მეორე გვერდი თავიდან ბოლომდე რეტუშირებულია მეტად ფაქიზი რეტუშით.

გ) კ უ თ ხ ი ს ს აჭ რ ი ს ი (12 ც., 16,5%), (ტაბ. XXIII სურ. 9—11; ტაბ. XXIV, სურ. 4—9). საჭრისებს მჭრელი გვერდწახნაგი თავიდან ბოლომდე სწორად არ მიუყვებათ და კუთხით თავდება. ამათგან 7 ცალი ჩამოყალიბებულია ანატკეც-ანამტვრევებზე, 4 ცალი — სამფერდა ლამელაზე, ხოლო ერთი ცალი — ნუკლეუსზე.

აღსანიშნავია ანატკეცზე ჩამოყალიბებული საჭრისი, რომელსაც ერთი სიგრძივი გვერდი ზურგის მხრიდან ფაქიზად აქვს რეტუშირებული. გამოარცხული არ არის, რომ ეს იარაღი დანის დანიშნულებასაც ასრულებდა (ტაბ. XXIII, სურ. 9).

ანატკეც-ანამტკრევეებზე ჩამოყალიბებული ყველა საქრისი მთელი იარაღის სახითაა წარმოდგენილი. ანატკეცებს თავები გადამტკრეული აქვს ირიბი ან სწორი დარტყმის გზით, გამონაკლისს წარმოადგენს ანამტკრევეზე დამზადებული საქრისი, რომელსაც თავი გარდიგარდმო აქვს გადამტკრეული (ტაბ. XXIII, სურ. 10).

უნდა მოვიხსენიოთ სამფერდა ანატკეცზე ჩამოყალიბებული კუთხის საქრისი, რომელსაც საქრელი პირი დარტყმის მოედნის მხრიდან აქვს გაფორმებული. მისი ბოლო ბუნებრივი ქერქითაა დაფარული (ტაბ. XXIII, სურ. 11).

აღსანიშნავია აგრეთვე 2 ცალი გარდიგარდმოთავგადამტკრეული კუთხის საქრისი, რომელსაც სასაპრისე წახნაგი დარტყმის მოედნის მხრიდან აქვს ჩამოყალიბებული (ტაბ. XXIV, სურ. 8, 9).

იარაღების გვერდებს ემჩნევა რეტუშირებისა და გამოყენების ნიშნები (ტაბ. XXIV, სურ. 4, 5, 6).

ერთ-ერთი საქრისი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დამზადებულია ნუკლეუსზე, რომლის სიგრძე 6,5 სმ-ია, ხოლო სიგანე—2,9 სმ. ნუკლეუსს ინტენსიური გამოყენების შედეგად სოლისებური მოყვანილობა აქვს. შემორჩენილი ნიშნების მიხედვით ნუკლეუსი უნდა ყოფილიყო ერთხიბრტყიანი, პრიზმული. მას ფუძე ზურგსაკენ დაქანებული და შესწორებული აქვს. ნუკლეუსის დაღვივის შემდეგ, მის ქვედა, ვიწრო ბოლოზე, ჩამოყალიბებულია მარტივი ცალწახნაგა საქრისი, რომელიც კუთხით თავდება. ნუკლეუსს არასამუშაო მხარეს მთლიანად ფარავს კაპრის ბუნებრივი ქერქი (ტაბ. XXI, სურ. 6).

III ჯგუფი — ცალწახნაგა, გარდიგარდმოთავრეტუშიანი საქრისები (ტაბ. XXIII, სურ. 12, 13). აღნიშნული ჯგუფიდან შემდეგი ტიპის საქრისები გამოიყოფა:

ა) სწორი საქრისი (1 ც.), ჩამოყალიბებულია სამფერდა ლამელის ნატეხზე, მას თავი ამოღარული და მკვეთრი რეტუშით დამუშავებული აქვს. ლამელის ცალი გვერდი კი ფხიანია (ტაბ. XXIII, სურ. 12).

ბ) კუთხის საქრისი (1 ც.), ჩამოყალიბებულია უხეში ლამელის ბოლოზე, რომელსაც მეტად მცირე დარტყმის მოედანი და კარგად განვითარებული, წინ წამოზრდილი ბურცობი აქვს. ლამელის მარცხენა სიგრძივი გვერდი მუცლის მხრიდანაა რეტუშირებული. მეორე სიგრძივი გვერდის 1/4 ასევე მუცლის მხრიდანაა რეტუშირებული მკვეთრი რეტუშით, ხოლო გვერდის 3/4 კი სასა-

კრისე წახნავს უკავია. ზურგის მხრიდან ლამელას შერჩენილი აქვს კაჭრის კანის ფრაგმენტიც (ტაბ. XXIII, სურ. 13).

IV ჯგუფი — ცალ წახნავა თავიერი ბრეტუმი რე ბუ-
ლი ს ა კ რ ი ს ე ბ ი (ტაბ. XXIII, სურ. 14—18). ამგვარი საჭრისე-
ზიდან შეიძლება შემდეგი ტიპები გამოვყოთ:

ა) **ე რ ი ბ ი ს ა კ რ ი ს ი** (2 ც.), (ტაბ. XXIII, სურ. 14, 15).
იარაღები ჩამოყალიბებულია მრავალფერადა ლამელაზე (1 ც.) და
სამფერადა ანატკეცზე (1 ც.). ლამელის ბოლო ზურგის მხრიდან
არებადაა რეტუშირებული და სასაჭრისე პირია ჩამოყალიბებუ-
ლი. მარჯვენა გვერდის მცირე ნაწილზე მკრთალადაა რეტუშირებუ-
ლი. ლამელის მარცხენა კიდე ზურგის მხრიდან მთლიანადაა დამუ-
შავებული ფაქიზი რეტუშის საშუალებით (ტაბ. XXIII, სურ. 14).
ანატკეცს დარტყმის მოედანი გადამტვრეული აქვს და ამ
მხრიდან სასაჭრისე წახნავია გაფორმებული. მისი გვერდები საკ-
მაოდ ფხიანია. მცირე ადგილას აქვს რეტუში. ანატკეცს ბოლოში
კაჭრის კანი შერჩენია (ტაბ. XXIII, სურ. 15).

ბ) **კ უ თ ხ ი ს ს ა კ რ ი ს ი** (3 ც.), (ტაბ. XXIII, სურ. 16—18).
ამათგან 1 ცალი ანატკეცზეა ჩამოყალიბებული. ანატკეცის გვერ-
დებს ემჩნევა რეტუშირების კვალი (ტაბ. XXIII, სურ. 16). და-
ნარჩენი ორი ცალი საჭრისი კი თხელ, ორფერადა და სამფერადა
ლამელაზეა დამზადებული, რომელთაგან ერთ-ერთს ცალი გვერ-
დი ზურგის მხრიდან, ხოლო მეორე გვერდი მუცლის მხრიდან აქვს
რეტუშირებული ფაქიზი რეტუშის საშუალებით. ლამელის დარტ-
ყმის მოედანი წათლილია და ჩამოყალიბებული აქვს სასაჭრისე
პირი. მის მოპირდაპირე მხარეს, ზურგის მხრიდან, მცირე ადგი-
ლას შერჩენილი აქვს კაჭრის კანი (ტაბ. XXIII, სურ. 18). მეორე
საჭრისი ჩამოყალიბებულია ლამელის ბოლოზე. ლამელის მარცხე-
ნა გვერდს ემჩნევა გამოყენების ნიშნები (ტაბ. XXIII, სურ. 17).

V ჯგუფი — **შ უ ა ლ ა ს ა კ რ ი ს ე ბ ი** (18 ც; 21,4%), (ტაბ.
XXV, სურ. 1—5, ტაბ. XXVI, სურ. 1—5). ამათგან 11 ცალი ანა-
ტკეც-ანამტვრევებზეა დამზადებული, 7 ცალი კი ჩამოყალიბებუ-
ლია ორფერადა და სამფერადა ლამელაზე.

შუალა საჭრისებიდან გამოირჩევა ორწახნავა შუალა სა-
ჭრისები, რომელთაც სასაჭრისე წახნაგები თითქმის სიმეტრიულად
აქვს ჩამოკლილი (9 ც.), (ტაბ. XXV, სურ. 1, 2; ტაბ. XXVI, სურ.
1—5). აღსანიშნავია თხელ მრავალფერადა ლამელაზე დამზადებუ-
ლი ორწახნავა შუალა საჭრისი. ლამელას მარჯვენა გვერდზე მცო-

რე ადგილას მეტად ფაქიზი რეტუში დაუყვება. მას დარტყმის მოედანნი წამტკრეული აქვს და სამუშაო პირია გაფორმებული. მის მოპირდაპირე მხარეს კი, მუცლის მხრიდან, უცდიათ მეტად მცირე ზომის ქერკლისებური ანატკეცების აცლა (ტაბ. XX7, სურ. 2).

შუალა საჭრისებიდან გვხვდება ისეთებიც, რომელთაც ერთი გვერდი ორწახნაგა, ხოლო მეორე გვერდი ერთწახნაგა აქვთ (5 ც.). ამათგან აღსანიშნავია ორფერდა ლამელის ბოლოზე დამზადებული შუალა საჭრისი. სასაჭრისე წახნაგები ლამელის გვერდებს თითქმის თავიდან ბოლომდე მიუყვება. დარჩენილი მცირე ადგილები ზურგის მხრიდან გულდაგულაა რეტუშირებული. რეტუშირებისა და შესწორების ნიშნები დარტყმის მოედანსაც ემჩნევა. ლამელის მარცხენა გვერდი დარტყმის მოედანთან ამოღარულია მკვეთრი რეტუშით. შესაძლოა, იარაღის ამ ნაწილით ძელის დამუშავება ხდებოდა (ტაბ. XXV, სურ. 3).

გვხვდება ისეთი შუალა საჭრისები, რომელთა გვერდწახნაგები კუთხით მთავრდება (4 ც.).

აღსანიშნავია ორფერდა თხელ ლამელაზე დამზადებული შუალა საჭრისი. ლამელის თავი და ბოლო მოტეხილია. მას ცალ გვერდზე ერთი მკრელი წახნაგი აქვს ჩამოცილილი, მეორეზე კი — ორი, რომელთაგან ერთი მცირე კუთხით თავდება. ლამელის გვერდებს ეტყობა რეტუშირებისა და ხმარების ნიშნები (ტაბ. XXV, სურ. 4).

აღსანიშნავია აგრეთვე ნაცრისფერი კაჟის ანატკეცზე ჩამოყალიბებული შუალა საჭრისი, ანატკეცს მარცხენა მკრელი გვერდო ორწახნაგა, ხოლო მეორე — ერთწახნაგა აქვს, რომელიც კუთხით თავდება.

ანატკეცის ეს გვერდი, როგორც ჩანს, თავიდან სახოკის დანიშნულებით იხმარებოდა, ხოლო უფრო გვიან კი, მკრელი წახნაგის ჩამოცილებით, იგი საჭრისად გადაუკეთებიათ. ამაზე მიუთითებს ანატკეცის რეტუშირებული მარჯვენა გვერდი და მისი სახოკად გამოყენების ნიშნები (ტაბ. XXV, სურ. 5).

VI ჯგუფი — მ რ ა ვ ა ლ წ ა ხ ნ ა გ ა საჭრისები (19 ც., მთელი საჭრისების 23,1%), (ტაბ. XXV, სურ. 6, 7, 8, ტაბ. XXVI, სურ. 6—13). საჭრისები დამზადებულია მასიურ ანატკეც-ანამტკრევეებზე. იარაღების მკრელი პირის გასაფორმებლად სამი ან სამზე მეტი სასაჭრისე წახნაგია ატკეცილი.

აღსანიშნავია მასიურ ანატკეცზე დამზადებული მრავალწახნა-
გა საჭრისი, რომელსაც მჭრელი პირი დარტყმის მოედნის მხრი-
დან, ანატკეცის შესქელებულ ნაწილში აქვს გაფორმებული, ცალ
მხარეს — 7, ხოლო მეორე მხარეს — 1 სასაჭრისე წახნაგის აცლით
(ტაბ. XXV, სურ. 6).

ამ ჯგუფის საჭრისებიდან გვხვდება ობსიდიანის ანატკეცზე
ჩამოყალიბებული 1 ცალი მრავალწახნაგა საჭრისი. ანატკეცს
ბოლო მოტეხილი აქვს. მასაც საჭრელი პირი დარტყმის მოედნის
მხარეს აქვს გაფორმებული. სიგრძივ გვერდებს ემჩნევა დამუშა-
ვებისა თუ გამოყენების ნიშნები (ტაბ. XXVI, სურ. 13).

მრავალწახნაგა საჭრისებიდან გამოიყოფა ნუკლეუსისმაგვარი
საჭრისები (3 ც.), (ტაბ. XXV, სურ. 7) და მოხრილსამუშაოპირიანი
მრავალწახნაგა საჭრისები (2 ც.), (ტაბ. XXV, სურ. 8).

VII ჯგუფი — ო რ მ ა გ ი ს აჭ რ ი ს ე ბ ი (10 ც., 12,1%), (ტაბ.
XXIV, სურ. 10, ტაბ. XXV, სურ. 9—17). აღნიშნული საჭრისები
ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სამუშაო პირების გაფორმებით, ამი-
ტომ ჩვენ მათ ცალ-ცალკე გამოვყოფთ:

ა) გ ა რ დ ი გ ა რ დ მ ო თ ა ვ გ ა დ ა მ ტ ვ რ ე უ ლ ი გ ვ ე რ დ-
წ ა ხ ნ ა გ ა კ უ თ ხ ი ს ს აჭ რ ი ს ი (2 ც.). საჭრისები ჩამოყალიბე-
ბულია ორფერდა და მრავალფერდა ლამელებზე. ერთ-ერთ ლამე-
ლას ორივე გვერდი დამუშავებული აქვს მუცლისა და ზურგის
მხრიდან ფაქიზი რეტუშის საშუალებით (ტაბ. XXV, სურ. 9).

მეორე საჭრისის ბოლო მოტეხილი აქვს. მის ერთ გვერდს მე-
ტად მკრთალი რეტუში დაუყვება, ხოლო მეორე გვერდი დამუ-
შავებულია (ტაბ. XXIV, სურ. 10).

ბ) ც ა ლ წ ა ხ ნ ა გ ა გ ა რ დ ი გ ა რ დ მ ო თ ა ვ რ ე ტ უ შ ი-
რ ე ბ უ ლ ი კ უ თ ხ ი ს და თ ა ვ ა მ ო ღ ა რ უ ლ ი ი რ ი ბ ი ო რ-
მ ა გ ი ს აჭ რ ი ს ი (1 ც.). იარაღი ჩამოყალიბებულია სამფერდა
ლამელის ორივე ბოლოზე. ლამელის თავი წამტვრეულია და გაკე-
თებულია კუთხის საჭრისი. ლამელის გვერდებს მეტად ფაქიზი რე-
ტუში დაუყვებათ, ხოლო მის ბოლოში, როგორც მარცხენა, ისე
მარჯვენა გვერდზე, ირიბი საჭრისია ჩამოყალიბებული. ფაქტი-
ურად იარაღი წარმოადგენს სამპირა საჭრისს (ტაბ. XXV, სურ. 10).

გ) თ ა ვ გ ა დ ა მ ტ ვ რ ე უ ლ ი კ უ თ ხ ი ს და მ რ ა ვ ა ლ-
წ ა ხ ნ ა გ ა შ უ ა ლ ა ს აჭ რ ი ს ი (1 ც.). იარაღი ჩამოყალიბებუ-
ლია კაეის ანატკეცის ორივე ბოლოზე, ანატკეცს ცალ გვერდზე
მცირე ადგილას მკვეთრი რეტუში დაუყვება (ტაბ. XXV, სურ. 11).

დ) მარტივი ცალწახნაგა ირიბი და თავგადამტვრეული კუთხის საჭრისი (1 ც.). იარაღი ჩამოყალიბებულია თხელ ანატკეცზე, რომელსაც ზურგის მხრიდან ბუნებრივი ქერქის ფრაგმენტი აქვს შერჩენილი (ტაბ. XXV, სურ. 12)

ე) მარტივი ირიბი და თავგადამტვრეული ირიბი საჭრისი (1 ც.). იარაღი ჩამოყალიბებულია სამფერდა ლამელის ორთავე ბოლოზე, ლამელას დარტყმის მოედანი გადამტვრეული აქვს და ამ მხრიდან ჩამოყალიბებულია თავგადამტვრეული ირიბი საჭრისი, ხოლო მის მეორე ბოლოში კი მარტივი ირიბი საჭრისია გაფორმებული. ლამელის ერთ-ერთი გვერდის 1/3 სასაჭრისე წახნაგს უკავია, 2/3 კი, ზურგის მხრიდან, ფაქიზი რეტუშითაა დამუშავებული. მისი მეორე გვერდი გამოყენების შედეგად დაკბილულია (ტაბ. XXV, სურ. 13).

ვ) გარდიგარდმოთავგადამტვრეული ირიბი და გარდიგარდმოთავგადამტვრეული კუთხის საჭრისი (1 ც.), ჩამოყალიბებულია მრავალფერდა უხეშ ლამელაზე. როგორც ირიბი, ასევე კუთხის სასაჭრისე პირი ჩამოყალიბებულია ლამელის ბოლოზე.

იარაღის გვერდებს დამუშავების ნიშნები არ გააჩნია (ტაბ. XXV, სურ. 14).

ზ) თავგადამტვრეული კუთხის და თავგადამტვრეული ირიბი საჭრისი (1 ც.); ჩამოყალიბებულია მრავალფერდა ლამელის ორთავე ბოლოზე. კუთხის საჭრისი ლამელას დარტყმის მოედნის მხრიდან აქვს გაფორმებული და მთელი გვერდის 2/3 ნაწილი უკავია. ირიბი სასაჭრისე პირი კი მის მოპირდაპირე მხრიდან აქვს ჩამოყალიბებული (ტაბ. XXV, სურ. 15).

თ) მრავალწახნაგა კუთხის და მრავალწახნაგა შუალა საჭრისი (1 ც.), ჩამოყალიბებულია ანატკეცის ორივე ბოლოზე. ანატკეცს დარტყმის მოედანი წათლილი აქვს ირიბი დარტყმის გზით, რამდენიმე თხელი ანატკეცის ატკეცვით. კუთხის სასაჭრისე წახნაგი დარტყმის მოედნის მხრიდანაა გაფორმებული, მრავალწახნაგა შუალა საჭრისი კი ანატკეცის მეორე ბოლოშია ჩამოყალიბებული. ანატკეცის ცალ გვერდს მცირე ადგილას რეტუში აქვს გაკეთებული (ტაბ. XXV, სურ. 16).

ი) თავირბრეტუშირებული მარტივი და მრავალწახნაგა საჭრისი (1 ც.), ჩამოყალიბებულია უფორმო

ანამტვრევის ორივე ბოლოზე. ანამტვრევის ცალ გვერდს ემჩნევა დამუშავების ნიშნები (ტაბ. XXV, სურ. 17).

ამრიგად, საჭრისებს შორის წამყვან ფორმას მრავალწახნაგა და შუალა საჭრისები წარმოადგენენ. საჭრისების მრავალფეროვნება მიუთითებს ძვლის დამუშავების ტექნიკის სრულყოფილ განვითარებაზე, რასაც მოწმობს მღვიმეში კარგად დამუშავებული ძვლის იარაღების აღმოჩენის ფაქტი.

სხვა იარაღებიდან აღსანიშნავია:

ს ა თ ლ ე ლ ის ე ბ უ რ ი ი ა რ ა ლ ე ბ ი (16 ც.), (ტაბ. XX, სურ. 8, 11—13), (იარაღების საერთო რაოდენობის 7.3%), ჩამოყალიბებულია ორფერდა, სამფერდა და მრავალფერდა ლამელებზე (14 ც.), რომელთა სიგრძე 3,5—7 სმ-ია, სიგანე — 1,3—2,7 სმ, ხოლო სისქე საშუალოდ 0,5 სმ-ია. ნუკლეუსის კილის ანატკეცზე (1 ც.). მისი სიგრძე 6,5 სმ-ია, სიგანე — 1,6 სმ, ხოლო სისქე 0,8 სმ-ს უდრის და მცირე ზომის ანატკეცზე (1 ც.).

სათლელისებური იარაღები (pièce à caillè) თხელი, მკრელი იარაღებია, რომლებიც მიიღებიან კაჟის ქვედა ზედაპირიდან მეტად თხელი და ქერცლისებური ანატკეცების ატკეცვის გზით.

სამერცხლე კლდის მღვიმის სათლელისებური იარაღები თითქმის ყველა ცალმხრივია, ე. ი. ლამელის მხოლოდ ერთ ბოლოზეა ჩამოყალიბებული. მხოლოდ 3 ცალია ორმხრივი. ლამელებს ორთავე ბოლოში მუცლის მხრიდან ერთმანეთის საწინააღმდეგოდ აცლილი აქვს ანატკეცები და ორმაგი სათლელისებური იარაღია შექმნილი.

აღსანიშნავია მცირე ზომის თხელ ანატკეცზე ჩამოყალიბებული სათლელისებური იარაღი. ანატკეცს ბოლოზე მუცლის მხრიდან აცლილი აქვს თხელი ფირფიტა, ისე რომ იგი ჰკვეთს შესაბამის ბურცულს და ქმნის სამუშაო პირს. ზურგის მხარეს კი, ისევე დარტყმის მოედნის საწინააღმდეგო ბოლოში, გათლითი ტექნაჟის საშუალებით, თითქოს ოვალურსამუშაოპირიანი საფხეკია ჩამოყალიბებული. იარაღის გვერდებზე რეტუშის და ხმარების ნიშნებიც შეიმჩნევა (ტაბ. XX, სურ. 12).

უნდა აღვნიშნოთ ორმხრივი სათლელისებური იარაღი ჩამოყალიბებული თავ-ბოლოწამტვრეულ სამფერდა ლამელაზე. ლამელის ორივე ბოლოდან მუცლის მხარეზე აცლილია მცირე ზომის ანატკეცები. ერთ ბოლოში მხოლოდ ერთი ფირფიტაა ათლილი, მეორე ბოლოში კი — რამდენიმე, ისე რომ ლამელის მუცლის მხა-

რე თითქმის მთლიანად გათლილია. იარაღის გვერდები ზურგის მხრიდან დამუშავებულია მკვეთრი რეტუშის საშუალებით (XX, სურ. 11).

შ ა ლ ა შ ი ნ ე ბ ი (6 ც.), (ტაბ. XXII, სურ. 6—11; ტაბ. XXVII, სურ. 1—3, 7,3%). იარაღების დასამზადებლად გამოყენებულია პრიზმული მოყვანილობის ერთფუძიანი და ორფუძიანი ნუკლეუსები და მათი განივი ანატკეცი, რომელთა გადაკეთების გზით მიღებულია შალაშინები. იარაღს აქვს ოვალური სამუშაო პირი, ბრტყელი ძირი და ამალღებული ზურგი. ნაპირები დამატებითაა შესწორებული. მათი სიგრძე 3,2—5,3 სმ-ია, სიგანე — 2—2,3 სმ, ხოლო სისქე — 2—3 სმ. იარაღების სამუშაო პირი ნაკეთებია პაწია ფირფიტების ატკეცვის გზით და რეტუშის საშუალებით.

ამავე ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ დაუმთავრებელი შალაშინის მსგავსი 2 ცალი კაეის ანატკერევი, და 1 ცალი კაეის ნამზადი შალაშინისათვის, რომელთა სიგრძე 6,9 სმ-ია, სიგანე — 3,2 სმ, ხოლო სისქე — 3,1 სმ.

ს ა ხ ვ რ ე ტ ი ს ე ბ უ რ ი ი ა რ ა ლ ე ბ ი (5 ც.), (ტაბ. XXI, სურ. 1—3, 2,3%). ჩამოყალიბებულია სამკუთხა მოყვანილობის წვერწამახვილებულ ვიწრო, მოგრძო დანისებურ ლამელებზე, რომელთა სიგრძე 4,3—7,8 სმ-ია, ხოლო სიგანე — 1—2,5 სმ. იარაღებს სამუშაო პირი ლამელების დარტყმის მოედნის მოპირდაპირე მხარეს აქვთ გაკეთებული. გამონაკლისს წარმოადგენს ერთი ცალი ამგვარი იარაღი, რომელსაც წვერი დარტყმის მოედნის მხარეს აქვს წამახვილებული (ტაბ. XXI, სურ. 3). იარაღებს დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს წინამავალი ლამელების ჩამოცილების შედეგად წვერთან ახლოს მაღალი ქედისებური წახნაგის არსებობა, რომლის სიმაღლის შემცირება უცდიათ ქედიდან ლამელის კიდისაკენ მიმართული მცირე ზომის ანატკეცების ჩამოცილების გზით. იარაღებს ემჩნევათ მეორადი დამუშავების გარეშე გამოყენების ნიშნები მცირე ჩანამტვრევების სახით.

ს ა ხ ვ რ ე ტ ი (1 ც.), (ტაბ. XX, სურ. 10) ჩამოყალიბებულია ორფერდა, ნაწილობრივ ზურგდაბლაგვებული ლამელის ორთავე ბოლოზე. მისი სიგრძე 5,5 სმ-ია, სიგანე — 0,7 სმ, ხოლო სისქე — 0,4 სმ. სახვერეტის ერთ-ერთი სამუშაო წვერი ვიწროა და წაგრძელებული. ნაკეთებია საკმაოდ მკვეთრი რეტუშის საშუალებით ზურგის, ხოლო შედარებით უფრო მკრთალი რეტუშით — მუცლის მხრიდან, ისე რომ, სახვერეტის სამუშაო წვერი ბურღს მოგვა-

გონებს. სახვრეტის მეორე სამუშაო წვერი შედარებით უფრო ფართოა და დამუშავებულია ზურგის მხრიდან საკმაოდ მკვეთრი რეტუშით.

თ ა ვ ზ უ რ გ ო ა ბ ლ ა გ ვ ე ბ უ ლ ი ლ ა მ ე ლ ა (დანა 1 ც.), (ტაბ. XX, სურ. 9). იარაღი ჩამოყალიბებულია 5,1 სმ სიგრძის ორფერდა ლამელაზე, მისი სიგანე 0,8 სმ-ია, ხოლო სისქე — 0,4 სმ. აღნიშნული ლამელის მარცხენა გვერდი და თავი დაბლაგვებულია მკვეთრი რეტუშით. ლამელის მეორე სიგრძივი გვერდი კი საკმაოდ ბასრია, მხოლოდ გვერდის 1/4 ნაწილია დამაბლაგვებელი რეტუშით დამუშავებული. ბასრ ნაპირზე შეიმჩნევა პატარ-პატარა ჩანამტვრევები. დანას მცირე ნაწილი მომტვრეული აქვს⁴.

რ ე ტ უ შ ო რ ი (1 ც.), (ტაბ. XXI, სურ 4), გაფორმებულია კაჟის ოთხკუთხა ან მომრგვალოგანიკვეთიან ანამტვრევზე, რომლის სიგრძე 4,9 სმ-ია, ხოლო სიგანე — 1,5 სმ. მისი ერთი ბოლო ვიწროა და ბლაგვი წვერით მთავრდება. წვერზე ეტყობა გამოყენების კვალი. ანამტვრევს კიდეები ციცაბო რეტუშით აქვს დაბლაგვებული, სიგანე ისეა დავიწროებული, რომ სისქეს უახლოვდება

ს ა ჩ ე ხ ი ს ე ბ უ რ ი ი ა რ ა ღ ი (2 ც.), (ტაბ. X, სურ. 7), (0,9%). ერთ-ერთი იარაღი ჩამოყალიბებულია მოგრძო სამკუთხაგანიკვეთიან დაბალი ხარისხის კაჟის კაპარზე, რომელსაც მოხრილი მოყვანილობა აქვს. მისი სიგრძე 14,5 სმ-ია, სიგანე — 4,2 სმ, ხოლო სისქე — 4,9 სმ. გამორიცხული არ არის, რომ იარაღი პირველად ნუკლეუსად იყო გამოყენებული, ამის ნიშნები აშკარადაა შესამჩნევია, მაგრამ კაჟის უხარისხობის გამო მიუტოვებიათ. კაპრის ერთი ბოლო შესქელებულია და ხელში მოხერხებულად ჯდება. გააჩნია წამახვული წვერი, რომელიც ქვედა სიბრტყიდან რამდენადმე შესწორებულია პაწია ფირფიტების ატკეცვის გზით. გამორიცხული არ არის, რომ კაპარი იხმარებოდა როგორც საჩიჩქნ, ასევე საჩეხისებურ იარაღადაც. შერჩენილი აქვს ბუნებრივი ქერქის ფრაგმენტიც. მეორე იარაღის მასალად გამოყენებულია სქელი ატინიანი კაჟის კაპარი, მისი სიგრძე 8,6 სმ-ია, სიგანე — 6 სმ, ხოლო სისქე — 3,6 სმ. კაპარს ვიწრო ბოლოზე ორივე სიბრტყიდან სამო მომცრო ანატეცი აქვს ჩამოცილებული.

⁴ იარაღი მოპოვებულია 1962 წ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღვ. დ. თუშაბრაძევილი). მსგავსი იარაღი არც 1963, 1964 და არც 1966 წწ-ში არ იყო აღმოჩენილი.

სახოკი (3 ც.), (ტაბ. XXVII, სურ. 10—12). ამათგან ერთ-ერთი ჩამოყალიბებულია დისკოიდალურ უხეშ მასიურ ანატკეცზე, რომლის დიამეტრი 5 სმ-ია, ხოლო სისქე — 2,3 სმ. სახოკის პირი სანახევროდ გათლითი ტექნიკითაა ჩამოყალიბებული, მეორე ნახევარს კი ბუნებრივი ქერქი ფარავს.

ასეთივე ქერქის მცირე ფრაგმენტი სამუშაო პირის შუა ნაწილზედაც შეინიშნება. სახოკის ზედა სიბრტყე მკვეთრად ამოზურგულია და გასდევს რადიალურად მიმართული წახნაგები. ატკეცის ბურცობს უკავია ანატკეცის მუცლის ნახევარზე მეტი. ორ ადგილას ქვედა სიბრტყიდან ემჩნევა მცირე ზომის ანატკეცების ატკეცის კვალიც (ტაბ. XXVII, სურ. 12).

მეორე სახოკი ჩამოყალიბებულია მასიურ ანატკეცზე ან შუაზე გაობილ ნუკლეუსზე. მისი სიგრძე 5,4 სმ-ია. სიგანე — 5,6 სმ, ხოლო სისქე — 2,9 სმ. ანატკეცის დარტყმის მოედანი დიდია, უხეშადაა ფაქტურებული და ქვედა სიბრტყისკენაა დახრცული. გამოყოფილი აქვს ნუკლეუსის ფუძე. ანატკეცის მარჯვენა სიგრძივი გვერდი ციცაბო რეტუსითაა დამუშავებული. დარტყმის სიბრტყის მოპირდაპირე განივ გვერდზე სასაჰრისე წახნაგები აქვს ჩამოცილებული (ტაბ. XXVII, სურ. 11).

მესამე სახოკი კი მიღებულია პრიზმული მოყვანილობის ერთფუძიან ნუკლეუსიდან, მისი გადაკეთების გზით, რომლის სიგრძე 5 სმ-ია, სიგანე — 2 სმ, ხოლო სისქე — 1,5 სმ. ერთ-ერთი მოხრილი სიგრძივი გვერდი ციცაბო რეტუსით არის გაფორმებული და სახოკის დანიშნულებით იხმარებოდა (ტაბ. XXVII, სურ. 10).

კომპონირებული იარაღები (7 ც.), (3,2%), (ტაბ. XXII, სურ. 1, 2, ტაბ. XXVII, სურ. 4—8). ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან დანიშნულებისა და ფორმის მიხედვით, ამიტომ ჩვენ მათ განვიხილავთ ცალ-ცალკე.

ა) საფხეკ-საჭრისი, ჩამოყალიბებულია კაყის ორფერდა ანატკეცის ორივე ბოლოზე, რომლის სიგრძე 5,2 სმ, სიგანე — 3 სმ, ხოლო სისქე 1,2 სმ-ია. ანატკეცის ერთ ბოლოზე გაფორმებულია ოვალურსამუშაოპირიანი საფხეკი. საფხეკის სამუშაო პირის სისქე 1,1 სმ-ს უდრის. მეორე ბოლოზე კი მარტივი, ერთწახნაგა ირიბი საჭრისია ჩამოყალიბებული. ანატკეცს ცალი გვერდი ზურგის მხრიდან ალაგ-ალაგ დამუშავებული აქვს ფაქიზი რეტუსით (ტაბ. XXVII, სურ. 4).

ბ) საფხეკ-საჭრისი, დამზადებულია სამფერდა ლამელის

ორივე ბოლოზე. მისი სიგრძე 4,4 სმ-ია, სიგანე — 2,7 სმ, ხოლო სისქე 0,8 სმ-ს უდრის.

ეს იარაღიც ოვალურსამუშაოპირიან საფხეკს და ერთწახნა-
გა ირიბ საქრისს წარმოადგენს. ზურგის მხრიდან მარცხენა სიგრ-
ძივი გვერდის ნახევარი რეტუშითაა დამუშავებული, მეორე ნახე-
ვარი კი დაფარულია კაქრის კანით (ტაბ. XII, სურ. 2).

ვ) ს ა ფ ხ ე კ - შ ა ლ ა შ ი ნ ი, დამზადებულია კაქის მრავალ-
ფერდა ლამელებზე, რომლის სიგრძე 7,2 სმ-ია, ლამელის თხელ 0,5
სმ სისქის ბოლოზე ჩამოყალიბებულია ოვალურსამუშაოპირიანი
საფხეკი. ლამელის მეორე, შესქელებული ბოლო (სისქე — 2 სმ)
კი სწორი, პარალელური, ვიწრო მიკროფირფიტების ატკეცვით
შალაშინს წარმოადგენს. იარაღის ორივე გვერდის გასწვრივ პა-
ტარ-პატარა ანამტვრევები მოწმობენ მის დანად გამოყენებასაც
(ტაბ. XXII, სურ. 1).

დ) ს ა ხ ო კ - ს ა თ ლ ე ლ ი. იარაღი ჩამოყალიბებულია კაქის
ფართო, მოგრძო სწორკუთხა, ორფერდა ანატკეცზე. მისი სიგრძე
6,5 სმ-ია, სიგანე — 4 სმ, ხოლო სისქე — 1,5 სმ. ანატკეცის ორივე
სიგრძივი კიდე ციცაბო რეტუშით არის გაფორმებული, რომელთა-
გან ერთ-ერთი დაკბილულია. განივ გვერდებზე, როგორც თავში.
ისე ბოლოში, მუცლის მხრიდან სიგრძივი ღერძის პარალელური
ანატკეცები არის აკლილი და ორმაგი სათლელისებური იარაღი
შექმნილი (ტაბ. XXVII, სურ. 5).

ე) ს ა ქ რ ი ს - ს ა ხ ვ რ ე ტ ი, ჩამოყალიბებულია სამფერდა ლა-
მელის ორივე ბოლოზე. მისი სიგრძე 4,8 სმ-ია, სიგანე — 1,7 სმ,
ხოლო სისქე — 0,5 სმ. ლამელის ერთ ბოლოზე თავირიბრეტუში-
რებული ცალწახნაგა ირიბი საქრისია გაფორმებული, მეორეზე კი —
სახვრეტი. ლამელას დარტყმის მოედანი წამტვრეული აქვს. მისა
გვერდები დარტყმის მოედანთან ერთიანდებიან და საწინააღმდე-
გო სიბრტყეზე მდებარე რეტუშის საშუალებით ქმნიან სამუშაო
წვერს. გვერდები ზურგის მხრიდან მკვეთრი რეტუშის საშუალე-
ბით არის რეტუშირებული, რის გამოც ერთ-ერთი გვერდი დაკბი-
ლულია (ტაბ. XXVII, სურ. 7).

ვ) ს ა ქ რ ი ზ - ს ა ფ ხ ე კ ი, გაფორმებულია თავწამტვრეულ
სამფერდა ლამელაზე, რომლის სიგრძე 4,3 სმ-ია, სიგანე — 2,1 სმ,
ხოლო სისქე — 0,5 სმ. ლამელის ბოლოზე თავირიბრეტუშირებუ-
ლი ცალწახნაგა ირიბი საქრისია ჩამოყალიბებული, დარტყმის მო-
ედნის მხარეზე კი — ვიწრო ოვალურსამუშაოპირიანი საფხეკი.

იარაღის გვერდებს ემჩნევათ დანად გამოყენების ნიშნებიც, პატარ-პატარა ჩამტვრეული ნაპირების სახით. მცირე ადგილას შერჩენილი აქვს კაქრის კანის ფრაგმენტი (ტაბ. XXVII, სურ. 8)

ბ) ს ა ჯ რ ი ს-ს ა ფ ხ ე კ ი, ჩამოყალიბებულია 4,5 სმ სიგრძისა და 1,7 სმ სიგანის კაეის მრავალფერადა ლამელის ორივე ბოლოზე, რომლის სისქე 0,5 სმ-ია. იარაღი წარმოადგენს ერთი მხრივ თავამოდარულ ცალწახნაგა ირიბ საჭრისს, მეორე მხრივ — ოვალურსამუშაოპირიან საფხეკს (ტაბ. XXVII, სურ. 6).

გ ა უ რ კ ე ე ვ ე ლ ი დ ა ნ ი შ ნ უ ლ ე ბ ი ს ი ა რ ა ლ ი (1 ც.), (ტაბ. XXVII, სურ. 9). ჩამოყალიბებულია 5 სმ სიგრძის კაეის სამფერადა ლამელის ორივე ბოლოზე. ლამელას სამკუთხა მოყვანილობა აქვს. მის ფართო, შესქელებულ ნაწილში (სიგანე — 3,3 სმ, სისქე — 1,2 სმ) გათლითი ტექნიკის საშუალებით თითქოს ოვალურსამუშაოპირიანი საფხეკია ჩამოყალიბებული. ლამელის გვერდები დამუშავებულია თანმიმდევრული რეტუშის საშუალებით, რომლებიც წვერთან ერთიანდებიან და ამდენად წვეტანის შთაბეჭდილება იქმნება. წვერი მომტვრეული აქვს. ლამელის სიგანე ამ ნაწილში 1,5 სმ-ია, ხოლო სისქე 0,5 სმ-ს უდრის. ლამელისათვის მუცლის მხრიდან, დარტყმის მოედნის და ბურცობის აცლით უცდიათ მცირე ზომის ქერცლისებური ანატაკეების ატკეცვა, რითაც ეს იარაღი სათლელისებურ იარაღსაც წააგავს.

§ 7. ძვლის იარაღები

სამერცხლე კლდის მღვიმის II კულტურულ ფენაში გარდა კაეისა და ობსიდიანის იარაღ-ხელსაწყოებისა ძვლის იარაღებიც აღმოჩნდა (10 ც.). იარაღების დასამზადებლად გამოყენებულია ლულოვანი ძვლები, ცხოველის რქები, ნასვრეტოვანი ძვლის ფრაგმენტები, აგრეთვე ნეკნებიც. იარაღებიდან გვხვდება: სადგისები, სახვრეტები, შუბისპირები და საპრიალელები.

იარაღებს შორის წამყვან ფორმას სადგისები წარმოადგენენ (4 ც.), (ტაბ. XXVIII, სურ. 3. 8—10).

ა) მ რ გ ვ ა ლ დ ე რ ო ი ა ნ ი ს ა დ გ ი ს ი, ნაკეთებია 14,3 სმ სიგრძის ლულოვან ძვალზე, მისი დიამეტრი საშუალოდ 0,8 სმ-ია. სადგისის წვერი და მთელი ღერო, რომელიც მრგვალვანივკეთიანია, კარგადაა დამუშავებული. იარაღის სხეული თითქმის შეუმჩნევლად გადადის წვერში, რომელიც მეტად გრძელი და ბასრია. წვერის ძულ მცირე ნაწილი მოტეხილია. სადგისს კარგად ეტყობა

ქვის იარაღებით დამუშავების კვალი მკრთალი ნაკაწრების სახით. ლულოვან ძვალს, რომელზედაც სადგისია ჩამოყალიბებული, შერჩენილი აქვს ეპითეზი, რაც ხელში ქერისას იარაღის გამოყენებას მოხერხებულს ხდის (ტაბ. XXVIII, სურ. 8).

ბ) ბ რ ტ ყ ე ლ დ ე რ ო ი ა ნ ი ო ვ ა ლ უ რ გ ა ნ ი ვ კ ვ ე თ ი ა ნ ი ო რ მ ა გ ი ს ა დ გ ი ს ი, ჩამოყალიბებულია 13 სმ სიგრძის და 1,3 სმ სიგანის ლულოვანი ძვლის ფრაგმენტზე. მისი სისქე 0,7 სმ-ია. იარაღს ორი სამუშაო წვერი აქვს, რომელთაგან ერთ-ერთი საკმაოდ ბასრია, ხოლო მეორე ნაკლებადაა წაწვეტებული და მცირე ნაწილზეა მოტეხილი. იარაღის მთელი ზედაპირი კარგადაა დამუშავებული და გაპრიალებული. სადგისის ზედაპირს ემჩნევა ნაკაწრები (ტაბ. XXVIII, სურ. 9).

გ) ბ რ ტ ყ ე ლ დ ე რ ო ი ა ნ ი ს ა დ გ ი ს ი, ნაკეთებია ლულოვანი ძვლის 9,5 სმ სიგრძისა და 0,5 სმ სისქის თხელ ანატკეცზე. მისი წვერი კარგადაა დამუშავებული და გამოყვანილი. სადგისის ღეროს ეტყობა ქვის იარაღებით დამუშავების კვალი ნაკაწრების სახით. იარაღს ზურგის მხრიდან აქვს არხისებური ჩაღრმავება, რომელიც თითქმის წვერამდე გასდევს. ჩანს, რომ ეს ღარი ბასრი დანით ამოუკვეთიათ, შემდეგ კი საფხეკით შეუსწორებიათ. სადგისის მეორე მხარე კარგადაა გადალესილი და გაპრიალებული, ემჩნევა სიგრძივი ნაკაწრები არაღრმა ღარების სახით. მთლიანად კი იარაღის ზედაპირი ისე კარგადაა გაპრიალებული, რომ ლაქით დაფარულს ჰგავს (ტაბ. XXVIII, სურ. 10).

დ) ი რ ი ბ ა დ წ ა კ ვ ე თ ი ლ დ ე რ ო ი ა ნ ი ს ა დ გ ი ს ი, ჩამოყალიბებულია ლულოვანი ძვლის 7,2 სმ სიგრძის და 1 სმ სისქის ფრაგმენტზე. მისი სხეული გაფხეკილ-გაპრიალებულია, მაგრამ ეს უკანასკნელი გაცილებით უხეშადაა დამუშავებული, ვიდრე ზემოთ აღწერილი სადგისები. იარაღის ბოლო ირიბადაა წათლილი ისე, რომ ლულოვანი ძვლის თითქმის ნახევარია ათლილი. დარჩენილი ნაწილი კი თანდათანობით შევიწროების გზით გადადნს სამუშაო წვერში (ტაბ. XXVIII, სურ. 3).

ს ა ხ ვ რ ე ტ ე ბ ი (2 ც.), (ტაბ. XXVIII, სურ. 1, 2) წარმოადგენს სადგისების სახესხვაობას, მაგრამ მათგან განსხვავდებიან ზომებითა და სამუშაო წვერის გაფორმებაში ზოგიერთი თავისებურებით. მათ დასამზადებლად გამოყენებულია არასწორი ფორმის ძვლის მცირე ზომის ნამტვრევები. სახვრეტები გამოიჩინებენ შედარებით უფრო მოკლე და თხელი სამუშაო წვერით. ისინი გამოიყენე-

ბოდნენ მცირე ზომის ნახვრეტების გასაკეთებლად, მაშინ, როდესაც, სადგისებით კეთდებოდა ნებისმიერი დიამეტრის ნახვრეტი. ერთ-ერთი სახვრეტი 10 სმ სიგრძისაა, მისი სიგანე 1 სმ-ია. იარაღის სამუშაო წვერი ბასრია, კარგადაა გამოყვანილი და დამუშავებული. მას მთელი სხეულის 1/4 ნაწილი უკავია სახვრეტის ღერო როგორც ზურგის, ასევე მუცლის მხრიდან კარგადაა გაპრიალებული (ტაბ. XXVIII, სურ. 1).

მეორე სახვრეტი ნაკეთებია 7 სმ სიგრძის ძვლის ანამტვრეხზე. მუცლის მხრიდან შერჩენილი აქვს ნახვრეტოვანი ძვლის ფენა. სახვრეტს მხოლოდ სამუშაო წვერი აქვს დამუშავებული და ისიც ნაწილობრივ. იარაღის დანარჩენ ნაწილს კი დამუშავება არ ეტყობა.

საერთოდ, სახვრეტი უხეშ, დაუმთავრებელი იარაღის შთაბეჭდილებას სტოვებს. მისი ღერო ხელში ქერისგანაა გაპრიალებული (ტაბ. XXVIII, სურ. 2).

შუბისპირეზი (2 ც.), (ტაბ. XXVIII, სურ. 4, 5). იარაღები წარმოადგენენ 9,5—12 სმ სიგრძისა და 1,5 სმ სიგანის ოვალურგანივკვეთიანი ძვლის სქელ ღეროებს, რომელთა მთელი ზედაპირი მშვენივრადაა დამუშავებული. ერთ-ერთ შუბისპირს ბოლო მოტეხილი აქვს (ტაბ. XXVIII, სურ. 5), მეორეს — შესწორებული, როგორც ჩანს, ხეში უკეთ ჩასმის მიზნით (ტაბ. XXVIII, სურ. 4). შუბისპირების ზედაპირს კარგად ეტყობათ დამუშავებისას წარმოქმნილი ნაკვდევები და მსუბუქი ნაკაწრები. მათ მუცლის მხრიდან ნახვრეტოვანი ძვლის ფენაც შერჩენიათ. ერთ-ერთ შუბისპირს ემჩნევა ცეცხლში მოხვედრის ნიშნებიც.

საპრიალებლები (2 ც.), (ტაბ. XXVIII, სურ. 6, 7). ერთ-ერთი ჩამოყალიბებულია ირმის რქის ფრაგმენტზე. მისი სიგრძე 13 სმ-ია, ხოლო სისქე — საშუალოდ 2,5 სმ. რქის ერთა ზედაპირი ირიბადაა წათლილი და დამუშავებული. იარაღის სამუშაო პირი მშვენივრადაა გაპრიალებული, როგორც დამუშავების, ასევე გამოყენების შედეგად. საპრიალებელს სამუშაო ბოლო მოტეხილი აქვს. ჩანს, რომ ის ოვალურად იყო ნაკეთები (ტაბ. XXVIII, სურ. 6).

მეორე საპრიალებელი რომელიღაც ცხოველის ნეკნის ფრაგმენტზეა ჩამოყალიბებული, რომლის სიგრძე 6,2 სმ-ია, ხოლო სიგანე — 1,8 სმ. მისი ზედაპირი მშვენივრადაა გადალესილი და გაპრიალებული. იარაღის სამუშაო ბოლო ოვალურად არის ნაკეთები. იგი მუცლის მხრიდანაა ვაფორმებული, სადაც ნახვრეტოვანი ძვლის

ფენაც შერჩენია. ზურგის მხრიდან იარაღს ემჩნევა ნაკაწრები. მასვე ემჩნევა ცეცხლში მოხვედრის ნიშნებიც (ტაბ. XXVIII, სურ 7).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამერცხლე კლდეში ძვლის იარაღების რაოდენობა არაა დიდი. როგორც ცნობილია, პალეოლითელ მონადირეებს, როდესაც ძველ სადგომებს სტოვებდნენ და სახლდებოდნენ ახალ სადგომებზე, თან მიჰქონდათ ძვლის იარაღებიც, რომელთა დამუშავება პირველყოფილი ტექნიკის პირობებში ადამიანისაგან დიდ შრომასა და გამოცდილებას მოითხოვდა. ამიტომ, საერთოდ, გვიანი პალეოლითური სადგომების გათხრისას, ყოველთვის მცირე რაოდენობით პოულობენ ძვლის იარაღებს. სამერცხლე კლდეშიც მათი მცირე რაოდენობა ამგვარი მოვლენით უნდა აიხსნას.

სამერცხლე კლდის ადგილი საქართველოში და
მეზობელი ქვეყნების ზედაპალეოლითურ
ძებნებს შორის

სამერცხლე კლდის მღვიმის ზედაპალეოლითური მასალის ქრონოლოგიური და კულტურული ადგილის განსაზღვრა ჩვენი კვლევის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია. ჩვენი მიზანია სამერცხლე კლდის ზედაპალეოლითური მასალა შევედაროთ დღემდე ცნობილ სინქრონულ ძეგლებს, როგორც საქართველოს, ასევე მეზობელი ქვეყნების ტერიტორიიდან და ამის საფუძველზე დავათარილოთ იგი, მოვძებნოთ მისი ქრონოლოგიური და კულტურული ადგილი.

საბჭოთა მეცნიერების მიერ მიღებულია საქართველოს ზედაპალეოლითისათვის ს. ნ. ზამიატინის მიერ შემუშავებული ქრონოლოგიური სქემა¹, რომელიც უკვე დღეისათვის მოითხოვს შემდგომ დეტალიზაციას. ბევრი ახალი ძეგლის აღმოჩენა დღის წესრიგში აყენებს მის ახლებურად გადასინჯვის, მისი ახალი ძეგლებით შევსების საკითხს.

ახალი აღმოჩენების საფუძველზე ნ. ბერძენიშვილმა გამოაქყო საქართველოს ზედაპალეოლითის საწყისი ეტაპი და ს. ნ. ზამიატინის ქრონოლოგიური სქემის 1 ჯგუფი ახალი ძეგლებით წარმოგვიდგინა².

I ჯგუფში ხერგულის კლდესა და თარო კლდესთან ერთად მან მოათავსა წყალწითელას რაიონში მდებარე ჭაბათას დამარხული მღვიმის II კულტურული ფენა, საგვარჯილეს ქვედა ფენა (საგვარ-

1 С. Н. Замятнин, Палеолит Западного Закавказья, МАЭ, т. XVII, М.-Л., 1957.

2 ნ. ბერძენიშვილი, ქვის ხანის ახალი ძეგლი წყალწითელას ხეობაში, თბ., 1964, გვ. 48—64.

ჯილე I)³ და სვანთა სავანეს მღვიმე⁴. ნ. ბერძენიშვილი გამოჰყოფს ზედა პალეოლითის საწყისი სტადიის ორ ფაზას. პირველი ფაზა ხასიათდება მუსტიურის ტექნიკის დიდი ტრადიციებით და ორინიაკული ტიპის იარაღების ჩამოყალიბებით (საგვარჯილე I — A, ხერგულის კლდე, დამარბული მღვიმის II კულტურული ფენა). მეორე ფაზაში კი უკვე შემოდის დამუშავების ზედა პალეოლითური ტექნიკა და ჩნდება იან ზედაპალეოლითური (ორინიაკისებური) ტიპის იარაღების მთელი სერიები. იწყება გრავეტის ტიპის მიკროლითური იარაღების გამოყენებაც, რომელთაც ჯერ კიდევ არა აქვთ გომეტრიული მოხაზულობა (საგვარჯილე I—B, თარო კლდე და სხვ.)⁵.

ს. ნ. ზამიატინის ქრონოლოგიურ სქემაში რამდენადმე ცვლილება შეიტანა დ. თუ შ ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ მ ა. გვარჯილას კლდე, რომელიც III ჯგუფში შემავალ ძეგლს მიეკუთვნებოდა, ავტორმა მოათავსა II და III ჯგუფის ძეგლებს შორის „...ვინაიდან იგი ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ბარმაქსიზის და ზურტაკეთის პალეოლითურ სადგომებს და წარმოადგენს II ჯგუფიდან III ჯგუფში გარდამავალ საფეხურს“.

სამერცხლე კლდის ნაშთების შედარებისას დასავლეთ საქართველოს მღვიმეებში აღმოჩენილ ზედა პალეოლითის სხვადასხვა საფეხურის მასალებთან, შემდეგი სურათი ჩანს.

საქართველოს ზედა პალეოლითის შედარებით უფრო ადრეული ხანის ძეგლებად ითვლება ხერგულის კლდე და თარო კლდე. როგორც ცნობილია, აღნიშნულ ძეგლთა მასალები 1917 წელს მოიპოვა სტ. კრუკოვსკიმ.

ჩვენს ხელთ არსებული ხერგულის კლდის მცირერიცხოვანა მასალა მომდინარეობდა საძიებო თხრილიდან, სადაც სტრატოგრაფია არ იყო დაზუსტებული, რაც ძეგლის კულტურული და ქრო-

³ ნ. კ ი ლ ა ძ ე, (იგივე ბერძენიშვილი), მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი „საგვარჯილე“, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XIV, № 9, 1953, გვ. 561—567.

⁴ ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, გ. გ რ ი გ ო ლ ი ა, შავიზღვისპირეთის პალეოლითური ექსპედიციის 1966 წლის სავალე მუშაობის ანგარიში, ივ. ჭავჭავაძის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის XVI სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1966 წ. სავალე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ., 1967, გვ. 5—11.

⁵ ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ქვის ხანის ახალი ძეგლი... გვ. 78.

⁶ დ. თ უ შ ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, გვარჯილას კლდის პალეოლითური ნაშთები, თბილისი, 1960, გვ. 158.

ნოლოგიური ადგილის განსაზღვრისათვის ნათელ სურათს არ იძლეოდა. 1967—1972 წწ-ში შავიზღვისპირეთის ქვის ხანის შექმნა-წავლელმა ექსპედიციამ არქეოლოგიური სამუშაოები ჩაატარა ხერგულის კლდეში (ხელმძღვ. ნ. ბერძენიშვილი). გათხრებმა გამოავლინა ერთი კულტურული ფენა. მოპოვებულია კაყის 35000-მდე ინვენტარი, აგრეთვე ფაუნისტური მასალა, რის მიხედვითაც კარგად ჩანს ქვედა პალეოლითიდან ზედაპალეოლითში გადასვლის პროცესი⁷.

ხერგულის კლდეში აღმოჩნდა მუსტიეური ეპოქისათვის დამახასიათებელი იარაღების ყველა ფორმა: წვეტანები, სახოკები, მცირე ზომის ორმხრივდამუშავებული იარაღები, აგრეთვე სამკუთხა მოყვანილობის ანატკეცები, რომელთაც მუსტიეური ტექნიკის ნიშნები აქვთ. გვხვდება აგრეთვე სიგრძივი და განივი ტიპური მუსტიეური ანატკეცები. აშკარად გამოკვეთილ მუსტიეურ იერის მქონე მასალის გვერდით, გარდა პრიზმული და კონუსის მოყვანილობის ნუკლეუსებისა, გვხვდება აგრეთვე ზედაპალეოლითურა იერის დანისებური ლამელები, ამ დროისათვის უაქმახასიათებელი ტიპური იარაღები: საფხეკები და საჭრისები. გვხვდება აგრეთვე თავბოლორეტუშირებული და გვერდდაბლაგვებული ბიკროლამელებიც. ზემოთ აღნიშნულ სხვადასხვა ტიპის იარაღთა ზედაპირს ერთნაირი პატინა აქვს, რაც ექვს არ იწვევს მათ თანადროულობაში.

თარო კლდეში რამდენიმე ასეული კაყის ნაწარმი იყო აღმოჩენილი. კომპლექსი ზედაპალეოლითურია. თარო კლდის მასალები ხერგულის კლდის მასალებთან შედარებით უფრო ანაღაზრდა ჩანს. ნუკლეუსები ძირითადად პრიზმული მოყვანილობისაა. საჭრისები შეადგენენ დაახლოებით იარაღთა ნახევარს. მათ შორის ორჯერ ერთი მათგანი არაა დამზადებული სწორ და თხელ დანისებურ ლამელაზე. თითქმის ყველა ჩამოყალიბებულია სქელ და ფართო მასიურ ანატკეც-ანამტვრევზე, რომელთაც ხშირ შემთხვევაში ზურგი დაფარული აქვთ ბუნებრივი ქერქით. ოვალურსამუშაოპი-

7 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს შავიზღვისპირეთის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე მუშაობის შედეგები, საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1972 წელს, მოკლე ანგარიშები, თბ., 1973, გვ. 1—7;

გ. დონაძე, ხერგულის კლდეში ჩატარებული არქეოლოგიური მუშაობის შედეგები, საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიება-1972 წელს, მოკლე ანგარიშები, თბ., 1973, გვ. 12—15.

რიანი საფხეკები 20 ცალია აღმოჩენილი, მაგრამ მათ შორის სწორ, ვიწრო და წაგრძელებულ ლამელებზე დამზადებული მხოლოდ 2,3 ეგზემპლარია. საფხეკთა უმრავლესობა, ისევე როგორც საჭრისების დიდი ნაწილი, მზადდებოდა მასიურ და ფართო ანატკეცებზე, რომელთაც ზურგის ნაწილი კაქრის კანით ჰქონდათ დაფარული. კოლექციაში მოიპოვება 30 ცალამდე ზურგდაბლაგვებული მიკროლაპელა. ზედაპალეოლითური იერის მქონე იარაღების გვერდით გადმონაშთის სახით გვხვდება მუსტიეური ფორმებიც. თარო კლდეში ისინი ერთეულების სახით არიან წარმოდგენილი. პირველ რიგში აღსანიშნავია ტიპური მუსტიეური წვეტანა, რომელიც ჩამოყალიბებულია სამკუთხა ანატკეცზე. ანატკეცს გააჩნია მკვეთრად წინ წამოწეული დარტყმის ბურცობი, რომელსაც ანატკეცის მუცლის ნახევარზე მეტი უკავია. იარაღი ტიპური მუსტიეური რეტეშითაა დამუშავებული. თარო კლდეში ძვლის 2 ცალი იარაღის ფრაგმენტიც აღმოჩნდა.

ხერგულის კლდისა და თარო კლდის მასალების შესწავლისას ს. ნ. ზამიატინი აღნიშნავდა, რომ ეს ძეგლები არ არიან ზუსტად თანადროული; ისინი უნდა ასახავდნენ იმერეთის ზედა პალეოლითის თანმიმდევრულ განვითარებას.

ამრიგად, ხერგულის კლდისა და თარო კლდის მასალები ზედა პალეოლითის ადრეული საფეხურის გამოყოფის საშუალებას იძლევა.

გამოკვეთილად ისახება ქვედა პალეოლითიდან ზედა პალეოლითში გარდამავალი საფეხური საგვარჯილეს მღვიმის მე-5 ფენის (საგვარჯილე I), ჭახათის მღვიმის II კულტურული ფენის და სვანთა სავანის მღვიმის ქვედა ფენის მასალებზე დაკვირვებისას.

საგვარჯილე I მოპოვებულია მუსტიეს ხანის ბევრი მასალა. ამავე ფენაში აღმოჩნდა ზედაპალეოლითური იერის მქონე კაქრის ნაწარმი. წვეტანებთან და საბოკებთან ერთად გვხვდება მუსტიეს საიარაღო მასალიდან ნაკეთები საფხეკები და საჭრისები. საგვარჯილე I არაერთ ნიშანს იძლევა მთელი კომპლექსის ქვედა პალეოლითიდან დასაცნობლად და მომდევნო პერიოდის საწყისებთან,

* С. Н. З а м я т и н, Палеолит Западного Закавказья, Сборник музея антропологии и этнографии XVII, 1957, М.—Л., стр. 462.

ე. წ. ორინიაკთან დასაკავშირებლად. ეს არის ზედა პალეოლითი. მუსტიეს დიდი ტრადიციებით⁹.

საგვარჯილე I პალეოლითური კულტურის განვითარებაში ის რგოლია, რომელიც მჭიდროდ აკავშირებს საქართველოს მუსტიეური ხანისა და ზედა პალეოლითის, მისი საწყისი პეროდის ძეგლებს¹⁰.

საგვარჯილე I ყველაზე უფრო ახლოს დგას ქახათის მღვიმის II კულტურული ფენა და სკანთა სავანის მღვიმის მასალები. მათთან კი ახლო კავშირშია ხერგულის კლდის ნაშთები.

თუ გადავხედავთ სამერცხლე კლდის კოლექციას, ნათელი გახდება, რომ აღნიშნული ძეგლის მასალები, როგორც დამუშავების ტექნიკით, ასევე იარაღთა ტიპების მიხედვით განსხვავდება ზედა პალეოლითის ადრეული საფეხურის ძეგლებისაგან, რაც ქრონოლოგიური სხვაობის მაჩვენებელია. სამერცხლე უღელში აღმოჩენილი ზედაპალეოლითური მასალა გამოირჩევა თავისი დახვეწილი, ნატიფი ტექნიკით, რისთვისაც უცხოა ქვედაპალეოლითური ეპოქის ელემენტები და მუსტიეური ტექნიკით დამუშავებული იარაღების არსებობა. ამ მხრივ სამერცხლე კლდე ახლო დგას II ჯგუფის ძეგლებთან.

II ჯგუფის ძეგლები, რომლებიც მიეკუთვნება გვიანი პალეოლითის შუა საფეხურს, წარმოდგენილია შემდეგი ძეგლებით: დვისხვრელი, მღვიმევი, საკაქია¹¹, ბნელი კლდე, უვაროვის მღვიმე და სხვ. აღნიშნული მღვიმეები შეიცავენ ტიპურ ზედაპალეოლითურ მასალებს.

სამერცხლე კლდისა და მეორე ჯგუფის ძეგლების მასალების სიახლოვეზე მეტყველებს ნუკლეუსების, ერთი და იგივე ტიპის იარაღების, საფხეყების შედარება, მრავალფაქტურიანი ანუ პოლიედრიული საჭრისების, აგრეთვე სხვადასხვა ტიპის საჭრისების ურთიერთმსგავსება. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ხსენებულ ძეგლებ-

⁹ ნ. ბერძენიშვილი, ქვის ხანის ახალი ძეგლი, წალწითელას ხეობაში, თბილისი, 1964, გვ. 50.

¹⁰ იქვე.

¹¹ საკაქიას მღვიმის მასალების გარკვეული ნაწილი დატულია ქ. ლენინგრადის ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების ქვის ხანის ფონდში, რომლებიც გათვალისწინებული გვაქვს ჩვენს ნაშრომში, მაგრამ ჯერადნობით, მხოლოდ აკად. ს. ჭანაშვილის სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის, ქვის ხანის ფონდებში დატულ ზედაპალეოლითურ მასალებს.

ში აღმოჩენილი მსგავსი ფაუნისტური მასალაც (იხ. ცხრილი № 2). სამერცხლე კლდის ნუკლეუსები (111 ც., რაც ქვეს მთელი მასალის 4,7%-ს შეადგენს) დევისხვრელში (200 ც., 1,98%), მღვიმევეში (360 ც., 1%) და საკაეიაში (198 ც., 0,1%) აღმოჩენილი ნუკლეუსების მსგავსია. სამერცხლე კლდეში, ისევე როგორც მეორე ჯგუფის ძეგლებში, ნუკლეუსებს შორის ყველაზე დიდი რაოდენობით გვხვდება პრიზმული მოყვანილობის ერთ ან ორფუძიანი ნუკლეუსები; ასე, მაგ., სამერცხლე კლდეში პრიზმული მოყვანილობის ერთფუძიანი ნუკლეუსი 36 ცალია, რაც მთელი ნუკლეუსების 32,4%-ს შეადგენს; დევისხვრელში მათი რაოდენობა 56 ცალია (28%); მღვიმევეში — 149 ც. (41,3%), ხოლო საკაეიაში — 76 ც. (38,5%). პრიზმის მოყვანილობის ორფუძიანი ნუკლეუსები კი შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: სამერცხლე კლდეში მათი რაოდენობა 18 ცალია, რაც მთელი ნუკლეუსების 16,2%-ია; დევისხვრელში — 92 ც. (46%), მღვიმევეში — 98 ც. (27,3%), ხოლო საკაეიაში — 63 ც. (31,8%).

აღნიშნულ ძეგლებში პრიზმული მოყვანილობის ერთფუძიანი ნუკლეუსები უფრო დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი, ვიდრე ამავე მოყვანილობის ორფუძიანი ნუკლეუსები. მათ დარტყმის სიბრტყეები კარგად აქვთ მომზადებული. ზოგიერთი ნუკლეუსის დარტყმის სიბრტყე თავისი სხეულისადმი პერიზონტულია, ზოგიერთის კი დახრილია ირიბად. ნუკლეუსებს შორის გვხვდება ისეთი ცალებიც, რომელთაც ლამელები მხოლოდ ცალი მხრიდან აქვთ ატყეცილი, მაშინ როდესაც მეორე მხარე ბუნებრივი ქერქითაა დაფარული. გვხვდება აგრეთვე ირგვლივ გამოყენებული ნუკლეუსებიც.

სამერცხლე კლდეში კონუსისებური მოყვანილობის ნუკლეუსი სულ 2 ცალია აღმოჩენილი და ისიც არატიპიურია. მას მთელი ნუკლეუსის 1,8% უკავია. ასევე მცირერიცხოვნადაა წარმოდგენილი მეორე ჯგუფის ძეგლებში არატიპიური კონუსისებური ნუკლეუსები. ასე, მაგ., დევისხვრელში მათი რაოდენობა 3 ცალია (1,5%), მღვიმევეში — 13 ც. (3,6%), საკაეიაში — 6 ც. (3%). გარდა ღასახელებული ნუკლეუსებისა აღნიშნულ ძეგლებში გვხვდება ამორფული, უტილიზებული და უხეში ნუკლეუსები. ამორფული ნუკლეუსების რაოდენობა სამერცხლე კლდეში 16 ცალია, რაც მთელი ნუკლეუსების 14,4%-ია; დევისხვრელში — 27 ც. (13,5%), მღვიმევეში — 27 ც. (7,5%), საკაეიაში — 12 ც. (6%). უტილიზებული ნუკ-

ლესები სამერცხლე კლდეში 9 ცალია აღმოჩენილი (8,1%), დევისხვრელში — 3 ც. (1,5%); მღვიმევეში — 55 ც. (15,3%), ხოლო საკაქიაში — 18 ც. (9,1%). საკმაო რაოდენობითაა წარმოდგენილი უხეში ნუკლეუსები: ასე, მაგ., სამერცხლე კლდეში — 20 ც. (18%), დევისხვრელში — 19 ც. (9,5%), მღვიმევეში — 18 ც. (5%), საკაქიაში — 23 ც. (11,6%).

მსგავსების მიუხედავად, სამერცხლე კლდისა და მეორე ჯგუფის ძეგლთა ნუკლეუსებს შორის განსხვავებაც შეიმჩნევა. თუ სამერცხლე კლდის ნუკლეუსებს შორის დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი ისეთი ნუკლეუსები, რომელთა დიამეტრი მათ სიგრძეს აღემატება, მღვიმევისა და საკაქიას ნუკლეუსებზე სიგრძე ყოველთვის სჭარბობს მათ დიამეტრს.

სამერცხლე კლდის მღვიმეში სულ 2 ცალი მიკროლითური ნუკლეუსი გვხვდება, მაშინ როდესაც დიდია მათი რაოდენობა საკაქიასა და მღვიმევეში, რაც მიუთითებს ამ ძეგლების შედარებით უფრო გვიანდელ ადგილს ქრონოლოგიური სქემის მეორე ჯგუფში.

ამრიგად, აღნიშნულ ძეგლებში ნუკლეუსების ძირითად ნაწილს კარგად ჩამოყალიბებული პრიზმული მოყვანილობის ნუკლეუსები წარმოადგენენ, ხოლო კონუსის მოყვანილობის ნუკლეუსები ძალზე მცირერიცხოვნადაა წარმოდგენილი და თავადაც არ შეადგენენ ნუკლეუსების კლასიკურ ნიმუშებს.

სამერცხლე კლდეში, ისევე როგორც მეორე ჯგუფის ძეგლებში, მასალის დიდი ნაწილი წარმოების ნაშთების სახითაა წარმოდგენილი: ასე, მაგ., სამერცხლე კლდეში წარმოების ნაშთებს მთელი მასალის 90,6% უკავიათ, ხოლო იარაღებს — 9,4%, დევისხვრელში — 93,4%, იარაღებს — 6,6%, მღვიმევეში — 94,7%, იარაღებს — 5,3%, საკაქიაში — 82,3%, იარაღებს — 17,7%.

დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი პრიზმული ნუკლეუსებიდან მიღებული დანისებური ლამელები, რომელთა რაოდენობა სამერცხლე კლდეში 874 ცალია, რაც წარმოების ნაშთების 41%-ია, დევისხვრელში — 5506 ც. (58,2%), მღვიმევეში — 13292 ც. (38,8%), საკაქიაში — 7136 ც. (51,9%).

სამერცხლე კლდეში მოპოვებული კაქის იარაღები, ისევე როგორც დევისხვრელში, საკაქიაში და მღვიმევეში, ნაკეთებია როგორც სწორი მოყვანილობის დანისებურ ლამელებზე, ასევე შედარებით უხეშ და მოკლე ფირფიტებზე. სამერცხლე კლდეში ლამელებზე ჩამოყალიბებული იარაღების რაოდენობა 136 ცალია, ხო-

ლო ანატკეც-ანამტვრევებზე ჩამოყალიბებული იარაღებისა — 85 ცალი. დევისხვრელში, საკაქიასა და მღვიმევეშიც მსგავს სურათს ვხედავთ. იქაც, ლამელებზე დამზადებული იარაღები სჭარბობენ ანატკეცებზე დამზადებულ იარაღებს.

აღნიშნულ ძეგლებში იარაღებს შორის წამყვანი ადგილი ს ა ფ ხ ე კ ე ბ ს და ს ა კ რ ი ს ე ბ ს უკავიათ.

საფხეკები სამერცხლე კლდეში აღმოჩენილი იარაღების 38,9%-ს შეადგენს, დევისხვრელში — 40,2%-ს, მღვიმევეში — 33,3%, ხოლო საკაქიაში — 30,5%-ს.

საფხეკებს შორის სჭარბობს ოვალურსამუშაოპირიანი საფხეკები, რომლებიც ჩამოყალიბებულია ვიწრო დანისებურ ლამელებზე. მათი რაოდენობა სამერცხლე კლდეში 60-ია, რაც მთელი საფხეკების 69,5%-ს შეადგენს; დევისხვრელში — 100 ც. (37,3%), მღვიმევეში — 378 ც. (59,3%), საკაქიაში — 583 ც. (64,3%).

ფართო ოვალურსამუშაოპირიანი საფხეკები სამერცხლე კლდეში 4 ც. აღმოჩნდა (5%), დევისხვრელში — 18 ც. (6,7%). მღვიმევეში ამგვარი ტიპის საფხეკები არ შეგვხვდრია, ხოლო საკაქიაში მათი რაოდენობა 55 ცალია (6,1%).

ჩაღარულ-ამოლარულსამუშაოპირიანი საფხეკი სამერცხლე კლდეში აღმოჩნდა მხოლოდ ერთი ცალი (1,2%), დევისხვრელში 17 ც. (6,3%), მღვიმევეში საფხეკის ეს ტიპი არ შეგვხვდრია, ხოლო საკაქიაში მათი რაოდენობა 48 ცალს უდრის (5,3%).

მცირე რაოდენობით არის აღმოჩენილი სამერცხლე კლდეში ამოლარული საფხეკები — სულ 3 ცალი (3,4%), ასევე მცირერიცხოვანია მათი რაოდენობა მეორე ჭრუფის ძეგლებშიც: დევისხვრელში — 3 ც. (1,1%), მღვიმევეში — 5 ც. (0,8%), საკაქიაში — 21 ც. (2,3%).

თავსწორარეტუშირებული საფხეკები სამერცხლე კლდეში 5 ცალი აღმოჩნდა (5,8%), დევისხვრელში — 11 ცალი (4,2%), ხოლო საკაქიაში — 27 ც. (3%).

მალალი ფორმის საფხეკები სამერცხლე კლდეში მხოლოდ 3 ცალია აღმოჩენილი (3,5%), დევისხვრელში 27 ც. (10,0%), მღვიმევეში — 21 ც. (3,3%), ხოლო საკაქიაში — 18 ც. (2%).

ნისკარტისებურსამუშაოპირიანი საფხეკები სამერცხლე კლდეში 3 ცალია აღმოჩენილი (3,4%), დევისხვრელში — 22 ც. (8,2%), მღვიმევეში საფხეკის ეს ტიპი არ შეგვხვდრია, საკაქიაში მისი რაოდენობა 8 ცალია (0,9%).

დაკბილულსამშუშაოპირიანი საფხეკები სამერცხლე კლდეში ერთი ცალია ნაპოვნი (1,2%). საფხეკის ეს ტიპი არც დევისხვრელში და არც საკაეიაში არ შეგვხვდრია, მღვიმევეში კი მისი რაოდენობა 39 ცალია (6,1%).

დიდია მსგავსება სამერცხლე კლდესა და მეორე ჭგუფის ძეგლებში აღმოჩენილ ორმაგ საფხეკებს შორის. სამერცხლე კლდეში მათი რაოდენობა 5 ცალია (5,8%), დევისხვრელში — 8 ც. (3%), მღვიმევეში — 25 ც. (3,9%), საკაეიაში — 60 ც. (6,6%).

ამრიგად, სამერცხლე კლდეში აღმოჩენილი ფართო ოვალურსამშუშაოპირიანი, ჩაღარულ-ამოღარულსამშუშაოპირიანი, ამოღარული, თავსწორარეტუშირებული, მაღალი ფორმის, ნისკარტისებურსამშუშაოპირიანი, დაკბილულსამშუშაოპირიანი და ორმაგ საფხეკები დევისხვრელში, საკაეიასა და მღვიმევეში აღმოჩენილი ამგვარივე საფხეკების მსგავსია.

ზემოთ ჩამოთვლილ საფხეკთა ტიპები ერთმანეთს ემსგავსებიან დამზადების ტექნიკით. მათი სამშუშაო პირი გამოყენებულია მკვეთრი რეტუშის საშუალებით. საფხეკები ძირითადად დამზადებულია ორ ან სამფერდა ლამელზე.

სამერცხლე კლდისა და მეორე ჭგუფის ძეგლების საფხეკების შედარება ცხადყოფს, რომ ისინი როგორც ფორმით, ასევე ზომით, ტიპებისა და დამუშავების ტექნიკით ძალიან ემსგავსებიან ერთმანეთს. აღნიშნული პროცენტული მონაცემებიც საყურადღებოა, რაც მათე ქრონოლოგიური სიახლოვის გამომხატველი უნდა იყოს.

მღვიმევეში და საკაეიაში გამოერევა საფხეკთა ისეთი ტიპები, რომლებიც არ შეგვხვდრია არც დევისხვრელში და არც სამერცხლე კლდეში. ესენია: ირგვლივრეტუშირებული მრგვალი საფხეკები, მიკროლითური საფხეკები, რაც მათ შედარებით უფრო განვითარებულ ძეგლებად წარმოგვიდგანს.

მსგავსია აგრეთვე სამერცხლე კლდეში და მეორე ჭგუფის ძეგლებში აღმოჩენილი საჭრისების სხვადასხვა ტიპებიც. სამერცხლე კლდეში საჭრისების რაოდენობა 82 ცალია, რაც მთელი იარაღების 37,2%-ს შეადგენს, დევისხვრელში — 121 ც. (18,2%), მღვიმევეში — 791 ც. (41,4%), საკაეიაში — 934 ც. (31,5%).

აღნიშნულ ძეგლთა საჭრისების უმრავლესობა ანატკეც-ანამტკრევეებზეა ჩამოყალიბებული, დანარჩენი კი ორფერდა, სამფერდა ან მრავალფერდა ლამელზე.

როგორც სამერცხლე კლდეში, ასევე მეორე ჯგუფის ძეგლებში საკმაო რაოდენობითაა წარმოდგენილი შუალა და მრავალწახნაგა საპრისები. სამერცხლე კლდეში შუალა საპრისების რაოდენობა 18 ცალია, რაც მთელი საპრისების 21,4%-ს შეადგენს. დევისსხერელში — 13 ც. (10,7%), მღვიმევეში — 237 ც. (30%), საკაეიაში — 231 ც. (24,7%). სამერცხლე კლდეში მრავალწახნაგა საპრისები 19 ცალია აღმოჩენილი (23,1%), დევისსხერელში — 8 ც. (6,6%), მღვიმევეში — 103 ც. (13%), ხოლო საკაეიაში — 102 ც. (10,8%).

დაღია მსგავსება დამზადების ტექნიკის თვალსაზრისით სამერცხლე კლდესა და მეორე ჯგუფის ძეგლების გვერდსაპრისებს შორისაც, როგორცაა: ცალწახნაგა მარტივი საპრისები, ცალწახნაგა გარდიგარდმო თავგადამტვრეული და ცალწახნაგა თავსწორ და თავირიბრეტუშირებული საპრისები.

თუ სამერცხლე კლდის მღვიმეში თავსწორ და თავირიბრეტუშირებული ცალწახნაგა გვერდსაპრისები ერთეულების სახით არის წარმოდგენილი, საკაეიასა და მღვიმევეში მათ საპრისებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ. ესეც ერთ-ერთი მაჩვენებელი უნდა იყოს ამ ძეგლების შედარებით უფრო ახალგაზრდა ასაკისა.

საფხვეებსა და საპრისებს გარდა სამერცხლე კლდეში და მეორე ჯგუფის ძეგლებში აღმოჩენილი სხვა იარაღებიც ძალიან ემსგავსებან ერთმანეთს. ესენია: სათლელი სეპეტი იარაღები, რომელთა რაოდენობა სამერცხლე კლდეში 16 ცალია (რაც მთელ იარაღთა 7,3%-ს შეადგენს), დევისსხერელში — 54 ც. (8,1%), მღვიმევეში — 128 ც. (6,7%), საკაეიაში — 181 ც. (6,1%). შალაშინიები, სამერცხლე კლდეში — 16 ც. (7,3%), დევისსხერელში — 43 ც. (6,4%), მღვიმევეში მათი რაოდენობა სხვა იარაღებთან შედარებით ყველაზე მცირეა — 29 ც. (1,5%), საკაეიაში — 49 ც. (1,6%). მსგავსია სახვრეტები და სახვრეტისებური იარაღები, სამერცხლე კლდეში — 6 ც. (2,7%), დევისსხერელში — 17 ც. (2,6%), მღვიმევეში — 40 ც. (2,1%), ხოლო საკაეიაში — 117 ც. (3,9%), აგრეთვე, კომბინირებული იარაღები და სხვა.

ამრიგად, როგორც მასალის შესწავლამ დაგვანახა, სამერცხლე კლდე და დევისსხერელი მეორე ჯგუფის ძეგლებს შორის შედარებით უფრო ადრეულ ძეგლებად გამოიყურებიან და წინ უსწრებენ ამავე ჯგუფში შემავალ საკაეიასა და მღვიმევის ძეგლებს. მეორე ჯგუფში

საკაეიასა და მღვიმევის შედარებით უფრო მოგვიანო ადგილზე მიუ-
თითებენ ძვლის იარაღებიც, რომლებიც დამუშავებითა და მათზე
გამონატული ნაქდევებით აშკარად უფრო სრულყოფილ იარაღებს
წარმოადგენენ, ვიდრე სამერცხლე კლდისა და დევისხვრელის ასე-
თივე იარაღები.

სამერცხლე კლდის, დევისხვრელის, საკაეიასა და მღვიმევის
პალეოლითურ მასალებს შორის არ უნდა იყოს დიდი ქრონოლო-
გიური სხვაობა და ჩვენ მათ ერთად მეორე ჯგუფში შემავალ ძეგ-
ლებად მივიჩნევთ, სადაც სამერცხლე კლდესა და დევისხვრელს
შედარებით უფრო ადრეული საფეხური ეთმობათ.

სამერცხლე კლდეში მოპოვებულ პალეოლითურ ნაშთებს თუ
შევეუდარებთ ს. ზამიატნიჩის ქრონოლოგიური სქემის მესამე ჯგუ-
ფში შემავალ ძეგლს — გვარჯილას კლდეს, რომელიც უფრო მო-
გვიანო ხანისაა, დავინახავთ როგორც მსგავსებას, ასევე განსხვავე-
ბასაც. გვარჯილას კლდეში, ისევე როგორც სამერცხლე კლდეში, ია-
რაღებს წარმოების ნაშთებთან შედარებით მცირე ადგილი უკავიათ.
წარმოების ნაშთები მთელი მასალის 92,3%-ს შეადგენს, ხოლო ია-
რაღები — 7,7%-ს. გვარჯილას კლდეში, ისევე როგორც სამერც-
ხლე კლდეში, ნუკლეუსებს შორის სქარბობენ პრიზმის მოყვანილო-
ბის ერთ და ორფუძიანი ნუკლეუსები გვარჯილას კლდეში პრიზ-
მის მოყვანილობის ერთფუძიანი ნუკლეუსის საერთო რაოდენობა
424 ცალია, რაც ნუკლეუსების საერთო რაოდენობის 44,62 %-ს
შეადგენს, ხოლო ორფუძიანი ნუკლეუსები 381 ცალია (10,1%).
თუ შევეუდარებთ სამერცხლე კლდისა და გვარჯილას კლდის
ნუკლეუსებს დავინახავთ, რომ გვარჯილას კლდის ნუკლეუსები
შედარებით უფრო სწორი მოყვანილობით ხასიათდებიან, მათი
ფუძეებიც უკეთესადაა მომზადებული. სამერცხლე კლდეში კონ-
უსის მოყვანილობის ნუკლეუსი სულ 2 ცალია აღმოჩენილი. გვარ-
ჯილას კლდეში კი მათი რაოდენობა 36 ცალია, აქედან 30 ცალი
კონუსის მოყვანილობის ერთფუძიანი ნუკლეუსია (3,2%), ხოლო
6 ც. კი წაკვეთილი კონუსის მოყვანილობისაა (0,63%). გვარჯი-
ლას კლდეში აღმოჩენილ ნუკლეუსებს შორის საკმაო რაოდენო-
ბითაა წარმოდგენილი მიკროლითური ნუკლეუსები, რომლებსაც
სწორი მოყვანილობა აქვთ. სამერცხლე კლდეში კი ამგვარი ნუკ-
ლეუსები თითქმის არ გვხვდება.

გვარჯილას კლდეში იარაღების ძირითადი ნაწილი თხელ, და-
ნისებურ ლამელებზეა ჩამოყალიბებული. მართალია, გვარჯილას
კლდის იარაღები ფორმითა და მოყვანილობით სამერცხლე კლდე-

ში აღმოჩენილი იარაღების მსგავსია, მაგრამ ისინი უფრო ფაქიზი და მუშავეებით გამოირჩევიან. თვალს თუ გადავავლებთ ამ ორი ძეგლის პროცენტულ მონაცემებს დავინახავთ, რომ იარაღების ესა თუ ის სახე სხვადასხვანაირად არის წარმოდგენილი, ასე მაგ., თუ სამერცხლე კლდეში და მეორე ჭგუფის ძეგლებში იარაღებს შორის საჭრისები ერთ-ერთ წამყვან სახეს წარმოადგენენ, გვარჯილას კლდეში მათი რაოდენობა არ არის დიდი. აღნიშნული ძეგლის 26050 ცალი კაქის ნაწარმიდან საჭრისების რაოდენობა 97 ცალია (I ფენიდან — 66 ც; II ფენიდან კი — 31 ც.), რაც მთელი იარაღების 4,8%-ს შეადგენს. გვარჯილას კლდეში წარმოდგენილია საჭრისთა ის ტიპები, რასაც ვხვდებით სამერცხლე კლდეში და მეორე ჭგუფის ძეგლებში, მაგრამ ისინი უფრო დახვეწილი ნიმუშებითაა წარმოდგენილი და ზომებშიაც კლებულობენ. თუ სამერცხლე კლდისა და მეორე ჭგუფის ძეგლებისათვის მრავალწახნაგა საჭრისები საჭრისთა წამყვან ფორმას წარმოადგენენ, გვარჯილას კლდეში საჭრისების ამგვარი ტიპი მხოლოდ 4 ცალია აღმოჩენილი (4,1%), აქედან 1 ცალი I ფენიდანაა, ხოლო 3 ც. — II ფენიდან. მცირეა აგრეთვე შუალა საჭრისების რიცხვიც — 9 ც. (9,3%), მაშინ როდესაც სამერცხლე კლდეში და მეორე ჭგუფის ძეგლებში დიდა მათი რაოდენობა. საყურადღებოა, რომ როგორც სამერცხლე კლდეში და მეორე ჭგუფის ძეგლებში, ასევე გვარჯილას კლდეშიც საჭრისებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი გარდიგარდმოთაგადამტერეულ კუთხის საჭრისებს უკავიათ. გვარჯილას კლდეში მათი რაოდენობა სხვა საჭრისებთან შედარებით დიდა — 21 ც. (21,6%). რაოდენობის მიხედვით შემდეგი ადგილი ცალწახნაგა თავირიბრეტუშირებულ სწორ საჭრისებს ეთმობათ — 12 ც. (12,4%). სამერცხლე კლდეში საჭრისის ამგვარი ტიპი არ აღმოჩენილა.

გვარჯილას კლდეში, ისევე როგორც სამერცხლე კლდეში, საფხეკებს იარაღებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ. მათი რაოდენობა 972 ცალია, რაც მთელი იარაღების (2065 ც.) 48,4%-ს შეადგენს. გვარჯილას კლდისა და სამერცხლე კლდის საფხეკეთა ცალკეული ტიპი ერთმანეთის მსგავსია, მაგრამ გვარჯილას კლდის საფხეკები შედარებით უფრო სწორი მოყვანილობით ხასიათდებიან. თუ გვარჯილას კლდეში თავირიბრეტუშირებულ საფხეკეი 91 ცალია (9,4%) აღმოჩენილი, სამერცხლე კლდეში ამგვარი საფხეკეი მხოლოდ 1 ცალი აღმოჩნდა. თავსწორ რეტუშირებულ საფხეკეი გვარჯილას კლდეში 69 ცალია (7,1%), სამერცხლე

კლდეში კი — 5 ც. (5,8%). გვარჯილას კლდეში გვხვდება საფხეკ-
თა ისეთი ტიპები, რაც სამერცხლე კლდისათვის უცხოა, ასეთია
ირგვლივრეტუშირებული საფხეკები — 17 ც. (1,7%), მომრგვალო
საფხეკები — 59 ც. (6,1%), მიკროლითური საფხეკები — 41 ც. (4,2%).
გვარჯილას კლდეში სხვადასხვა ტიპის საფხეკებთან შედარებით
მცირეა მაღალი ფორმის საფხეკების რიცხვი, რაც მეორე ჯგუფის
ძეგლებში საკმაო რაოდენობით გვხვდება. გვარჯილას კლდეში მა-
თი რიცხვი 10 ცალია, რაც მთელი საფხეკების 1%-ს შეადგენს. გვარ-
ჯილას კლდეში ძალზე მცირეა ნუკლეუსისმაგვარი იარაღები და შა-
ლაშინები — 7 ც. (0,3%), რაც დიდი რაოდენობითაა მოპოვებუ-
ლი სამერცხლე კლდეში და მეორე ჯგუფის ძეგლებში. ეს გარემოე-
ბა აღნიშნულ ძეგლებს „ორინიაკურებურ“ ხასიათს ანიჭებს.

გვარჯილას კლდეში მოპოვებული ძვლის იარაღები (124 ც.)
გამოირჩევიან დამუშავების მაღალი ტექნიკით და განსწავდებიან
სამერცხლე კლდისა და მეორე ჯგუფის ძეგლების ძვლის იარაღე-
ბისაგან. გარდა ამისა, არც სამერცხლე კლდეში და არც მეორე
ჯგუფის ძეგლებში სრულებით არ გვხვდება ძვლის ისეთი ნაე-
თობანი, როგორიცაა ჰარპუნი და „მეთაურის კვერთხი“.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სამერცხლე კლდეში
და მეორე ჯგუფის პალეოლითურ სადგომებში გვხვდება კა-
ეის ისეთი იარაღები, რომლებიც განვითარებული და სრულყოფი-
ლი სახით წარმოდგენილია გვარჯილას კლდეში, მაგრამ აქვე
გვხვდება კაეისა და ძვლის იარაღთა ახალი ტიპები, რაც არ აღმო-
ჩენილა არც სამერცხლე კლდესა და არც მეორე ჯგუფის ძეგლებში.
ეს გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ გვარჯილას კლდე მეორე ჯგუ-
ფის ძეგლებთან შედარებით ახალგაზრდაა, მაგრამ მათ შორის არ
ჩანს დიდი ქრონოლოგიური სხვაობა, რაზეც მეტყველებს ფაუნის-
ტურა მონაცემებიც.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სა-
მერცხლე კლდე დასავლეთ საქართველოს ზედაპალეოლითური
ძეგლებიდან ქრონოლოგიურად ყველაზე ახლოს დგას დევისხვრელ-
თან, მღვიმევთან და საკაეისთან.

ქრონოლოგიური სიახლოვის მიუხედავად სამერცხლე კლდის
მასალები ხასიათდება მეტად თავისებური არსებითი ხასიათის ნიშ-
ნით.

შეუძლებელია არ დაგვაფიქროს იმ ფაქტმა, რომ სამერცხლე
კლდის მასალაში არ გვხვდება გრავეტისა და შატელპერონის ტი-

პის დანები, ზურგდაბლაგვებული მიკროლამელები და გეომეტრიული ფორმის მიკროლითები. აღსანიშნავია, რომ სამერცხლე კლდის კოლექციის კაჟის ნაწარმა შორის მხოლოდ ორი ზურგდაბლაგვებული იარაღია მოპოვებული; ესაა თავზურგდაბლაგვებული ლამელა (დანა) და სახვრეტი, რომლის ერთი გვერდი ნაწილობრივად დაძმუშავებული დამაბლაგვებელი რეტუშით. ზურგდაბლაგვებული ლამელები სამერცხლე კლდეში მოპოვებული ყველა იარაღის 0,8 %-ს შეადგენს. როგორც ჩანს, სამერცხლე კლდის ადამიანისათვის ნაცნობი ყოფილა ლამელისათვის ზურგის დაბლაგვება, მაგრამ თუ რატომ არ ჰპოვა გამოყენება აღნიშნულმა ტექნიკამ სამერცხლე კლდის მზა ნაწარმის, კერძოდ კი მიკროლითების გაფორმებისას, ამ საკითხის ირგვლივ ვადაჭრით რაიმეს მტკიცება ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით ჯერჯერობით შეუძლებელია.

როგორც ცნობილია, საქართველოს ძეგლებში მშვილდწვეტები და ჩასართები (მიკროიარაღები) ჩნდება უკვე ადრეულ ზედაპალეოლითურ კომპლექსებში. ჩვენში მიკროლითურ ტექნიკას საკმაოდ ადრინდელი ტრადიციები აქვს. იგი ჩანასახის სახით ჩნდება ზედაპალეოლითის საწყის საფეხურებზე.

თუ გადავხედავთ ხერგულის კლდისა და თარო კლდის მასალებს, რომლებიც ზედა პალეოლითის ადრეული ხანის ძეგლებად მიჩნეული, დავინახავთ, რომ უკვე ზედა პალეოლითის ამ უძველეს კომპლექსებში მართალია, მცირერიცხოვნად, მაგრამ მაინც ჩნდება მიკროიარაღები (მშვილდწვეტები და მიკროლამელები-ჩასართები). ხერგულის კლდეში გვხვდება მშვილდწვეტები, რომლებიც ირგვლივ არის დამუშავებული დამაბლაგვებელი რეტუშით, აგრეთვე თავბოლორეტუშირებული და გვერდდაბლაგვებული მიკროლამელები.

თარო კლდის მასალებში ზურგდაბლაგვებული მიკროიარაღები ყველა სახის იარაღის 26 %-ს შეადგენს.

ხსენებულ ძეგლებში მიკროიარაღების არსებობა საყურადღებოა იმით, რომ ისინი გვხვდება მუსტიურ და ზედაპალეოლითური იერის მქონე იარაღების შემცველ კომპლექსებში.

ს. ნ. ზამიატინის ქრონოლოგიურ სქემის მეორე ჯგუფის ძეგლებში მიკროიარაღები კარგად არის წარმოდგენილი: ასე, მაგ., დევისხვრელში მათი რაოდენობა 148 ცალია, რაც მთელი იარაღების 22,2 %-ს შეადგენს. დევისხვრელის მიკროიარაღებისათვის დამახასიათებელია ზურგდაბლაგვებული ლამელები — 40 ც. (6%),

შატელპერონის ტიპის მშვილდწვეტები — 15 ც. (2,2%), გრავეტის ტიპისა და მისი მსგავსი დანები — 93 ც. (14%).

მღვიმევეზი მსგავსი მიკროლითური ტრადიცია შეინიშნება. მიკროიარაღების რიცხვი ხულ 214 ცალია. ისინი აქ აღმოჩენილი დანარჩენი იარაღების 11,2%-ს შეადგენენ. აქაც გვხვდება როგორც ზურგდაბლაგვებული მიკროლამელები, ასევე წვეტანები. გრავეტის ტიპის დანები 154 ცალია (8,1), ხოლო მიკროსახვრეტები თუ წვეტანები — 60 ცალი (3,1%). მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი სეგმენტისებური იარაღები და დაბალი სამკუთხედები.

საკაქიაში მიკროლითების რიცხვი დიდია. მათი რიცხვი 554 ცალია, რაც ყველა სახის იარაღების 17,42%-ს შეადგენს. საკაქიაში კარგად არის წარმოდგენილი თავზურგდაბლაგვებული ლამელები. ისინი ფორმის მიხედვით ერთნაირია და სხვა ძეგლების ანალოგიური იარაღებისაგან განსხვავდებიან მცირე ზომებით. საკაქიაში მიკროიარაღების კომპლექსი ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: ზურგდაბლაგვებული ფირფიტები და სხვადასხვა სახის მშვილდწვეტები. კარგად არის წარმოდგენილი გრავეტის ტიპის და მისი მსგავსი დანები 150 ც. (5,1%), აგრეთვე სხვადასხვა მოყვანილობის პატარა ნემსისებური წვეტანები თუ სახვრეტები 125 ც. (4,2%).

რაც შეეხება გვარჯილას კლდეს, რომელიც III ჯგუფის ძეგლს წარმოადგენს, იქ მშვილდწვეტებისა და ჩასართების დამზადებას ტექნიკა სრულ განვითარებას აღწევს. დიდია ზურგდაბლაგვებული მიკროლამელების რიცხვი — 142 ც, ხოლო ასიმეტრიული სამკუთხედებისა და მალალი სეგმენტების რიცხვი არც თუ ისე დიდია — 83 ც.

მიკროლითური ტექნიკა სავსებით გაბატონებულია ე. წ. მეზოლითურ ხანაში (სამეგლე კლდე, ქვაპარა, წყალწითელა, ეძახი, ზურტაქეთი, წონა და სხვ.)

ხერგულის კლდის, თარო კლდის, დევისხვრელის, საკაქიას, მღვიმევის, გვარჯილას კლდისა და სხვათა მიკროლითური ტექნიკა წარმოადგენს ერთი და იგივე კულტურული ტრადიციის განვითარების სხვადასხვა ეტაპს.

აქედან ნათლად ჩანს, რომ საქართველოს ზედაპალეოლითური კულტურის თითქმის ყველა საფეხურის ძეგლებში წარმოდგენილია შატელპერონის ან გრავეტის ტიპის დანები, მათი მსგავსი იარაღები, ზურგდაბლაგვებული მიკროლითები, გეომეტრიული მოყვანილობის იარაღები.

სამერცხლე კლდე ამ მხრივ გამონაკლის წარმოადგენს, მაგრამ 1966 წელს დ. თუშაბრამიშვილის მიერ ნიკრისის ლელესთან მიკვლევულ ძუძუანას სახელით ცნობილ მღვიმეშიც რაპდენადმე მსგავსი სურათი გამოვლინდა¹². აქ აღმოჩენილი მასალა სამერცხლე კლდის კოლექციის მსგავსია.

ძუძუანას მღვიმეში, ისევე როგორც სამერცხლე კლდეში და მეორე ჭგუფის ძეგლებში, წარმოების ნაშთებს იარაღებთან შედარებით დიდი ადგილი უკავიათ.

დიდ მსგავსებას იჩენს სამერცხლე კლდისა და ძუძუანას ნუკლეუსები. მსგავსია ამ ძეგლებში აღმოჩენილი იარაღებიც, რომელთა დამზადების ტექნიკა ერთნაირია.

ძუძუანას მღვიმეში იარაღებს შორის წამყვან ფორმას საფხეკები წარმოადგენენ. აქაც, ისევე როგორც სამერცხლე კლდეში, საფხეკებს შორის წამყვან ფორმას ვიწრო ოვალურსამუშაოპაროანი საფხეკები შეადგენს — მათი უდიდესი ნაწილი სწორ დანისებურ ლამელაზეა ჩამოყალიბებული. მსგავსია აგრეთვე საფხეკთა სხვა ტიპებიც. მაგრამ ძუძუანას მღვიმეში ჩნდება უკვე მრგვალი ფორმის და მიკროლითური საფხეკები, რაც სამერცხლე კლდის მასალაში არ გვხვდება.

ძუძუანას მღვიმეში იარაღებს შორის საფხეკების შემდეგ მნიშვნელოვანი ადგილი საჭრისებს უკავიათ. მათ შორის წამყვანი ფორმაა მრავალწახნავა საჭრისები. შედარებით მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი ორწახნავა შუალა საჭრისები. საჭრისთა უდიდესი ნაწილი ანატყეც-ანამტვრევზეა დამზადებული.

იარაღებს შორის კარგადაა წარმოდგენილი შალაშინები, სათლელისებური იარაღები და სხვა.

ამრიგად, სამერცხლე კლდისა და ძუძუანას მღვიმის კოლექციის შედარებისას ნათელი ხდება მათი ურთიერთმსგავსება და ქრონოლოგიური სიახლოვე, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ძუძუანას მღვიმე სამერცხლე კლდეზე უფრო ახალგაზრდა უნდა იყოს, რაც გამოიხატება სწორი მოყვანილობის ფირფიტების სიმრავლით, იარაღთა დაჩვეწილი ფორმების (მრგვალი და მიკროლი-

¹² დ. თუშაბრამიშვილი, ყვირილის ხეობის ქვის ხანის შემსწავლელი არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1966 წ. ჩატარებული სამუშაოების შედეგები, აკად. ს. ჭანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მიერ 1966 წ. ჩატარებული საველე-არქეოლოგიური სამუშაოების შედეგებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, თბ., 1967, გვ. 12—15.

თური საფხეკები), აგრეთვე დამუშავების უფრო სრულყოფილი ტექნიკის არსებობით.

ძუძუანას მღვიმეში აღმოჩენილი ძვლის იარაღებიც სამერცხლე კლდის ძვლის იარაღების მსგავსია.

ამ ორი ძეგლის ურთიერთმსგავსება კიდევ უფრო კარგად გამოიხატება გეომეტრიული მოყვანილობის (სამკუთხედები, ტრაპეციები, სეგმენტები) იარაღების არარსებობით.

ძუძუანას მღვიმეში უმნიშვნელო რაოდენობითაა წარმოდგენილი გრავეტის ტიპის დანები, ხოლო გეომეტრიული ფორმები სრულიად არ გვხვდება.

როგორც დღემდე ც.ყო ცნობილი, ზედა პალეოლითის განვითარება მთელ დასავლეთ საქართველოში ძირითადად ერთი გზით უნდა ყოფილიყო წარმართული. როგორც ზემოთ დავინახეთ, სამერცხლე კლდისა და ძუძუანას მღვიმის მონაცემებით ეს მოსაზრება არ დასტურდება. დღემდე კავკასიის ზედა პალეოლითი მიჩნეული ც.ყო ერთიან პალეოლითურ კულტურად, რომელსაც გარკვეული საერთო ნიშნები ახასიათებს. სამერცხლე კლდისა და ძუძუანას მღვიმის ზედაპალეოლითური ძეგლების აღმოჩენით მდგომარეობა რამდენადმე იცვლება. აღნიშნული ძეგლები ვერ თავსდებიან საქართველოს ზედაპალეოლითური კულტურის განვითარების ცნობილ სქემაში და რამდენადმე განცალკევებით დგანან.

ჩვენ ვიზიარებთ დ. თუშაბრამიშვილის მოსაზრებას და სამერცხლე კლდეს, ძუძუანას მღვიმესთან ერთად, მათი თავისებურების გამო (გრავეტის ტიპის დანებისა და ზურგდაბლაგვებული მიკროიარაღების თითქმის არარსებობა, გეომეტრიული მოყვანილობის იარაღების არარსებობა), ცალკე ლოკალურ ჯგუფად გამოვყოფთ¹³.

სამერცხლე კლდის ზედაპალეოლითური მასალა დროის მიხედვით ახლოს დგას ახშთირისა და ნავალიშინოს მღვიმეების ზედაპალეოლითურ ფენებთან¹⁴. ყირიმის პალეოლითური ძეგლებიდან სამერცხლე კლდე ქრონოლოგიურად ახლოა სურენ I მეორე (შუა)

¹³ Д. Тушабрамишвили, Итоги работ в Квирильском ущелье, Археологические открытия 1967, М., 1968, стр. 298—299.

¹⁴ С. Н. Замятин. Очерки по палеолиту, М.-Л., 1961, гл. 104; Е. А. Векилова, Раскопки Ахштырской пещеры, Археологические открытия 1965 г., М., 1966 гл. 48—49.

ფენასთან¹⁵ და აჯი-კობას მეორე ფენაში აღმოჩენილ მასალასთან¹⁶.

ჩრდილო კავკასიის ძეგლებიდან სამერცხლე კლდის მასალა ყუბანისპირეთში მდებარე გუბსის № 1 ეხის თანადროულია¹⁷. გუბსის № 1 ეხის კოლექცია პ. აუტლევიმ აზედა პალეოლითის შუა საფეხურით დაათარილა¹⁸.

სამერცხლე კლდის მასალა ქრონოლოგიურად ახლოს დგას ჩოხის სადგომის მე-6 ფენის მასალებთან¹⁹. როგორც ცნობილია, დალესტანში ზედაპალეოლითური და მეზოლითური ხანის მასალები აღმოჩენილია ვ. კოტოვიჩის მიერ სოფ. ჩოხში, სადაც ავტორი ექვს ფენას გამოჰყოფს. აქედან მე-5. ფენას ის ზედაპალეოლითის შუა საფეხურს აკუთვნებს²⁰. ა. ფორმოზოვი არ ეთანხმება ვ. კოტოვიჩის ჩოხის სადგომის ფენების დათარიღებაში და მე-5 და მე-4 ფენებს ადრეულ მეზოლითს აკუთვნებს, ხოლო მე-6 ფენას ზედაპალეოლითის შუა საფეხურით ათარიღებს²¹. დღეისათვის საქართველოს, ყუბანისა და დალესტანის პალეოლითური კულტურების გარკვეული ნათესაობა ივარაუდება. სპეციალისტები თვლიან მათ ერთიან კავკასიური ზედაპალეოლითური კულტურის ლოკალურ ვარიანტებად²², რომლებიც მეტ-ნაკლები სისრულით გვიანი პალეოლითის ბოლოსა და მეზოლითში ჩამოყალიბდნენ.

¹⁵ Е. А. Векилова, Стоянка Сюрень I и ее место среди палеолитических местонахождений Крыма и ближайших территорий, МИА, СССР, № 59, М.-Л., 1957, гл. 235—323.

¹⁶ С. А. Трусова, Раскопки в пещере Аджи-Коба в 1933 году, Советская археология V, 1940, гл. 272—274.

¹⁷ А. А. Формозов, Палеолитические стоянки в пещерах Прикубанья, Краткое сообщение Института археологии, АН СССР, вып. 98, М., 1964, гл. 13; მისივე, Каменный век и энеолит Прикубанья, М., 1965, гл. 49.

¹⁸ П. У. Аутлев, Отчет об археологических экспедициях Адыгейского НИИ в Кавказском Ново-Кубанском, Крымском и Лабинском-р-х Краснодарского края в 1962 г. Архив ИА АН СССР. р. I, № 2464.

¹⁹ В. Г. Котович, Чохская стоянка — первый памятник каменного века в горном Дагестане, «Уч. зап. НИИЯЛИ Даг., ФАН СССР, III, Махач-Кала, 1957.

²⁰ В. Г. Котович, Каменный век Дагестана, Махач-Кала, 1964, гл. 109—119.

²¹ А. А. Формозов, Обзор исследований мезолитических стоянок на Кавказе, Советская археология, № 4, 1963, гл. 184.

²² Н. О. Бадер, Варианты культуры Кавказа конца верхнего палеолита и мезолита, Советская археология, № 4, 1965, гл. 14—15.

ზოგიერთი არქეოლოგის აზრით, საქართველოს ზედაპალეო-ლითურ კულტურასთან სიახლოვეს იჩენს აზოვის მხარის სტუპური კულტურაც²³. კერძოდ, მდ. დონის ქვემო წელში მდებარე სადგომის კამენაია ბალკასა და საქართველოს ზედა პალეოლითის განვითარებული საფეხურის მასალების შეპირისპირების საფუძველზე ბევრი საერთო დგინდება ამ ორი რაიონის ქვეშ დაწესებულების ტექნიკურ ტრადიციებში. ეს სიახლოვე იმდენად აშკარაა, რომ სამაო საბუთიანობით ვარაუდობენ კავკასიის ჭარბი მოსახლეობის აზოვისპირეთში განსახლებას²⁴.

დასავლეთ საქართველოს პალეოლითური კულტურის ბუნების შესახებ საკითხი დასმულ იყო ჯერ კიდევ 35 წლის წინათ, როდესაც პირველად გამოითქვა მოსაზრება საქართველოს ზედა პალეოლითისა და კასიის კულტურების მსგავსების თაობაზე.

ჯერ კიდევ 1933 წელს დევისხვრელის პალეოლითურა ნაშთების დათარღებისას გ. ნიორაძე მიუთითებდა დევისხვრელის კოლექციის ნათესაურ კავშირს ძველ კასიის კულტურასთან²⁵. პ. ეფემენკო აღნიშნავდა, რომ კასიის კულტურის ნიშნებს ავლენენ ამიერკავკასიის (იმერეთის) და ყირიმის პალეოლითური ძეგლები²⁶.

დასავლეთ საქართველოს ძეგლების შესწავლის საფუძველზე ს. ზამიატინი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს ზედა პალეოლითი ხასიათდება მნიშვნელოვანი თავისებურებებით. ს. ზამიატინი დასავლეთ საქართველოს პალეოლითის ძირითად თავისებურებად მიიჩნევდა: 1 ზედა პალეოლითის ადრეულ საფეხურზე მუსტიურე ფორმების არსებობას; 2. ორინიაკისებური იერის კაჟის ინვენტარის დიდი ხნით შემონახვას, რომელიც უშუალოდ მიკროლითური ტექნიკით იცვლებოდა; 3. ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნად მის მიერ აღნიშნული იყო დასავლეთ საქართველოს ზედა პალეოლითში იარაღის არქაული ტიპების დიდი ხნით

23 М. Д. Гвоздовер, О культурной принадлежности позднепалеолитических памятников нижнего Дона, Вопросы антропологии, вып. 27, М., 1967, гв. 82—101.

24 М. Д. Гвоздовер, დასახ. ნაშრ. გვ. 94—95.

25 გ. ნიორაძე, პალეოლითის აღმნიშნული დევისხვრელში, საქართველოს მეზღუდის შრომები, VI, თბ., 1933, გვ. 77—78.

26 П. П. Ефименко, Капсиды-охотники и собиратели, Известия ГАИМК, вып. 100, М.-Л., 1933 гв. 91.

შემონახვა: pièce écaillée, ნუკლეუსისებური ფორმის იარაღები, შალაშინები, ნუკლეუს-საფხეკები; 4. სხვადასხვა ასაკის ზედაპალეოლითური კაეის იარაღთა ურთიერთმსგავსება; 5. იარაღთა ტიპების ერთგვარობა; 6. არარსებობა იმ მკვეთრი ქრონოლოგიური გამიჯნულობისა, რაც დასავლეთ ევროპის ზედა პალეოლითს ახასიათებს და 7. მიკროლითური იარაღების ადრე გაჩენა²⁷.

ს. ზამიატნიჩი აახლოვებდა ამიერკავკასიის პალეოლითს ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების პალეოლითთან, სადაც, ისევე როგორც კავკასიაში არ გვხვდება იარაღთა სოლუტრეს ტიპები, ხოლო „ორინიაკისებური“ ინვენტარი დიდი ხნის მანძილზე არსებობს.

ს. ზამიატნიჩმა უარი თქვა დასავლეთ საქართველოსა და დასავლეთ ევროპის (სადაც კარგად არის წარმოდგენილი სოლუტრეს ტიპის ძეგლები) ზედაპალეოლითური ძეგლების მსგავსებასიახლოვებზე და დასავლეთ საქართველოს ძეგლები დაუახლოვა კაპსიის კულტურას²⁸.

ს. ზამიატნიჩის აზრით, კაპსიური კულტურა ფართოდაა გავრცელებული და მოიცავს აფრიკის, ხმელთაშუა ზღვის, წინა აზიის და შავი ზღვის ჩრდილო და აღმოსავლეთ სანაპიროებს. სწორედ ამ ტერიტორიებზე აღმოჩენილ ძეგლებს იგი აერთიანებს ერთ დიდ ლოკალურ რაიონში, რომელსაც „ხმელთაშუა ზღვისპირა-აფრიკულ“ რაიონს უწოდებს და უპირისპირებს ევროპის ყინულსპირა და ციმბირ-ჩინეთის ლოკალურ რაიონებს²⁹.

ს. ზამიატნიჩის ეს შეხედულება გაიზიარეს პალეოლითის სპეციალისტებმა. შეიქმნა წარმოდგენა ზედა პალეოლითში განსხვავებული რაიონების არსებობის შესახებ — ევროპის ყინულის-

²⁷ С. Н. З а м я т н и ч, Новые данные по палеолиту Закавказья, СЭ, № 2, М., 1935, гв. 116—123; მისივე, Палеолит Западного Закавказья, Сборник музея антропологии и этнографии, XVII, М.-Л., 1957, гв. 432—499; მისივე, Пещерные навесы Мгвимеви, близ Чнатуры, СА, III, М., 1936, гв. 57—76.

²⁸ С. Н. З а м я т н и ч, Новые данные по палеолиту Закавказья, СЭ, № 2, 1935, гв. 116—123; მისივე, Палеолит Западного Закавказья, Сборник музея антропологии и этнографии, XVII, М.-Л., 1957, гв. 432—500; მისივე, Пещерные навесы Мгвимеви, близ Чнатуры, СА, т. III, М., 1936, гв. 57—76.

²⁹ С. Н. З а м я т н и ч, О возникновении локальных различий в культуре палеолитического периода, Труды института этнографии им. Н. Н. Миклухо-Маклая, Новая серия, т. XVI, М., 1951, гв. 124.

პირა, სადაც სოლუტრეა წარმოდგენილია და ხმელთაშუა ზღვის-პირა, სადაც მთელი პალეოლითის მანძილზე არსებობენ ნარდას ორინიაკისებური ტიპები და სადაც ადრე ჩნდებიან გეომეტრული მიკროლითები. ამრიგად, საქართველო და საერთოდ კავკასიის ზედა პალეოლითი ხმელთაშუა ზღვისპირა-აფრიკული კულტურის წრეში ექცევა.

ა. ფორმიზოვმა გამოთქვა ს. ზამიატინის საწინააღმდეგო აზრი³⁰ და აღნიშნა, რომ ამგვარი შეხედულება გაუგებარს ხდის ამიერკავკასიის პალეოლითის თავისებურების საკითხს. ა. ფორმიზოვი აღნიშნავს, რ. ვოფრეის სამუშაოებში ტუნისში, კასიის ძეგლებზე დაგვანახა, რომ ეს ძეგლები მიეკუთვნებიან გვიანი პალეოლითის ბოლოს, უფრო კი — მეზოლითს³¹. ეს თარიღი მიღებულია ს. ზამიატინის მიერ თავის შრომაში პალეოლითის კულტურას ლოკალური სხვადასხვაობის შესახებ, სადაც აღნიშნავს, რომ კასიის კულტურის თავისებურება უნდა განვიხილოთ არა როგორც რეგიონალური, არამედ როგორც ქრონოლოგიური მოვლენა. ეს თუ ასეა, მაშინ კასიის კულტურის თავისებურება-გეომეტრიული ფორმების არსებობა ორინიაკის ტიპის იარაღებთან ერთად — არ წარმოადგენს ხმელთაშუა ზღვის გვიანი პალეოლითის განმსაზღვრელ ნიშანს. გამოდის, რომ ესაა ჩრდილო აფრიკის მეზოლითის თავისებურება. რაც შეეხება ამ რაიონის გვიან პალეოლითს ის წარმოდგენილია ე. წ. ათერიის კულტურით, რომელსაც ქვედა კასიას ანუ ადრე კასიას უწოდებენ.

